# არსენალი

№ 14 (43). 14 დეკემბერი – 11 იანვარი. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

1425
2007



## ვირტუალური ბრძოლები ერთმორწმუნე რუსებთან და მეზობელ სომხებთან

## Colt 1911 100 წელი სახელმწიფო სამსახურში

## „ატომური მატარებელი"

## ებრაული Arrow-2 ირანული Shahab-ის ჩამოსაგდებად

## „ჩე-ზეს" პასუხი „მაკაროვს"

„არსენალის" შემდეგი ნომერი გამოვა 11-იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა




ციხიდან გამოსულ სამხედროს სიმართლის გარკვევა სურს
10



ევროპის „ერთიანი საჰაერო სივრცე“
6



ვირტუალური ბრძოლები — ქართველები ინტერნეტთამაშებში
19

ატომური მატარებელი
38





ებრაული **ARROW-2** ირანული **SHAHAB**-ის ჩამოსაგდებად
25



სისხლიანი საბრძოლო ფრე
49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 უცხოური ამბები

მოსაზრება

6 ევროპის „ერთიანი საჰაერო სივრცე"

ალიანსი

9 NATO-ს საინფორმაციო ცენტრი გვაცნობებს...

ინტერვიუ

10 ციხიდან გამოსულ პროფესიონალ სამხედროს სიმართლის გარკვევა სურს

კონსულტაცია

13 კვალიფიციური რჩევები

საქართველოს ისტორიიდან

14 მსტოვრობის ისტორია საქართველოში

სპეცსამსახურები

16 სომხეთის სპეცსამსახურები

უახლესი ისტორია

18 ქართული არმიის მზადება 16 წლის წინ გორში დაიწყო

ვირტუალური სამყარო

19 ვირტუალური ბრძოლები ესეც ერთმორწმუნე რუსებთან და მეზობელ სომხებთან?!

პიროვნება

22 დიდი კონკისტადორი

იარაღი

25 ებრაული ARROW-2 ირანული SHAHAB-ის ჩამოსაგდებად

ომების მსოფლიო ისტორია

30 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

ლეგენდა

34 100 წელი სახელმწიფოს სამსახურში

არქივიდან

38 „ატომური მატარებელი"

საინტერესო გვერდი

48 ზედმეტი სიჩქარის პრობლემა

პროფესიონალები

49 სისხლიანი საბრძოლო ფრე

კროსვორდი

53 არსენალკვორდი

არსენალის იარაღის მაღაზია

54 „ჩე-ზეს" პასუხი მაკაროვს


## რედაქტორის სვეტი

დგება ახალი, 2008 წელი. ეს „არსენალის" და მისი ერთგული მკითხველისთვის, მეოთხე ერთად დაწყებული წელი იქნება. იმედი გვაქვს ახალ წელში „არსენალის" მკითხველთა რიგს ქართული არმიის მებრძოლებიც შეემატებიან, რომლებიც ჩვენს ჟურნალს უშუალოდ სამხედრო ნაწილებში წაიკითხავენ, როგორც ეს უკვე იყო 2004 წელს.

„არსენალი" ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს საქართველოს შეირაღებული ძალების ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირს, დაწყებული ყველაზე პატარა ჯარისკაციდან, დამთავრებული სამხედრო მეთაურობით და უსურვებს მათ მშვიდობას, იმ ღირსეულ მშვიდობას, რომელიც დიდი გამარჯვებების შემდეგ დგება!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამანადგურებელმა რაკეტას გზა გადაუჭრა



აშშ-ში, პირველად მსოფლიოში, რეაქტიულმა გამანადგურებელმა გზა გადაუჭრა ბალისტიკურ რაკეტას. გამანადგურებელი F-16, რომელიც აღჭურვილია რაკეტა AIM-9X SIDEWINDER-ებით, გზა გადაუჭრა საკვლევ რაკეტა „ორიონს". დამიზნება სისტემა NCDE-ს საშუალებით მოხდა. ახალი სისტემა, რომელიც აგებულია „საბრძოლო სივრცის" კონცეფციის მიხედვით, განკუთვნილია უპილოტო აპარატებითა და გამანადგურებლებით სტარტაღებული ბალისტიკური რაკეტების განადგურებისათვის. F-16-მა გაუშვა ორი რაკეტა „ჰაერი-ჰაერი" AIM-9X, რომელთაგან პირველმა გაანადგურა სამიზნე, მეორემ კი დედამიწას გადასცა გზის გადაჭრის ჩანაწერი, რომელიც თვითდამიზნების ქობინის მეშვეობით გაკეთდა. გამოცდებმა ცხადყო, რომ გამანადგურებლების მეშვეობით შესაძლებელია სტარტაღებული რაკეტებისთვის გზის გადაჭრა. სპეციალისტების აზრით, რაკეტის გასანადგურებლად გამანადგურებელი მისი გაშვების წერტილს არანაკლებ 100 მილით (170 კმ) უნდა იყოს დაშორებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ მოასწრებს ობიექტთან მიახლოებას მანამ, სანამ ის დამიზნების ზონიდან გავა. გამანადგურებლები, რომლებიც მოდერნიზებულია რაკეტებით „ჰაერი-ჰაერი", თეორიულად, შეიძლება მიწისზედა ბაზირების რაკეტა-გზაგადამჭრელების ალტერნატივა გახდეს იმ შემთხვევაში, თუკი საჭირო შეიქნება მცირე და საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტების განადგურება.

# ინდოეთი 347 უახლეს ტანკს შეიძენს



ინდოეთმა და რუსეთმა გააფორმეს კონტრაქტი ტანკ T-90-ების შესყიდვის თაობაზე. კონტრაქტის ღირებულება 1,237 მლრდ დოლარს შეადგენს და ითვალისწინებს 347 ძირითადი საბრძოლო T-90C-ის მიწოდებას. დღეს ინდოეთს შეიარაღებაში ჰყავს 310 ტანკი T-90. მათგან 181 რუსული წარმოების კომპლექტებითაა აწყობილი ინდოეთში, ახლახან კი ქალაქ ავადში არსებულმა ქარხანამ დაიწყო 1000 ერთეული T-90-ის წარმოება. საბრძოლო ტანკი T-90 ტანკ T-72-ის მოდერნიზებული ვარიანტია, გაძლიერებული ჯავშნით, მართვადი შეიარაღების კომპლექსითა და სხვა მოწყობილობებით. ტანკის წონა შეადგენს 46,5 ტონას, ძრავას სიმძლავრე – 1000 ცხ.ძ.-ს, სიჩქარე 60 კმ-ს საათში. T-90 შეიარაღებულია 125-მილიმეტრიანი გლუვლულიანი ქვემეხით, დატენვის ავტომატითურთ. ტანკის არსენალში შედის მსხვრევად-ფუგასური, კუმულაციური და ჯავშანგამტანი ჭურვები, ასევე მართვადი რაკეტები. ტანკის ეკიპაჟი სამი კაცისგან შედგება.

# აუსტერლიცის ველზე რადარის მშენებლობა დასრულდა



ჩეხეთში, ქალაქ სლავკოვის ახლოს (აუსტერლიცში) დასრულდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რადარის მონტაჟი. დანადგარს 2008 წლის იანვარში გამოიცდება. ის სფეროს ფორმისაა, სიმაღლით დაახლოებით 25 მეტრი. მისი აგება NATO-ს 21 მლნ ევრო დაუჯდა. რადარის დაყენებას მწვავედ აპროტესტებდნენ არა მარტო ჩეხეთის მოქალაქეები, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, რესპუბლიკის მოქალაქეთა 70% რადარის დადგმის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების იდეას უჭერდა მხარს, თუმც ჩეხეთის პარლამენტმა უარყო ეს წინადადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა ავიასალონი

**ყურადღება! „არსენალი“ ნოემბრიდან თვეში ორჯერ გამოდის!**

2007 წლის 4 დეკემბერს მალაიზიაში გაიხსნა ავიაკოსმოსური და სამხედრო-საზღვაო ტექნიკის მე-9 საერთაშორისო სალონი ლიმა-2007. ეს სამხედრო-ტექნიკური ფორუმი შედარებით ახალგაზრდაა – ავიასალონები „ლიმა“ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ტარდება. თუმც ამ დროის განმავლობაში მან მოახერხა პოპულარობის მოპოვება როგორც მწარმოებლებს, ასევე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მყიდველებს შორის. ლიმა-2007-ში მონაწილეობს 30 ქვეყნის 600-ზე მეტი საწარმო.

მალაიზიის გამოფენა მხოლოდ МАКС-ს ჩამორჩება რუსული წარმოების თვითმფრინავების გამოფენით. აქ წარმოდგენილია გამანადგურებელ Су-27, Су-30, Су-35-ებისა და ბომბდამშენ Су-34-ების სხვადასხვა მოდიფიკაცია, ასევე უამრავი შვეულმფრენი. ჰაერში შეიძლება დაინახოთ რუსული საბრძოლო თვითმფრინავი Су-27, პილოტაჟური ჯგუფით „ვიტიაზი“ და გამანადგურებელი МиГ-29, რომელიც დღეს მალაიზიის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია. სამოქალაქო ავიამშენებლობა წარმოადგენს პერსპექტიულ თვითმფრინავ SSJ-ის. მისი ავტორები იმედოვნებენ, რომ მყიდველები ამ სიახლით დაინტერესდებიან. ავიატექნიკის გარდა, რეგიონის ქვეყნები აქ ყიდულობენ რუსული წარმოების სამხედრო-საზღვაო ტექნიკას. სალონზე წარმოდგენილია როგორც პროექტ 956-ის საესკადრო ნაღმოსანი, ასევე პროექტ 11356 და 1154-ის ფრეგატები, პროექტ 20382-ის კორვეტი და საჰაერობალიშიანი ხომალდი, ასევე წყალქვეშა ნავები, ტრადიციული პროექტი 636-ით (NATO-ს კლასიფიკაციით KILO) და უახლესი პროექტი 877-ით. წყალქვეშა ნავებთან ერთად წარმოდგენილია ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები 3M54 „QLAB-ს“, რომელთაც ტორპედული აპარატებით უშვებენ. რუსული შეიარაღების აქტიური მყიდველები არიან ინდოეთი, ინდონეზია, მალაიზია, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ფილიპინები და სამხრეთ აზიის სხვა ქვეყნები.






# აშშ ერაყში სამხედრო კონტინგენტს შეამცირებს

საახალწლოდ 5000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დატოვებს ერაყს. პროვინცია დიალიდან მუდმივი დისლოკაციის ადგილას, შტატ ტეხასში, ბაზა ფორდ-ჰუდში, ჩავა 1-ელი ჯავშანსატანკო დივიზიის მე-3 ბრიგადა, რომელიც 3000 ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლის. 1-ელი კავალერიის დივიზიას კი 2 ათასი კაცი დატოვებს. დიალში ერაყის სხვა რაიონებიდან გადაისვრიან დაახლოებით 2,4 ათას ჯარისკაცს. 2008 წლის ივლისისთვის ამერიკული სამხედრო კონტინგენტი ერაყში 140-146 ათას სამხედრო მოსამსახურით შემცირდება.

# დიდმა ბრიტანეთმა თვითმფრინავ-მზვერავის დაღუპვის მიზეზი დაასახელა

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ დაასახელა თვითმფრინავ NIMROD-ის დაღუპვის მიზეზი. თვითმფრინავმა ავტოკატასტროფა ავღანეთში 2006 წელს განიცადა. მისი დაღუპვის მიზეზად აქამდე ასახელებდნენ საწვავის სისტემის გაუმართაობას, რამაც საწვავის გაჟონვა გამოიწვია და თვითმფრინავი აფეთქდა. მზვერავის ბორტზე 14 კაცი იმყოფებოდა. 1982 წელს ფოლკლენდის კონფლიქტის შემდეგ ეს დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე დიდი დანაკარგია. თავდაცვის სამინისტრო დაღუპულთა ოჯახებს კომპენსაციას გადაუხდის. სადაზვერვო და ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავი „ნიმროდი“ დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან არის. მისმა დიდმა ნაწილმა გამოიმუშავა დადგენილი რესურსი და ფრენის უფლება მხოლოდ „ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით“ ეძლევა.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის „ერთიანი

## ევროკონტროლის საჰაერო სივრცის სამომავლო სტრატეგია

ჟურნალ „არსენალის“ მეშვეობით შესაძლებლობა მაქვს გავაგრძელო საზოგადოებისთვის ჩემი მოსაზრებების გაზიარება სამხედრო-საჰაერო ძალებში გასატარებელი რეფორმების შესახებ.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ევროკონტროლის პერსპექტიულ სტრატეგიას — „ერთიანი საჰაერო სივრცე“.

ჩვენ NATO-ში გაწევრებასა და ევროპის ერთიან სახლში ადგილის დამკვიდრებას ვაპირებთ. გასაკეთებელი ძალიან ბევრი გვაქვს, როგორც მთლიანად სახელმწიფოში, ასევე შეიარაღებულ ძალებში და მის ერთ-ერთ სახეობაში — საჰაერო ძალებში. ევროპის ერთიან სივრცეში ინტეგრირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საჰაერო სივრცის ორგანიზება ევროსტანდარტების (ევროკონტროლის მოთხოვნების) შესაბამისად.

სანამ ევროკონტროლის ახალ სტრატეგიას განვიხილავთ, მკითხველს შევთავაზებ თეორიულ საფუძვლებსა და ისტორიულ მიმოხილვას.

1990 წელს ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციამ მიიღო მარშრუტებზე ფრენის სტრატეგია, ამ სტრატეგიის მიზნების მისაღწევად კი საჰაერო მოძრაობის მართვის ორგანიზაციისა და ინტეგრაციის ევროპული პროგრამა (EATCHIP). ფრენების სტრატეგიის მიზანი იყო 1995-1998 წლებში საჰაერო მოძრაობას მართვის ევროპული სისტემის ორგანიზების დასრულება, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისში მისი ინტეგრირების განხორციელება.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) რეკომენდაციების (Doc9426) შესაბამისად განსაზღვრულია, რომ საჰაერო ხომალდების უსაფრთხო და ეფექტიანი მოძრაობისთვის ფრენის ყველა ეტაპზე აუცილებელია საჰაერო მოძრაობის ორგანიზების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის — საჰაერო სივრცის ორგანიზაციის ასევე ეფექტიანი ფუნქციონირება.

საჰაერო სივრცის ორგანიზების მიზანია საჰაერო სივრცის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება, მკვეთრად გაზრდილი საჰაერო ნაკადების პირობებში



საჰაერო სივრცის ექსპლოატანტების (მომხმარებლების) მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ხშირად სხვადასხვა (მაგალითად, სამხედრო და სამოქალაქო) ექსპლოატანტს შორის წარმოქმნილი უთანხმოებისას საჰაერო სივრცის გაყოფა, შესაძლოა, ერთადერთი გამოსავალი იყოს. მაგრამ საჰაერო სივრცის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოსაყენებლად უნდა ვილტვოდეთ სამხედრო და სამოქალაქო ორგანოების საქმიანობის მეტი კოორდინაციისკენ, საჰაერო სივრცის მაქსიმალურად და ამავე დროს უსაფრთხოდ გამოსაყენებლად.

ევროპაში საჰაერო სივრცის მოუქნელმა სტრუქტურამ, დახურული მონაკვეთების არსებობამ არ გაამართლა. ეფექტიანობის ამაღლებისა და სივრცის გაზრდის აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 80-იან წლებში, როცა მკვეთრად იმატა საჰაერო ნაკადებმა. საჰაერო სივრცის არსებული სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფდა მაღალ გამტარუნარიანობას.

ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა „საჰაერო სივრცის მოქნილი გამოყენების კონცეფცია“, რომლის მთავარი არსი მდგომარეობს შემდეგში: საჰაერო სივრცე აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც სამოქალაქო ან სამხედრო, არამედ უნდა იყოს ერთიანი და მთლიანი, გამოიყენებოდეს მოქნილად, ეფექტიანად (რაციონალურად). საჰაერო სივრცის ნებისმიერი უწყებრივი დაყოფა უნდა ატარებდეს დროებით ხასიათს.

საჰაერო სივრცის მოქნილად გამოყენების შედეგად მიიღწევა საჰაერო მოძრაობის მართვის გამტარუნარიანობის გაზრდა და საჰაერო მოძრაობის საერთო ნაკადში შეფერხებების (შეყოვნებების) მკვეთრი შემცირება; საჰაერო

# საჰაერო სივრცე“

მოძრაობის მართვის ეფექტიანად დაყოფა ICAO-სა და სამხედრო სტანდარტების მიხედვით; სამხედრო-სამოქალაქო კოორდინაციის სრულყოფა და საჰაერო სივრცის დაყოფის დროის მაქსიმალური შემცირება. დროებითი ზონების გამოყოფა მოხდება სამხედრო მოთხოვნების შესაბამისად.

ევროკონტროლის მიერ ადრე მიღებული სტრატეგიების შესაბამისად იქმნებოდა ECAC-ის წევრი ქვეყნების ნაციონალური პროგრამები და გეგმები.

ბოლო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა საჰაერო ნაკადები. მხოლოდ ეშელონების შემცირებითა და სხვა ტრადიციული გზებით შედეგი არ მიიღწევა. ECAC-ის ახალი სტრატეგიის თანახმად, უნდა გაიზარდოს საჰაერო სივრცის შესაძლებლობები და მისი გამოყენების რაციონალურობა. ევროკონტროლის ახალი სტრატეგიის მთავარი იდეაა საჰაერო სივრცის ორგანიზება და გამოყენება საჰაერო სივრცეში კონტინუუმის (ერთიანი საჰაერო სივრცე) შესაქმნელად.

სტრატეგიის მთავარი მიზანია 2015 წლამდე და შემდგომი პერიოდისთვის ძირითადი ამოცანებისა და ღონისძიებების შემუშავება ECAC-ის წევრი ქვეყნების საჰაერო სტრუქტურებში.

ახალი სტრატეგიის თანახმად, საჰაერო სივრცის დაგეგმარებისა და გამოყენების ძირითადი პრინციპებია:

– მოთხოვნებისა და პრიორიტეტების შეფასება არა მარტო მათთვის, ვინც იყენებს, ასევე მათთვისაც, ვინც გამოყოფს საჰაერო სივრცეს;

– ითვალისწინებს ECAC-ის ქვეყნებში საჰაერო მოძრაობის ორგანიზაციის 2000 წლის სტრატეგიას, ამატებს და განავრცობს მას;

– არ ეწინააღმდეგება ICAO-ს გლობალურ სანავიგაციო გეგმებს ECAC-ის ქვეყნებში;

– სხვა პრინციპები: ერთიანი საჰაერო სივრცე, საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოება, ეკონომიკური ეფექტიანობა, მომსახურების ხარისხი, ნაციონალური სუვერენიტეტი, ეროვნული უსაფრთხოება და თავდაცვისუნარიანობა, ერთიანი სტანდარტები, გამტარუნარიანობა.

სამოქალაქო ავიაციის ევროპული კონფერენციის (ECAC) წევრი ქვეყნების საჰაერო სივრცის პერსპექტიული ორგანიზაცია:

– პირველ ეტაპზე დააკმაყოფილებს საჰაერო სივრცის ICAO-ს მოქმედ კლასიფიკაციას;

– შემდგომში უნდა შეიმუშაოს ახალი მეთოდები მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

– არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საჰაერო სივრცის მოქნილად გამოყენების კონცეფციას“ (FUA) და უნდა განიხილებოდეს როგორც კონტინუუმი (კონტინუუმი გულისხმობს სხვადასხვა მომხმარებლის (უწყების) ფრენების დაშორებასა და არა დისკრიმინირებას).

ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის სამომავლო რეორგანიზაციის მთავარი მიზნები და ამოცანებია:

– მუდმივი ლტოლვა საჰაერო სივრცის ერთიანი ორგანიზებისკენ, რათა მიღწეულ იქნეს კონტინუუმი (ერთიანი ცა, ერთიანი საჰაერო სივრცე) ECAC-ის ყველა წევრი ქვეყნისათვის;

– ერთიანი საჰაერო სივრცის გამოყენება შეუზღუდავი საზღვრებით;

– ყველა მომხმარებლისათვის მაქსიმალური თავისუფლების მიღწევა საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის მოთხოვნების გათვალისწინებით;

– ECAC-ის წევრი ქვეყნების ერთიანი საჰაერო სივრცის სტრუქტურების შექმნა, ერთიანი კლასიფიკაციისა და დოკუმენტაციის შემუშავება მთელ ევროპაში;

– საჰაერო სივრცის მოქნილი გამოყენების კონცეფციის გამოყენება ნაციონალური საზღვრებით შეზღუდვის გარეშე;

– შემცირებული ეშელონირება ზედა საჰაერო ეშელონში;

– საჰაერო სივრცის სტრუქტურის გამარტივება და ოპტიმიზაცია;

– მაქსიმალური კოორდინაცია სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურებს შორის, ერთიანი ორგანოების შექმნა;

– მომხმარებელთათვის მისაღები ტრასების, მარშრუტებისა და ტრაექტორიების შემუშავება.

ECAC-ის ბევრ წევრ ქვეყანას არ გააჩნია საჰაერო სივრცის ჰარმონიზებული სტრუქტურა. იგულისხმება როგორც საჰაერო სივრცის ვერტიკალური დაყოფა, ისე ICAO-ს კლასიფიკაცია. ეს ეხება ECAC-ის თითქმის ყველა წევრ ქვეყანას. ამიტომაც ძირითადი სტრატეგიული ღონისძიებების გატარება იგეგმება 2015 წლამდე.

მთავარია, მიღწეულ იქნეს საჰაერო სივრცის ერთგვაროვანი სტრუქტურა ნაციონალური საზღვრების გარეშე, ე.ი. ევროპის „ერთიანი ცა“ (ერთიანი საჰაერო სივრცე).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნის მისაღწევად ევროკონტროლი ამუშავებს მოდელს, რომელიც გამოიხატება სამი კატეგორიით:

კატეგორია N: ესაა სივრცე, რომელშიც საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახურისთვის ცნობილია ყველა მოძრაობის შესახებ, როგორც ფრენის მდგომარეობით, ასევე დანიშნულებით.

კატეგორია K: ესაა სივრცე, რომელშიც საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახურისთვის ცნობილია ყველა საჰაერო ხომალდის ფრენის შესახებ მხოლოდ ფრენის მდგომარეობით, განსაზღვრულ შემთხვევებში კი ფრენის დანიშნულებით.

კატეგორია U: ესაა სივრცე, რომელშიც საჰაერო მოძრაობის სამსახურისთვის ცნობილი არაა ყველა საჰაერო ხომალდის ფრენის მარშრუტის შესახებ.

მომავალი საჰაერო სივრცის სტრუქტურა დაფუძნებული იქნება მიმდინარე კლასიფიკაციაზე, რომელშიც არის 7 კატეგორია, A-დან G-მდე. 2010 წლისთვის ეს სტრუქტურა გამარტივდება და დარჩება მხოლოდ 3 კატეგორია: N, K, და U. შემდგომში, სავარაუდოდ, 2015 წლამდე, იგეგმება K და U კატეგორიების გაუქმება და დარჩება მხოლოდ N კატეგორია, ე. ი. „ერთიანი ცა“.

2015 წლისთვის იგეგმება ავიატრასების ოპტიმიზაცია. მოხდება გადასვლა არსებული მარშრუტების ქსელიდან ისეთ სისტემაზე, როცა ავიატრასები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საჭიროებისამებრ. შემდგომში კი მოხდება საჰაერო მოძრაობის მართვის სექტორების ოპტიმიზაციაც.

ევროკონტროლის პროგრამები წარმატებით ხორციელდება საქართველოში სამოქალაქო ავიაციის ხაზით (სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, საქაერონავიგაცია). რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებს, აქ ბევრი რამ გასაკეთებელია. თუ დღემდე მწირი ბიუჯეტის გამო შეუძლებელი იყო სხვადასხვა პროგრამის განხორციელება, დღეს ფინანსური წინააღმდეგობები არ არსებობს. თუ გვსურს საქართველოს NATO-ში გაწევრებისას და შემდგომში სამხედრო-საჰაერო ძალები სტრუქტურით, აღჭურვილობითა და მომზადების დონით ევროპაში მიმდინარე რეფორმების მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, საჭიროა დღესვე დაიწყოს შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტთან ან პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის, საჰაერო სივრცის კონტროლის სამოქალაქო („საქაერონავიგაცია“) და სამხედრო (საჰაერო თავდაცვა) სტრუქტურების განვითარების საკოორდინაციო ორგანო (საბჭო), დაკომპლექტებული ყველა დაინტერესებული უწყების წარმომადგენლებით, რომელსაც დაევალება შემდეგი ღონისძიებებისა და პროგრამების კოორდინაცია:

– საჰაერო სივრცის სტრუქტურის განვითარება;

– ტექნიკური პოლიტიკა (აღჭურვილობა, კომუნიკაციები, შესყიდვების შეთანხმება და სხვ.);

– სახელმძღვანელო საბუთების, საკანონმდებლო აქტების შემუშავება და დანერგვა;

– კადრების (სპეციალისტების) მომზადება (გადამზადება) და ა.შ.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა კადრების გაზრდისა და შენარჩუნების საკითხს, რადგან მათ გარეშე მილიონების ხარჯვა უაზრობაა.

ჩემი ინფორმაციით, „საქაერონავიგაციიდან“ ბევრი სპეციალისტი დაითხოვეს ასაკის გამო (40 წელს გადაცილებულები), თითქოს ეს ICAO-ს სტანდარტებით სერტიფიცირების მოთხოვნებია. დანამდვილებით ვიცი, რომ ევროპის წამყვან ქვეყნებში არ არის ასეთი მკაცრი ასაკობრივი შეზღუდვა. პირიქით, დისპეტჩერებად და სხვა თანამდებობებზე ნიშნავენ საჰაერო ძალების თადარიგის ოფიცრებსა და სერჟანტებს, რადგან იოლია მათი გადამზადება და აქვთ დიდი გამოცდილება. ვფიქრობ, ჩვენთანაც ასეთი ტრადიცია უნდა ჩამოყალიბდეს.

დიდი პრობლემებია კადრების შენარჩუნების საქმეში საჰაერო ძალებშიც. ბოლო წლებში არასწორი საკადრო პოლიტიკის გამო ბევრი სპეციალისტი ჩამოშორდა საჰაერო ძალებს. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ვიტყვი, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ოქრუაშვილი-ნიკოლეიშვილის მიერ ჩატარებული „სამხედრო წმენდის“ უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას მრავალი წელი დასჭირდება. ჯარის წარმატება უფრო დიდი იქნებოდა სწორი საკადრო პოლიტიკის პირობებში. რესურსებიც უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა. ქართული ჯარის მშენებლობის სანატრელ პერიოდს, როცა 2 წლის ბიუჯეტმა გადაფარა ჯარის შექმნით დაწყებული 2004 წლამდე პერიოდის ჯამური დაფინანსება, დაემთხვა საკადრო სისტემის სრული ნგრევა, რომლის ავტორი და შემსრულებელი მაშინდელი გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა იყო. რომ არა ამერიკული წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დადებითი შედეგები (ახალგაზრდა ოფიცრებისა და სერჟანტების მომზადება და მათ მიერ გამოცდილების მიღება სამშვიდობო მისიებში), ახლა სავალალო მდგომარეობა გვექნებოდა.

რაც შეეხება საჰაერო ძალებს, საბრძოლო (საფრენოსნო) მომზადების ხარისხი არ შეესაბამება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი რესურსების დონეს. გამოცდილი მფრინავების კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, შესაბამისად, ისინი ვერ აღზრდიან ახალგაზრდა თაობას (რომელთა მომზადება, ძირითადად, საზღვარგარეთ ხდება). მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მფრინავი შემადგენლობის ინდივიდუალურ დახელოვნებას, უმაღლესი პილოტაჟის დაუფლებას (ჩვენ საფრენ აპარატებს მალე „ოსტეოქონდროზი“ დაემართება „უმოძრაო“, ჰორიზონტალური ფრენებისგან), ღამით ფრენების წილის ზრდას, საპოლიგონო მომზადებას დღისით და ღამით. ახლავე უნდა დაიწყოს ოპერატიული მორიგეების, დისპეტჩერების, შტურმანების და სხვა (საჰაერო სივრცის კონტროლში მონაწილე) საჭირო სპეციალისტების მომზადება (გადამზადება) სამოქალაქო სტრუქტურებთან შეთანხმებით. საჭიროა ჩამოყალიბდეს საჰაერო ძალების საკადრო სისტემა, რომელიც მინიმუმ 10 წელზე იქნება გათვლილი, დამტკიცდება სამთავრობო დონეზე და მისი მოშლა ან კარდინალური ცვლილება შეუძლებელი იქნება რომელიმე თანამდებობის პირის არაპროფესიონალური გადაწყვეტილებით. იგივე უნდა გაკეთდეს შეიარაღებულ ძალებში.

საქართველო სულ მალე უნდა გახდეს ერთიანი ევროპის სრულყოფილი წევრი, რისთვისაც მზადება, ყველა მიმართულებით, დროულად უნდა დაიწყოს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოს საჰაერო სივრცის მოწყობა და ორგანიზება ევროსტანდარტების შესაბამისად. შეფერხებები არ უნდა დავუშვათ, რათა ჩვენი განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სატრანზიტო დერეფნის ინფრასტრუქტურის მოწყობა და ქვეყნის სატრანზიტო დერეფნად გადაქცევა. საჰაერო სივრცე კი ამ დერეფნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად უნდა იქცეს.

***ამირან სალუქვაძე***

***სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი***

# ინტენსიური დიალოგი რეგიონების მოსახლეობასთან





*„საინფორმაციო ცენტრი **NATO**-ს შესახებ“ რეგიონებში საქართველოს მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრების მთავარი მიზანი საზოგადოების ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის თაობაზე დეტალურად ინფორმირება იყო.*

19 ნოემბერს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სტუდენტურმა ინიციატივამ NATO-სათვის“ მოაწყო მორიგი შეხვედრა-დისკუსია თემაზე „ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, მასმედიის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის ლექტორ-პედაგოგები, უმაღლესი საბჭოს წევრები.

დასაწყისშივე ითქვა, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანია არა მარტო სახელმწიფოს მზაობა, არამედ აუცილებელია ყველას გათვითცნობიერებული ჰქონდეს საერთო-ევროპული ფასეულობები. ანალოგიური ტიპის შეხვედრებს „ახალგაზრდული ინიციატივა“ პერიოდულად გამართავს.

„საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ“ კახეთის ბიურო სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს ინტენსიურად მართავს. 20 ნოემბერს, საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი თელავის რაიონის სოფელ რუისპირს ეწვია. დისკუსიის მონაწილეებმა საქართველოს NATO-ში ინტეგრაციისთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. საუბარი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრინციპებზე, ძირითად ღირებულებებსა და საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე გაიმართა.

## ჯანსაღი მენტალიტეტი – ჯანსაღი საზოგადოება

3 დეკემბერს NATO-ს საინფორმაციო ცენტრის ბათუმის ბიურომ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „დემოკრატიის ინსტიტუტი“ ახალი ინიციატივის პრეზენტაცია გამართეს. ცენტრისა და ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დასაქმების პროგრამა



შესთავაზეს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ციხიდან სულ რამდენიმე დღის წინ გამოვიდნენ. იდეის მიზანი ამ ახალგაზრდებისთვის ხელშეწყობა იყო. ინიციატივით მათ საშუალება მიეცემათ „საინფორმაციო ცენტრ NATO-ს შესახებ“ ახალგაზრდული ჯგუფის წევრები გახდნენ, აქტიურობის და ერთთვიანი საგამოცდო ვადის წარმატებულად გავლის შემდეგ კი ისინი სიმბოლურად სტიპენდიასაც მიიღებენ. შეხვედრაზე ახალგაზრდებს შორის უშუალო დიალოგი შედგა ე.წ. ქურდული მენტალიტეტის თაობაზეც, მიუხედავად იმისა, რომ თემას მწვავე კამათი მოჰყვა, ახალგაზრდები შეთანხმდნენ, რომ კრიმინალური მენტალიტეტი თაობისთვის დამღუპველია, ამიტომაც სახელმწიფომ და საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მით უფრო, როდესაც ქვეყანას სურს გახდეს ალიანსის სრულუფლებიანი წევრი.

## საუბრები **NATO**-ზე მარნეულში

6 დეკემბერს, „საინფორმაციო ცენტრმა NATO-ს შესახებ“ მარნეულში პროექტის „საუბრები NATO-ზე ქვემო-ქართლში“ მესამე ნაწილი განახორციელა. რეგიონში მცხოვრებ ქართველ, სომეხ, აზებაიჯანელ და რუს ახალგაზრდებს სემინარი NATO-ს თემატიკაზე ჩაუტარდათ. პროექტის ძირითადი მიზანი იყო მარნეულის მოსახლეობის და იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინფორმირება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ. სემინარზე მომხსენებლები არასამთავრობო ორგანიზაციიდან, სამთავრობო უწყებიდან და საელჩოებიდან გახლდნენ. „ახალი თაობა ახალი ინიციატივის“ წარმომადგენელმა ისაუბრა, თუ რა არის NATO. რუმინეთის ელჩმა საქართველოში დაინ მიჰაი ბარლიბამ ისაუბრა, თუ რა პერსპექტივები მოაქვს NATO-ში ინტეგრაციას ქვეყნისთვის, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კი ძირითადი აქცენტი მიმდინარე რეფორმებზე გააკეთა. მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „გზა NATO-სკენ“, რომელიც სპეციალურად რუსულ ენაზე ითარგმნა იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის. ფილმი მოგვითხრობს NATO-ს შექმნის ისტორიასა და საქართველო–NATO-ს ურთიერთობების შესახებ. ნაჩვენები იყო ასევე ანიმაციური ფილმი „ანისა და რატის საოცარი თავგადასავალი NATO-ში“. პროგრამის ბოლოს ჩატარდა ვიქტორინა იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მიხედვით შეირჩნენ. მონაწილეებს დაურიგდათ სპეციალური კითხვარი NATO-ს თემატიკაზე. 15 შეკითხვიდან მონაწილეების სრულმა უმრავლესობამ კითხვებს სწორი პასუხი გასცა. ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილეობის სერტიფიკატები. გამოვლინდა 4 გამარჯვებული, რომლებიც სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

პროექტის ფარგლებში მარნეულს ასევე სტუმრობდა ამერიკის საელჩოს პრესატაშე ბატონი სტივენ გაისი. პროექტი „საუბრები NATO-ზე ქვემო ქართლში“ დასრულებულია.

*„საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ“ ინტენსიურ შეხვედრებს რეგიონებში მომავალშიც მოაწყობს და შეეცდება აუხსნას მოსახლეობას, თუ რატომ არის საქართველოსთვის ალიანსში გაწევრება განსაკუთრებული მნიშვნელობის.*

# ციხიდან გამოსულ პროფესიონალ სამხედროს სიმართლის გარკვევა სურს

2005 წლის ზაფხულში ქართული არმია მორიგმა სკანდალმა მოიცვა, რომელიც „БМП-ების საქმით“ გახდა ცნობილი. ამ საქმეზე არაერთი სტატია გამოვაქვეყნეთ „არსენალში“ და „კვირის პალიტრის“ სამხედრო გვერდზე. მკითხველს შევახსენებთ, რომ სკანდალი გამოიწვია უკრაინაში ნაყიდი იმ 40 ცალი БМП-2-ის გაფუჭებამ, რომლებიც ორფოლოს პოლიგონზე ჩატარებული სწავლების „ჯავშანი-2005“-ის დროს დაფიქსირდა. ამის გამო მაშინ დააპატიმრეს სამი მაღალჩინოსანი სამხედრო, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამსახურებრივი გულგრილობა უკრაინაში საბრძოლო ტექნიკის შესყიდვისას. სამივეს დახურულმა სასამართლომ სასჯელად 2,6-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო პროცესების დახურვის გამო არ არსებობდა იმის საშუალება, რომ მოგვესმინა დაპატიმრებულ ოფიცერთა არგუმენტები.

2007 წლის 23 ნოემბერს ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. „არსენალს“ დაუკავშირდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის ყოფილი სარდალი, პოლკოვნიკი **მამუკა ლომსაძე**, რომელმაც „БМП-ების საქმის“ გამო 2,2 წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარა და რომელსაც მიაჩნია, რომ იგი უდანაშაულოდ დაისაჯა თავდაცვის ყოფილი მინისტრ ოქრუაშვილის, გენშტაბის ყოფილი უფროსის ნიკოლეიშვილისა და შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ჩიხლაძის პირადი ინტერესების გამო.


პოლკოვნიკი მამუკა ლომსაძე

გთავაზობთ ინტერვიუს პროფესიონალ სამხედროსთან, რომელსაც სიმართლის გარკვევა სურს და მიუხედავად ყველაფრისა, თანახმაა გააგრძელოს სამხედრო სამსახური სამშობლოს დასაცავად.

— **რამდენად სწორად აშუქებდნენ „БМП-ების საქმის“ სასამართლო პროცესს?**

— საზოგადოებას მიეწოდებოდა მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია, რაც არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ჭეშმარიტება დადგენილიყო. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ სასამართლო სხდომები დაიხურა და, ფაქტობრივად, გასაიდუმლოვდა ყველა ის ჩვენება და პროცედურები, რაც ტარდებოდა. რადგან არც მაშინ და არც ახლა თავს დამნაშავედ არ ვცნობ, მინდა დაინტერესებულ პირებამდე მივიტანო ის, რაც სინამდვილეში მოხდა.

— **როგორ ხდებოდა საბრძოლო ტექნიკის მიღება უკრაინაში?**

— ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის მიღების მიზნით ჩამოყალიბდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი. ჯგუფების ხელმძღვანელობა და მათი კოორდინაცია დამევალა მე. ჯგუფის თითოეულ წევრზე უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გააფორმა ნებართვა შესაბამის სამხედრო ობიექტზე დასაშვებად, რაც გამორიცხავდა ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურის მოხვედრას ისეთ ობიექტზე, რაც საჭიროებას არ წარმოადგენდა. ამით მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ კომისიის თითოეულ წევრს ჰქონდა თავისი სამუშაო ადგილი და ვერანაირად ვერ მოხერხდებოდა მათი თვითნებურად გადაადგილება ჯგუფიდან ჯგუფში. მით უმეტეს, რომ ყველა ჯგუფი დამოუკიდებლად მუშაობდა სხვადასხვა ქალაქში, რომლებიც ძალიან დიდი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთს.

ჩემი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, ყველა ჯგუფი ჩავიყვანე ქარხნებში, ორგანიზაცია გავუწიე მიმღები სამუშაოების დაწყებას და თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში დავბრუნდი მივლინებიდან.

სპეციალისტები ადგილზე ესწრებოდნენ მანქანების აწყობის პროცესს, მერე გამზადებულ მანქანას წარუდგენდნენ ჩვენს კომისიას, რომელიც დაათვალიერებდა, შეამოწმებდა მას სტაციონარულ პირობებში, შემდეგ კი დაიწყებოდა საველე გამოცდები, რაც ითვალისწინებდა ასკილომეტრიან საკონტროლო გარბენს, ტყვიამფრქვევისა და ქვემეხის საკონტროლო სროლას, მანქანის კორპუსის შემოწმებას წყალმდგრადობაზე ცურვის დროს და ძირითადი აღჭურვილობის მუშაობას. ყოველი ერთეული ტექნიკის მიღების შემდეგ ფორმდებოდა ტექნიკური მიღების აქტი, რომელიც დასტურდებოდა ორმხრივი ხელმოწერებით. მთელ პარტიაზე გაფორმდა კრებსითი აქტი. ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ მე ხელს ვაწერდი საერთო აქტს.

საქართველოში შემოსული საბრძოლო ტექნიკა მიღებულ იქნა კომისიური წესით და გადაეცა სამხედრო ნაწილებს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით, სადაც აღნიშნულია, რომ მანქანები გამართული და სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. ამის შემდეგ საბრძოლო მანქანების სწორ ექსპლუატაციასა და შენახვაზე პასუხისმგებელი გახდნენ სამხედრო ნაწილის მეთაურები.

— **როგორ მომზადდა საზღვარგარეთ შესყიდული ჯავშანტექნიკის სწორი ექსპლუატაციისთვის საჭირო ეკიპაჟები?**

— საჭირო იყო ოფიცრებისა და ეკიპაჟების მომზადების ორგანიზება, მაგრამ ამის ნაცვლად დაიწყო საბრძოლო მანქანების ინტენსიური ექსპლუატაცია გორში, სადაც თითქმის ყოველ საღამოს თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის უფროსი აწყობდნენ ე.წ. მოულოდნელ განგაშებს. ექსპლუატაციის ყველა წესის დაცვის გარეშე (ძრავების ამუშავება წინასწარი შემთბობის გარეშე) გამოჰყავდათ მანქანები პოლიგონზე. იწყებოდა ინტენსი-



**„ჯავშანი-2005“-ზე 30-მდე БМП-2 გამოჩნდა, არადა მაშინდელი გენშტაბის უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლეიშვილი აცხადებდა, რომ 40 შესყიდული БМП-2-დან 38 მწყობრიდან გამოვიდაო...**

ური სროლა ავტომატურ რეჟიმში (200-250 გასროლა ერთ ჯერზე), რაც კატეგორიულად აკრძალულია ინსტრუქციით და იწვევს ძრავასა და ქვემეხის ლულის ინტენსიურ ცვეთას, ზოგიერთ შემთხვევაში კი მწყობრიდან გამოსვლასაც. ერთ ღამეს კი ოქრუაშვილმა რესტორანში ყოფნის შემდეგ გორში ჩაიყვანა თავისი ახლობელი, რომელსაც „პატივსაცემად“ მემიზნე-ოპერატორის ადგილიდან ასროლინეს. რადგან მან არ იცოდა სროლის წესები, ერთ ჯერზე 250-ჯერ გაისროლა, რაც კატეგორიულად აკრძალულია.

ქუთაისის ბრიგადაში მანქანები ღია ცის ქვეშ დააყენეს, დაიკარგა დამცავი ბრეზენტები და მთელი 4 თვის განმავლობაში მანქანებს აწვიმდა. მათ დიდ ნაწილში წყალი დაგროვდა, რამაც გამოიწვია რადიოსადგურებისა და სხვა ელექტროაპარატურის შეფერხებით მუშაობა.

ვაზიანის ბრიგადაში პირადი შემადგენლობა მომზადებული იყო „წვრთნა და აღჭურვის“ პროგრამით და ამიტომაც იქ საბრძოლო მანქანები არც დაზიანებულა. ერთადერთი მანქანა გამოვიდა მწყობრიდან მძღოლი-მექანიკოსის დაუდევრობის გამო, – რეცხვის დროს წყალი მოხვდა ინჟექტორში, მაგრამ გენშტაბის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ეს გააფორმა როგორც ქარხნული წუნი. ალბათ, ყველას ახსოვს, იმ პერიოდში ტელევიზიით ხშირად აჩვენებდნენ БМП-ების წვრთნებს, სადაც სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელები (ოქრუაშვილი, ნიკოლეიშვილი) „მაგარი“ ტექნიკით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ყველამ იხილა, თუ ორფოლოს პოლიგონზე როგორ გაეჯიბრნენ ერთმანეთს ოქრუაშვილი და ნიკოლეიშვილი ჩეხური ტანკებით, მაგრამ კადრს მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ ნიკოლეიშვილმა ტანკზე საბორტო გადაცემათა კოლოფი გამოიყვანა მწყობრიდან, რაც 15-20 ათასი დოლარის ზარალის ეკვივალენტი იყო.

ამავდროულად, არავის უზრუნია ეკიპაჟების მომზადებაზე, მათ გამოცდებსა და შესაბამისი მოწმობების გაცემაზე, რაც დაადასტურებდა, რომ ესა და ეს პირი არის ამ მარკის საბრძოლო მანქანის მძღოლი-მექანიკოსი, მემიზნე-ოპერატორი ან მეთაური. კატეგორიულად დაუშვებელი იყო მათი დაშვება საბრძოლო მანქანებზე. სასამართლო პროცესებზე ვერც ერთმა ვერ წარმოადგინა თავისი პროფესიული მიკუთვნების დამადასტურებელი მოწმობა. ბევრმაც სასამართლო პროცესებზე პირველად ნახა ქართულად ნათარგმნი БМП-2-ის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო.

ასეთ პირობებში ბატონ ნიკოლეიშვილს გაუჩნდა იდეა, ჩაეტარებინა ფართომასშტაბიანი სატანკო სწავლება „ჯავშანი-2005“. სწავლების ძირითადი მიზანი ის იყო, როგორმე ნიკოლეიშვილს საოცნებო გენერლის წოდება მიეღო. სხვა ვერაფრით აიხსნება მთელი სატანკო ქვედანაყოფების ორფოლოს პოლიგონზე გაყვანა, სადაც დამუშავებულ იქნა ის ელემენტარული საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია საბრძოლო მომზადების პროგრამაში და თავისუფლად ჩატარდებოდა სამხედრო ნაწილების პოლიგონებზე ზედმეტი ხარჯის გარეშე. საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, რელიეფი. ამის შესახებ არც ერთ ბრძანებაში გაკვრითაც კი არ არის მითითებული.

სწავლებამდე გენშტაბის უფროსის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა ქვედანაყოფების მზადყოფნა სწავლებებისათვის. კომისიის მოხსენებაზე, რომ გორსა და ქუთაისში ეკიპაჟები მოუმზადებლები იყვნენ, ნიკოლეიშვილმა უპასუხა: ეს არაფერია, ადგილზე ისწავლიან ყველაფერსო.

სწავლებების უზრუნველსაყოფად შემოიტანეს უხარისხო ზეთები, რომელთა სიბლანტის მაჩვენებელი 16-ის ნაცვლად 11 იყო და ეს დადასტურდა ექსპერტიზის დროსაც. თუმც ნაწილის მეთაურებმა და ოფიცრებმა ეს ფაქტი დამალეს, საერთოდ უარყვეს ზეთების შეცვლის ფაქტი. სხვათა შორის, ეკიპაჟის წევრებს სასამართლო გამოძიების დროს წამოსცდათ, რომ ზეთები მართლაც უვარგისი იყო. ამისათვის ლოგისტიკის ერთ-ერთი ოფიცერი სასწრაფოდ გამოუშვეს თბილისში ზეთების ნიმუშების შესარჩევად ბატონ იასონ ჩიხლაძესთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაიწყო მანქანების მწყობრიდან გამოსვლა. ამ პერიოდში ბატონ ნიკოლეიშვილს ან უნდა ეღიარებინა თავისი უვიცობა, რომ სწავლებები არასწორად დაიგეგმა, რომ პირადი შემადგენლობა არ იყო მომზადებული, ან მოეძებნა ვინმე, ვისაც გადაბრალდებოდა ყველაფერი. გამოსავალიც მოძებნა. სწავლებები დაასრულა გრანდიოზული შოუთი, სადაც ძალიან კარგად ჩანს, რომ კოლონაში გაიარა 30-ზე მეტმა БМП-2-მა. ჩვენ კი ბრალად წაგვიყენეს, რომ 38 მანქანა გამოვიდა მწყობრიდან. პარალელურად წერილი მისწერა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს მწყობრიდან გამოსული მანქანების ფაქტის გამოძიებაზე. ამ დროს ყველა მანქანა საგარანტიო მომსახურების რეჟიმში იყო და პრეტენზია უნდა წაეყენებინათ მწარმოებელი ქარხნისათვის, რის შემდეგაც ორმხრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტიზა დაადგენდა, რამ გამოიწვია მანქანების მწყობრიდან გამოსვლა, მაგრამ ეს არავინ გააკეთა.

სამხედრო პოლიციაში საქმე თავდაპირველად საბრძოლო ტექნიკის განზრახ დაზიანების ფაქტზე აღიძრა (სისხლის სამართლის კოდექსის 397-ე მუხლით), 2005 წლის 9 სექტემბერს, მაგრამ ნიკოლეიშვილს ეს ხელს არ აძლევდა, ამიტომ სასწრაფოდ შეიცვალა საქმის გამომძიებელი და საქმეც გადააკვალიფიცირეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გულგრილობის მუხლებით. ოქრუაშვილისა და ნიკოლეიშვილის მითითებით მე და კიდევ 2 ოფიცერი დაგვაკავეს. ბრალდება ასეთი იყო: თითქოს მე უნებართვოდ მივატოვე მივლინების ადგილი, უნებართვოდ გადავიყვანე ხალხი ჯგუფებში, რითაც გადავამეტე უფლებამოსილებას და ხელი შევუწყვე ჩემს ხელქვეითებს სამსახურებრივი უფლებების ბოროტად გამოყენებაში, რაც გამოიხატა შეგნებულად გაუმართავი ტექნიკის მიღებით.

ჩემი მოთხოვნა, დაეკითხათ ჩემი მაშინდელი უშუალო ხელმძღვანელები (ბარამიძე, ოქრუაშვილი, ნიკოლეიშვილი, გაფრინდაშვილი), რომლებიც დაადასტურებდნენ ჩემს უდანაშაულობას, არ იქნა დაკმაყოფილებული. მანქანებზე ექსპერტიზა ისე ჩატარდა, რომ ძირითადი აგრეგატები ვერ გაიხსნა (ქარხნული ლუქებით იყო დალუქული). თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა უკრაინელი ექსპერტების მიღებაზე და ექსპერტიზა ჩაატარებინეს ისეთ ხალხს, ვინც БМП-2-ის ტიპის საბრძოლო მანქანები პირველად მაშინ ნახა. არავის შეუსწავლია, რამდენად სწორად იყენებდნენ მანქანებს, რამდენად კვალიფიციური ხალხი ემსახურებოდა, რამდენად ხარისხიანი საწვავი და საპოხი მასალები გამოიყენებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში იგრძნობოდა ოქრუაშვილის გავლენა სასამართლო პროცესებზე. მეც რამდენჯერმე მიმანიშნეს, — ამ გაუგებრობიდან რომ გამოვსულიყავი, უნდა გამერკვია ურთიერთობა ოქრუაშვილთან, რადგან ყველაფერი ეს მისი კატეგორიული მოთხოვნით ხდებოდა.

— **რამ გამოიწვია თქვენი დაპირისპირება ნიკოლეიშვილსა და ოქრუაშვილთან?**

— ოქრუაშვილთან ჩემი ურთიერთობა დაიძაბა მას შემდეგ, რაც ჩემი თანდასწრებით არ ერიდებოდა ნიკოლეიშვილის პიროვნულ, სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე არ მოსწონდა ჩემი შეხედულებები სხვადასხვა სამხედრო საკითხზე, რითაც ფაქტობრივად მისი დილეტანტობა დასტურდებოდა, ამიტომ ყველა ხერხი იხმარა ჩემს მოსაშორებლად. ამას დაემატა ისიც, რომ ფარულად დამიპირისპირდა შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი იასონ ჩიხლაძე, „ვოლკი". მიზეზი იყო ის, რომ ხარისხის კონტროლის სამმართველო, რომელიც ლოგისტიკის სარდლობაში შემოდიოდა, პრინციპულად უდგებოდა შესყიდული მატერიალური საშუალებების, საწვავის, პროდუქტისა და აღჭურვილობის მიღების საკითხს, რაც მომწოდებლების გაღიზიანებას იწვევდა. ამიტომაც ჩემი სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ის სამმართველოც მალევე გააუქმეს. აგრეთვე უთანხმოება მოგვივიდა სხვადასხვა ქვეყნიდან (ალბანეთი, მაკედონია) შემოსატანი საბრძოლო მასალების მიზანშეწონილობაზეც. ჩიხლაძემ და ნიკოლეიშვილმა ოქრუაშვილის დიდი ნდობით ისარგებლეს და მოახერხეს ჩემი დათხოვნა შეიარაღებული ძალებიდან, შემდეგ დაპატიმრებაც.

— **რას აპირებს გამოცდილი ტანკისტი-პოლკოვნიკი?**

— ვარ პროფესიონალი სამხედრო. დამთავრებული მაქვს უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, შემდეგ ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემია (ოქროს მედალზე). გავიარე „წვრთნა და აღჭურვის პროგრამის" სამეთაურო კურსი. 1992 წლის 1-ელი თებერვლიდან ვემსახურებოდი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. მონაწილეობა მაქვს მიღებული ყველა კონფლიქტსა და საბრძოლო მოქმედებაში. მაქვს სახელმწიფო ჯილდოები. ახლაც მზად ვარ, ვემსახურო ჩემი ქვეყნის ძლიერებას.

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. ვარ დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სარეზერვო სამსახურში ვიმსახურე მხოლოდ ერთხელ, შემიძლია თუ არა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დამატებით ვიმსახურო და ჩამეთვლება თუ არა სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად?**

თქვენ უფლება გაქვთ სწავლის დამთავრების შემდეგ მეორედ გაიაროთ სარეზერვო სამსახური, ამ შემთხვევაში სამხედრო ვალდებულება მოხდილად ჩაგეთვლებათ და ჩაირიცხებით რეზერვში

**2. ვინ არის ვალდებული იმსახუროს სარეზერვო სამსახურში?**

სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა სავალდებულოა ყველა მამაკაცისთვის 27-დან 40 წლამდე, ასევე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის ერთჯერადად.

**3. შემიძლია თუ არა ვისარგებლო სარეზერვო სამსახურის გავლისას მობილური ტელფონით?**

რეზერვისტს უფლება აქვს იქონიოს მობილური ტელეფონი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს სამხედრო მომზადებისაგან თავისუფალ დროს.

**4. ვარ სტუდენტი და გავლილი მაქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური, მეკუთვნის თუ არა სარეზერვო სამსახურში გაწვევა?**

სტუდენტი, რომელსაც გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური ან სამხედრო კათედრა და აქვს სამხედრო ბილეთი, მაინც ექვემდებრება ერთჯერადად სარეზერვო სამხედრო სამსახურის გავლას.

**5. წელიწადში რამდენჯერ ხდება სტუდენტების სარეზერვო სამსახურში გაწვევა?**

გაწვევის კონკრეტული ვადები არ არის განსაზღვრული. სტუდენტების გაწვევა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში სასესიო პერიოდის გარდა.

**6. შემიძლია თუ არა მოვითხოვო, სარეზერვო სამსახურის მუხროვანის ბაზაზე გავლა?**

სარეზერვო სამსახურის გავლა ხდება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, ანუ სარეზერვო სამსახურის გავლა არ არის დამოკიდებული კონკრეტული პირის სურვილზე, რეზერვისტი სარეზერვო სამსახურს გადის იქ, სადაც ჩაწერილია.

**7. სარეზერვო სამსახურის რა ვადაა დაწესებული უმაღლესდამთავრებულთათვის?**

სარეზერვო სამსახურის ვადა ყველასთვის შეადგენს 18 დღეს.

**8. ვსწავლობ საზღვარგარეთ, როდესაც ჩამოვედი თბილისში მომივიდა უწყება სარეზერვო სამსახურში გაწვევის შესახებ, ვალდებული ვარ თუ არა წავიდე რეზერვში?**

საზღვარგარეთ სასწავლებლად მყოფი პირები თავისუფლდებიან სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან. სამობილიზაციო განყოფილებაში უნდა წარადგინოთ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი ცნობა.

**9. ვარ ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, მეკუთვნის თუ არა სარეზერვო სამსახურში წასვლა?**

სარეზერვო სამსახურში გაწვევისგან გადავადება შესაძლებელიია თუ თქვენს კმაყოფაზე მყოფი პირები შრომისუუნაროა.

**10. არ გამოვცხადდი სარეზერვო სამსახურის მოსახდელად უწყებაში მითითებულ დროს, რა სახის პასუხისმგებლობა დამეკისრება?**

თუ სამობილიზაციო განყოფილებაში გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით (ახალო ნათესავის გარდაცვალება, ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებები) პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ, ხოლო თუ გამოუცხადებლობის მიზეზს წარმოადგენდა სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდება, აღნიშნული ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.

**11. ვინ გადამიხდის ხელფასს სარეზერვო სამსახურის გავლისას?**

რეზერვში ყოფნისას თქვენ შეგინარჩუნდებათ სამუშაო ადგილი და ხელფასი, რომლის გადახდას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია.

**12. შეუძლია თუ არა ქალს გაიაროს სარეზერვო სამხედრო სამსახური?**

ქალი თავისუფლდება სარეზერვო სამხედრო სამსახურისგან, მაგრამ სურვილის შემთხვევაში შეუძლია ნებაყოფლობით იმსახუროს.

**13. ვსაწავლობ ინსტიტუტში, რომელმაც ვერ გაიარა აკრედიტაცია, მეკუთვნის თუ არა სარეზერვო სამსახურის გავლა?**

არააკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს არ ეკუთვნით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა.

**14. სამხედრო მოსამსახურეთა წახალისების რა სახეები არსებობს?**

— წახალისების სახეები

ღირსეული საქციელისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები:

ა) მადლობა;

ბ) ადრე დადებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოხსნა;

გ) საპატიო სიგელი;

დ) ფასიანი საჩუქარი;

ე) ფულადი ჯილდო;

ვ) სამხედრო ნაწილის ტერიტორიიდან ან დისლოკაციის ადგილიდან რიგგარეშე დათხოვნა (რიგგარეშე დათხოვნა);

ზ) სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის მადლობის წერილის გაგზავნა;

თ) დაჯილდოება სამხედრო ნაწილის გაშლილ საბრძოლო დროშასთან გადაღებული პირადი ფოტოსურათით;

ი) ქვედანაყოფის (ნაწილის) საპატიო დაფაზე ფოტოსურათის გაკვრა;

კ) ნაწილის (გემის) საპატიო წიგნში სამხედრო მოსამსახურის სახელის შეტანა;

ლ) „ფრიადოსანი მებრძოლის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

მ) „წარჩინებული სპეციალისტის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

ნ) უწყებრივი მედლით დაჯილდოება;

ო) მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება — ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით;

პ) სახელობითი ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით დაჯილდოება;

ჟ) სახელმწიფო ჯილდოებით — ორდენებით და მედლებით დაჯილდოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსტოვრობის ისტორია საქართველოში

## საგარეო დაზვერვა თამარ მეფის ზეობის პერიოდში

**(გაგრძელება)**

შიდაპოლიტიკური მდგომარეობა 1191 წელს, იური რუსის პირველი ამბოხების ჩახშობის შემდეგ, თანდათან დაწყნარდა. თამარმა სიტყვა არ გატეხა და მეამბოხენი (მოღალატე გუზან ტაოელის გარდა, რომელიც მოგვიანებით დააბრმავეს) არ დასაჯა. აჯანყებულთა მოთავეებს სამეფო კარზე თანამდებობები ჩამოართვა და თავისი ერთგული დიდებულები დანიშნა. ამ მოვლენების შემდგომ თამარმა ხელისუფლება მნიშვნელოვნად განიმტკიცა, გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მოძლიერდა ჯარი და მსტოვართა ქსელიც. სამეფო კარზე თანდათან იკვეთებოდა მანდატურთუხუცესის ავტორიტეტი. ქვეყანა სახელმწიფოებრივი სიძლიერის ისეთ ისტორიულ ფაზაში შედიოდა, რომლის მსგავსი დავით აღმაშენებლის შემდეგ არ ყოფილა. ამის ნიშანი იყო თუნდაც ის გარემოებაც, რომ თამარ მეფემ, როგორც იქნა, ქვეყნის საგარეო მდგომარეობის განმტკიცებისთვის და გარე ომებისთვის მოიცალა. მას დიდი ისტორიული მისია დააკისრა ბედისწერამ — დავით აღმაშენებელმა ქვეყანას ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს ავტორიტეტი მოუპოვა, თამარს კი ის უნდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა.

მე-12 საუკუნის დამლევი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის საკმაოდ დაძაბული და მოულოდნელი მოვლენებით აღსავსე იყო. სუსტდებოდნენ მაჰმადიანური ქვეყნები და ძლიერდებოდნენ ჯვაროსნები. უსწრაფესად იცვლებოდა საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან. ამ პირობებში თამარ მეფის ხელისუფლებას სჭირდებოდა მეზობელ სახელმწიფოებში თუ შორეულ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა.შ. მოვლენების ამსახველი ზუსტი ინფორმაცია. ეს ფუნქცია კი საგარეო დაზვერვას — საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ მეფის მსტოვრებს უნდა შეესრულებინათ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ თამარ მეფის საგარეო პოლიტიკა, მიუხედავად დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ს სტრატეგიულ კურსთან თანხვედრისა, ტაქტიკური გადაწყვეტილებებითა და მიზნის მისაღწევი გზებით განსხვავდებოდა წინანდელი საგარეო პოლიტიკისგან. თამარ მეფის დიდი წინამორბედები საპროტექტორო ქვეყნებს ყმადნაფიცობის სტატუსით კი არ ილებდნენ, არამედ პირდაპირ უერთებდნენ თავის სამეფოს და თავადვე მართავდნენ საქართველოს დედაქალაქიდან (რაშიც მსტოვართა დიდი ქსელი ეხმარებოდათ). თამარს კი მიზეზთა გამო (სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისიც იყო, რომ ქალ მეფეს ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ინტრიგების შედეგად მსტოვართა ინსტიტუტი დასუსტებული დახვდა და 1191 წლამდე ვერ გააძლიერა), დამორჩილებული ქვეყნების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ცნობა მოუხდა. მართალია, იმ დროს ყმადნაფიცი (ვასალი) სახელმწიფოს სტატუსი ქვეყნებს შორის ურთიერთობის უფრო დემოკრატიული ფორმა იყო, სამაგიეროდ უფრო არამყარი გახლდათ (თუნდაც შარვან-შაჰების ღალატი და განდგომა გავიხსენოთ). ვასალი სახელმწიფოს ხელისუფლება ხშირად ცდილობდა საქართველოსგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას. ამიტომაც მათი ზრახვებისა და გეგმების, ასევე შიდაპოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა.შ. მდგომარეობის მუდმივი ანალიზი თამარ მეფის ერთგული მსტოვრების ფართო ქსელის არსებობას მოითხოვდა.

ყმადნაფიცი ქვეყნების მხოლოდ ჩამოთვლაც საკმარისია, რომ ამ ამოცანის სირთულეში დავრწმუნდეთ. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი ასახელებს შირვანშეთს, დარუბანდს, ლუნძეთს, ოვსეთს, ქაშაგეთს, კარნუქალაქსა და ტრაბზონს. საგარეო დაზვერვის ეფექტიანი მოქმედება მაშინაც ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა პირობა იყო. XI საუკუნეში თურქსელჩუკთა სულთნების ვაზირმა ნიზამი ალმულქმა ქვეყნის მართვაში მსტოვრების გამოყენების მთელი თეორია შექმნა.

ადრეული შუა საუკუნეების შპიონაჟის თეორია და პრაქტიკა ნიზამი ალ-მულკის (1018-1092 წწ.) ნამდვილი სახელი ჰასან იბნ-ალია. დაიბადა ხორასანში, 1018 წელს. მსახურობდა სულთნების: თოღრულ-ბეგის (1038-1063), ალფ-არსლანისა (1063-1072) და მალიქ-შაჰის (1072-1092) კარზე. მონაწილეობდა ქართველი მეფეების წინააღმდეგ ომებში. თურქ-სელჩუკების იმპერიაში ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის დროს პირველი ვეზირის პოსტი ეკავა და აგვარებდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის შპიონაჟსაც. მალიქ-შაჰის დავალებით დაწერა ტრაქტატი „სიასეტ ნამე“ — „წიგნი XI საუკუნის ვეზირის მმართველობის შესახებ“. ნიზამი ალ-მულქი 1092 წელს მოკლეს. ეს ტრაქტატი, როგორც მკვლევრები (მაგ. ჰაჯი-ჰალფი, „ბიბლიოგრაფიული ენციკლოპედიის“ შემდგენელი XVII საუკუნეში) ფიქრობენ, დაწერილია 1076-77 ან 1091-92 წლებში.

ამ ტრაქტატში ნიზამი იძლევა სახელმწიფოს მართვის საკუთარ ხედვას და კონკრეტულ რჩევებს აძლევს მმართველს. ერთ-ერთი რჩევაა ცენტრალიზებული მართვის აპარატის, პირადი გვარდიისა და მსტოვართა ფართო ქსელის შექმნა. ის ურჩევდა სულთანს მსტოვრები („აინი“, ანუ „თვალები“) მიეჩინა ვეზირებისთვის, რელიგიური პირებისთვის, მხედართმთავრებისთვის, გადასახადის ამკრებთათვის, ფაქტობრივად, ყველა ხელქვეითისთვის. ასევე გამოერკვიათ ჯარისა და ხალხის განწყობა, — მოკლედ, შეექმნათ ყოვლისმომცველი შიდაპოლიტიკური დაზვერვა. გარდა ამისა, მსტოვრები უნდა გაეგზავნათ სხვა ქვეყნებშიც — ვითომ ვაჭრები, მოგზაურები და ექიმები იყვნენ. ნიზამი ურჩევს სულთანს აუცილებლად იყოლიოს საჰიბ-ჰაბარები — ინფორმაციის მინისტრისა და საჰიბ-ბერიდი — საკურიერო სამსახურის უფროსის პროტოტიპები. ისინი უნდა ყოფილიყვნენ სულთნის სპეცსამსახურის ოფიციალური აგენტ-თანამშრომლები. ნიზამის აზრით, განსაკუთრებით საჰიბ-ჰაბარის ყოლა იყო აუცილებელი, რაც სასულთნოს არსებობის საფუძველს წარმოადგენდა. თავის ტრაქტატში ნიზამი საინფორმაციო-აგენტურული საქმიანობისთვის კადრების შერჩევას დიდ ყურადღებას უთმობს. ისინი უნდა ყოფილიყვნენ მორწმუნე, გამოცდილი და პატიოსანი. საგარეო დაზვერვის კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდათ ელჩებსა და ვაჭრებს, რომლებსაც სხვა ქვეყნებში უნდა შეეგროვებინათ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია: ჯარის რაოდენობაზე, შეიარაღებაზე, პოლიტიკურ ინტრიგებზე, ხელმწიფე-მმართველის კარზე ძალთა თანაფარდობაზე, წოდებრივ განსხვავებებზე, სახელმწიფო მოხელეების შესახებ არსებულ კომპრომატებზე და ა.შ. ვაჭრები, ელჩებთან შედარებით, უფრო თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების უფრო მეტი საშუალება ჰქონდათ.

### მსტოვრები ვაჭრების სამოსელში

XI-XII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში, შავის ზღვის რეგიონში და დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სავაჭრო ცენტრი იყო, სადაც ვაჭრობასთან ერთად ფარულ სადაზვერვო საქმიანობასაც ეწეოდნენ ვაჭრების სამოსელში გადაცმული მსტოვრები. რუსეთის ტერიტორიაზე ორი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი მდებარეობდა: ჩრდილოეთის მთავარი სავაჭრო-სასაწყობე პუნქტი ნოვგოროდი იყო, ხოლო

სამხრეთით კიევი, სადაც ძირითადად ინდოეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ბიზანტიის ქალაქებიდან შემოსული საქონელი ხვდებოდა. რუსი დიდი მთავრები უცხოელ ვაჭრებს გადაადგილებისა და ცხოვრების სპეციალურ მოთხოვნებს უწესებდნენ. ნოვგოროდში დიდი ხნით ცხოვრობდნენ გერმანელი და ჰოლანდიელი ვაჭრები, რომლებსაც ზღვითა და ხმელეთით შეჰქონდათ საქონელი ნოვგოროდში. ისინი დებდნენ ხელშეკრულებას დიდ მთავართან და მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდათ ვაჭრობის უფლება. ამ ხელშეკრულებით უცხოელი ვაჭრების (ხშირად ფარული მსტოვრების) უფლებებიც დაცული იყო. მაგალითად, ნოვგოროდში ვაჭრის მოკვლისთვის გადასახადი, საკმაოდ მაღალი – 10 გრივნა იყო. ვაჭრების ციხეში ჩასმა მიღებული არ იყო, მოქმედებდა მხოლოდ დაჯარიმების სისტემა. თუ რუსი შეუსწრებდა უცხოელს თავის ცოლთან, რქების დადგმის სანაცვლოდ 10 გრივნა უნდა მიეღო.

კიევში განლაგებული იყო ბიზანტიიდან შემოტანილი საქონლის საწყობები, სადაც ნოვგოროდელები ყიდულობდნენ და შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყიდდნენ აღმოსავლურ საქონელს. იმ საუკუნეებში შავი ზღვა უკვე ფართოდ გამოიყენებოდა ვაჭრობისთვის. რუსი ვაჭრები კონსტანტინოპოლსა და ალექსანდრიაშიც ჩადიოდნენ, ხოლო ბიზანტიელები ვლადიმირსუზდალის სამთავროებსაც აღწევდნენ. რუსი ვაჭრებიც მიდიოდნენ უცხოეთში სავაჭროდ, მათ გაჰქონდათ ბეწვეული, ოქრო, ვერცხლი, ხეტყე და სხვ. ამ სავაჭრო მიმოსვლის აუცილებელი ატრიბუტი უცხო ქვეყნებზე ინფორმაციის შეგროვება იყო. რუსი ისტორიკოსი სოლოვიოვის თანახმად, 1184 წლის ერთ-ერთ რუსულ წყაროში აღნიშნულია, რომ ყივჩაღების დასალაშქრავად წასულ რუს მთავრებს გზად სამხრეთიდან მომავალი ვაჭრები შეხვდნენ. შესაძლოა, ეს საქართველოდან წასული ვაჭრებიც ყოფილიყვნენ. სამხრეთის სავაჭრო გზებზე რუსებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს ყივჩაღები წარმოადგენდნენ, რომლებიც დაუნდობლად ძარცვავდნენ მდინარე დნეპრზე მცურავ სავაჭრო გემებს. იმ პერიოდში ყივჩაღები თითქმის მთელი სამხრეთის სავაჭრო გზებს აკონტროლებდნენ.

დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე სასარგებლოც იყო და საზიანოც. სწორედ არაქართველი ვაჭრების, ხელოსნებისა და მკურნალების ფენებში პოულობდნენ საქართველოს ხელისუფალნი აგენტურას. ისინი უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას, როგორც წესი, მსტოვრების ფუნქციასაც ასრულებდნენ. სამაგიეროდ, საქართველოს შიდა და გარე მტრებსაც ამ წრეებშივე ჰყავდათ ჯაშუშ-აეშაგნი. საქართველოს საგარეო დაზვერვის გამართულად მოქმედებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოება იყო. ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ უცხოური წარმოშობის ვაჭრები პოლიტიკურად ყოველთვის არასაიმედონი იყვნენ.

ქართველი ისტორიკოსების შეხედულებით (მაგ. პროფ. ილ. ანთელავა), ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ იმ პერიოდის (ვგულისხმობთ XI-XIII საუკუნეებს) არც ერთი ქართველი ვაჭარი, მაშინ როდესაც ისტორიულ წყაროებში დასახელებული ვაჭრები (მათ შორის თამარის პირველი ქმრის, იური რუსის საქართველოში ჩამომყვანი ზანქან ზორაბაბელი) უცხო წარმოშობის იყვნენ. თავდაპირველად, ისინი, ძირითადად, მაჰმადიანი ვაჭრები იყვნენ, თუმცა XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ ადგილს თანდათან სომეხი ვაჭრები იკავებენ. თვით სომეხ ისტორიკოსთა აზრით (მაგ. ლ. ბაბაიანი), საქართველოს ერთიან სამეფოში საკმაოდ გამდიდრებული და დაწინაურებული სომეხი ვაჭრები მონღოლთა ჯაშუშობასაც ითავსებდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულადაა გავრცელებული შეხედულება, რომ ვაჭარ-ხელოსანთა ფენის უცხო რელიგიურ-ეთნიკური შემადგენლობა საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანება-გაძლიერებისათვის უარყოფითი მოვლენა იყო.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*


საუკეთესო საჩუქარი
დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულებისთვის!!!
«მსოფლიო სპორტის» ბიბლიოთეკის I ტომი
ურუგვაიდან გერმანიამდე

პირველად – ენციკლოპედიური ხასიათის
პირველად – მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატი ერთად
პირველად – დიდი ფორმატის, 500 გვერდიანი, მთლიანად ფერადი, ლამინირებული მაგარ გარეკანში




წიგნი, რომელიც სჭირდება ყოველს

1930-2006 წლების მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატის ისტორია, მასპინძელი ქვეყნების მოკლე ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შესარჩევი და ფინალური ეტაპების დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, ჟურნალისტური მიმოხილვები და საინტერესო ფაქტები.

გამოყენებულია 1000-ზე მეტი ფერადი ფოტო და ცალკე თავი ეძღვნება ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე.

თბილისში შეგიძლიათ შეუკვეთოთ სახლში მიტანით,
ტელ: 38-26-73; 42-43-40. (ელვა-სერვისი)
ასევე მოიკითხეთ წიგნის მაღაზიებში

ჩვენი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების შექმნის ისტორია და დღევანდელი ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ანალიზი თუნდაც იმიტომაა აქტუალური და აუცილებელი, რომ სომხეთი საქართველოს ჩრდილოეთ მეზობლისა და „დიდი მეგობრის", რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და, აქედან გამომდინარე, ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურები ხშირად ერთობლივად მოქმედებენ.


სერჟ სარქისიანი

# სომხეთის სპეცსამსახურები

სომხეთის სპეცსამსახურები აქტიურად „მოღვაწეობენ" საქართველოს ტერიტორიაზე და მოიპოვებენ ოპერატიულ-აგენტურულ ინფორმაციას თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების შესახებ, რომელსაც შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებს გადასცემენ. ამავე დროს სომხეთის უშიშროების სამინისტროს მიზანია საქართველოს ცალკეულ რეგიონში (უპირველესად სამცხე-ჯავახეთსა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში) ოპერატიულ-აგენტურული მუშაობაც. ამასთან, 2008 წლის თებერვალში სომხეთში უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები და უდავოა, რომ მისი შედეგები საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. ამჟამინდელ პრეზიდენტს, რობერტ ქოჩარიანს, კონსტიტუციის თანახმად უფლება არ აქვს მესამედ წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა. ამ ეტაპზე ძირითად კონკურენტებად სომხეთის პრემიერ-მინისტრი, აშკარად პრორუსული ორიენტაციის მქონე სერჟ სარქისიანი და პირველი პრეზიდენტი, შედარებით დასავლური ორიენტაციის ლევონ ტერ-პეტროსიანი არიან. პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკმაოდ მძაფრი დაპირისპირებაა მოსალოდნელი. სარქისიანის უპირატესობა ადმინისტრაციული რესურსების (მათ შორის სპეცსამსახურების) ფლობით გამოიხატება, ტერ-პეტროსიანს კი საკმაოდ დიდი პოლიტიკური გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

## სომხეთის სპეცსამსახურების შექმნის ისტორია

სომხეთის უშიშროების სისტემის განვითარების ისტორია იცვლებოდა მთლიანად ქვეყნის განვითარების ეტაპების პარალელურად. ადრეულ შუა საუკუნეებში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, ამ ქვეყანაში უშიშროების უზრუნველყოფა მინდობილი ჰქონდათ როგორც ცალკეულ სახელმწიფო მოხელეებსა და მათ ქვეშევრდომებს, ასევე ფეოდალურ ოჯახებს. შემდგომ საუკუნეებში, რუსეთის იმპერიაში შესვლამდე, სომხეთი ოსმალეთსა და სპარსეთს ჰქონდათ


გორიკ აკოპიანი

განაწილებული და, ბუნებრივია, დამოუკიდებელი სპეცსამსახური არ გაჩნდა. სომხეთმა 1918 წლის 28 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რომელიც ხანმოკლე გამოდგა. იმ წლებში, ძირითადად, სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო დაზვერვის განყოფილება აქტიურობდა, რომელიც მოქმედებდა სამხედრო სამინისტროს მთავარი შტაბის სტრუქტურაში.

არქივების თანახმად, ჯერ კიდევ 1918 წლის 13 აგვისტოს სომხეთის მინისტრთა საბჭომ ოცი ათასი მანეთი გამოყო სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩასატარებლად. დამოუკიდებელი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მუშაობის დაწყების თარიღად კი სომხეთში 8 აგვისტო ითვლება. სომხეთის სამხედრო კონტრდაზვერვის პირველი ხელმძღვანელი პორუჩიკი არტემ არკადის ძე ოვანესიანი, ხოლო დაზვერვის — პოლკოვნიკი ალექსანდრ კონსტანტინეს ძე შნეური იყვნენ.

1919 წლის სექტემბრიდან 1920 წლის აპრილამდე დაზვერვის განყოფილებას მეთაურობდა კაპიტანი ვანგ მურადიანი, რომელიც შემდეგში შეცვალა კაპიტანმა ტიგრან დევოიანმა. ეს განყოფილება იმ პერიოდში სომხეთის ძირითადი სპეცსამსახური და სამართალდამცავი სტრუქტურა იყო. მის ფუნქციებს შეადგენდა: დაზვერვა, კონტრდაზვერვა, დანაშაულთან ბრძოლა, გარე თვალთვალი, აგენტურასთან მუშაობა და ა.შ. ეს განყოფილება საზღვარგარეთ სადაზვერვო მუშაობის წამოწყებასაც ცდილობდა. გეოგრაფიული არეალი უმთავრესად მოიცავდა ამიერკავკასიას, სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიას. სომხები სადაზვერვო ოპერაციების შესანიღბავად საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გამოყენებას ცდილობდნენ. ამისთვის იყო ცდები თბილისსა და ბაქოში სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების საფარქვეშ მზვერავების გაგზავნისა, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიეს. სამხედრო სამინისტროს მთავარი შტაბის სადაზვერვო განყოფილება ეწეოდა საგარეო-სადაზვერვო მუშაობას თურქეთსა და ირანში. სომხეთის სპეცსამსახურების ისტორიის შემდგომი ეტაპი სომხეთში საბჭოთა მმართველობის დამყარების პერიოდიდან იწყება. მას შემდეგ, რაც 1920 წლის 2 დეკემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ამ ქვეყნის უშიშროების სტრუქტურა ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი სსრკ-ის სპეცსამსახურების განუყრელი ნაწილი გახდა. 1920 წლის 6 დეკემბერს სომხეთის რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით იქმნება სომხეთის სსრ-ის საგანგებო კომისია (ჩეკა). ამავე დეკრეტის თანახმად, სომხეთის წითელ არმიაში შეიქმნა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება. სომხეთის სსრ-ს ჩეკას პირველ ხელმძღვანელად ინიშნება ნიკოლაი აივაზოვი (აივაზიანი). 1921 წლის 8 იანვრიდან 1924 წლის ბოლომდე მას ხელმძღვანელობს ცნობილი ბოლშევიკი შავარშ ამირხანიანი. 1929 წლის მარტიდან 1930 წლის ოქტომბრამდე სომხეთის სსრ-ის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში ხელმძღვანელები ხშირად იცვლებიან. ერთიმეორის მიყოლებით პოსტს იკავებენ სედრაქ მარქარიანი, აიკ პეტროსიანი და სედრაქ ოტიანი. ყველა მათგანი 1937-1938

წწ. რეპრესიებს ემსხვერპლა. დიდი სამამულო ომის დროს სომხეთის უშიშროების სისტემაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. 1941 წლის თებერვალში სომხეთის სსრ-ის NKVD-დ გამოეყო უშიშროების სახალხო კომისარიატი, მაგრამ 1941 წლის ივლისში ეს სტრუქტურები ისევ გაერთიანდნენ NKVD-ში. თუმცა 1943 წლის აპრილს ისინი ისევ გაიყვნენ. დიდი სამამულო ომის პერიოდში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს მეთაურობდა გენერალ-მაიორი გიორგი მარტიროსოვი. 1952 წლის აგვისტოდან 1954 წლის აპრილამდე მარტიროსოვს მეორედ ნიშნავენ ამ თანამდებობაზე. 1945-1947 წლებში ამ თანამდებობას იკავებდა ნიკიტა ხრიმიანი, ხოლო 1947-1952 წწ. კი სერგეი კორხმაზიანი. 1954-72 წწ. სომხეთის სსრ-ის კა-გე-ბეს მეთაურობდა გიორგი ბადამიანცი. 1972-1977 წწ. არკადი როგოზინი. ამ პერიოდს უკავშირდება საბჭოთა კა-გე-ბეს მიერ ამერიკის სამხედრო დაზვერვის წინააღმდეგ ერევანში ჩატარებული წარმატებული ოპერაცია, რომელშიც სომეხი ჩეკისტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

## ამერიკის სამხედრო დაზვერვის მარცხი ერევანში

ამ ოპერაციის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამერიკის სამხედრო დაზვერვამ კი არ გადაიბირა ორი სომეხი ეროვნების მოქალაქე, არამედ თავად გაება საბჭოთა კონტრდაზვერვის ოსტატურად დაგებულ მახეში. 70-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვამ ერევანში ერთობლივად ჩაატარეს ოპერაცია და სომხეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-7 განყოფილების (გარე თვალთვალი) ოფიცერი გრიგორიანი და „აეროფლოტის" ერევნის განყოფილების თანამშრომელი ვინმე კაპოიანი „გადაიბირეს" და თავის გუნებაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ მცირერიცხოვან აგენტურას მიათვალეს. თუმცა სულ მალე „წარმატებული" ოპერაცია სრული კრახით დასრულდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო. ამერიკელებს, კერძოდ კი სამხედრო ატაშე პრიჩარდს, კაპოიანმა პირადად გადასცა წერილი, სადაც თანამშრომლობას სთავაზობდა. 1973 წელს ახალი აგენტების გადმოსაბირებლად ერევანში სამხედრო მზვერავი ჯონ უაითჰედი მიავლინეს. ამის შემდეგ „აგენტებთან" კონტაქტი მხოლოდ სამალავების მეშვეობით ხდებოდა. 1975 წელს სამალავიდან ინფორმაციის ამოღებისას დააკავეს ამერიკელი სამხედრო მზვერავი ედმუნდ კელი. ფაქტია, რომ საბჭოთა კონტრდაზვერვამ თავად დაგეგმა ეს ოპერაცია და ბოლომდე სრულად აკონტროლებდა. ამის შედეგად გამოავლინეს და ქვეყნიდან გააძევეს დიპლომატიური საფრით მოქმედი ამერიკელი მზვერავები, დაადგინეს ამერიკის დაზვერვის ინტერესთა სფერო, მათი ოპერატიული მუშაობის მეთოდები და ა.შ. მაშინ სახელმწიფო ჯილდოები და რიგგარეშე სამხედრო წოდებები სომეხმა ჩეკისტებმაც მიიღეს.

სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს 1977-1978 წლებში მცირე ხნით გრაირ მიხაელიანი ხელმძღვანელობდა. 1978-88 წლებში კი თავმჯდომარის პოსტი მარიუს იუზბაშიანს, ხოლო 1988-1991 წწ. კი ვალერი ბადამიანცს ეკავათ. 1993 წელს იუზბაშიანის საიდუმლოებით მოცულ მკვლელობაზე ქვემოთ მოგახსენებთ. სომხეთის უშიშროების ორგანოების ისტორიის მესამე ეტაპის დასაწყისი 1991 წლის 21 სექტემბერია. 1991 წლის 4 დეკემბერს მთავრობის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, კა-გე-ბეს სახელი შეუცვალეს და დაარქვეს ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სამმართველო, რომლის მეთაურად დაინიშნა უსიკ არუთუნიანი (1991 წლიდან 1992 წლის თებერვლამდე). ამ თანამდებობაზე იგი შეცვალეს გენერალ-მაიორმა ვალერი პოღოსიანმა (1992-1993 წწ.) და გენერალ-მაიორმა ედუარდ სიმონიანცმა (1993-1994 წწ.). 1995 წელს ამ ორგანოს სახელი შეუცვალეს და ეროვნული უშიშროების სამინისტრო დაარქვეს. მინისტრად დაინიშნა სერჟ აზატის ძე სარქისიანი (სარგისიანი).

*მცირე დოსიე: სერჟ სარქისიანი დაიბადა მთიან ყარაბაღში 1954 წლის 30 ივნისს. 1971-1976 წწ. სწავლობდა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1975-1979 წწ. მუშაობდა ერევნის ელექტროტექნიკურ ქარხანაში ხარატად. 1979-1988 წწ. მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში კომკავშირულ და პარტიულ პოსტებზეა. 1989-1993 წწ. მთიანი ყარაბაღის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეა. 1993-1995 წწ. სომხეთის თავდაცვის მინისტრია. 1995-1996 წლებში სომხეთის ეროვნული უშიშროების მინისტრია, ხოლო 1996-1999 წლებში სომხეთის შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრი. 1999-2000 წლებში სომხეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია. 2000-2007 წლის აპრილამდე ერთდროულად ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და თავდაცვის მინისტრია. 2007 წლის 4 აპრილიდან დღემდე კი სომხეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზეა. სერჟ სარქისიანს ხშირად უწოდებენ სომხეთის „რუხ კარდინალს", რომლის გარეშეც არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღება.*

1999 წლის 13 ნოემბერს უშიშროების მინისტრად დაინიშნა კარლოს პეტროსიანი. 2002 წლის 17 დეკემბერს, პრეზიდენტის ბრძანებით, MNBA-ს სახელი შეუცვალეს და დაარქვეს ეროვნული უშიშროების სამსახური. ამ ორგანოს 2004 წლის 5 ნოემბრამდე ისევ პეტროსიანი ხელმძღვანელობდა. მას არასოდეს ჰქონია შეხება სახელმწიფო უშიშროებასთან. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო შემდეგ სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პეტროსიანი საგამოძიებო განყოფილების უფროსი გახდა, ხოლო როდესაც მილიცია შეაერთეს სახელმწიფო უშიშროებასთან, პეტროსიანმა მიიღო ეროვნული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო განყოფილების უფროსის თანამდებობა.

2004 წლის 8 ნოემბერს ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორად გორიკ აკოპიანი დაინიშნა, რომელიც დღემდე ამ პოსტზეა.

*მცირე დოსიე: გორიკ გურგენის ძე აკოპიანი. დაიბადა 1946 წელს, გიუმრიში. დაამთავრა ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ კი სსრკ-ის კა-გე-ბეს უმაღლესი კურსები. 1969 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების სისტემაში, ეკავა სხვადასხვა თანამდებობა — თავდაპირველად სომხეთის სსრ-ის კა-გე-ბე-ში, შემდეგ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სამმართველოში. 1997-1998 წწ. იყო ეროვნული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1999-2002 წწ. ეროვნული უშიშროების მინისტრის მოადგილეა, 2002-2004 წლებში კი ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილე. სამხედრო წოდება გენერალ-ლეიტენანტი.*

## სომხეთის სპეცსამსახურების დღევანდელი სტრუქტურა

ამ ქვეყნის სპეცსამსახურების მთავარი თავისებურება ისაა, რომ როგორც ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, აქაც პიროვნებები სახელმწიფო სტრუქტურებზე მაღლა დგანან. კერძოდ, სომხეთის ძალოვან სტრუქტურებს დღეს რეალურად ორი პირი – პრეზიდენტი ქოჩარიანი და პრემიერ-მინისტრი სერჟ სარქისიანი აკონტროლებენ. ორივე მათგანი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე პრორუსული პოლიტიკოსები არიან და სპეცსამსახურიც კა-გე-ბეს სტრუქტურის მსგავსად მოაწყვეს. ეროვნული უშიშროების სამსახურში შედის დაზვერვა, კონტრდაზვერვა, სასაზღვრო ჯარები, პრეზიდენტის პირადი დაცვა, სამთავრობო სპეცკავშირი და მშიფრავების დანაყოფი. სომხეთის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების შესახებ დაწვრილებით „არსენალის" შემდეგ ნომერში მოგითხრობთ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული არმიის მზადება 16 წლის წინ, გორში დაიწყო

დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ მდიდარი ისტორია გააჩნია. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქართული ჯარის ჩამოყალიბება ძირითადად პატრიოტიზმსა და სამხედრო მოსამსახურეთა ენთუზიაზმზე დაყრდნობით დე ფაქტო საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში მიმდინარეობდა. იყო სერიოზული პრობლემები: არ იყო საკმარისი საკვები პროდუქტები, სამხედრო ფორმის ტანსაცმელი, საწვავ-საცხები მასალები, საბრძოლო მასალები, შეიარაღება. სერიოზულად მოიკოჭლებდა სამხედრო დისციპლინა.

პირველი ქართული სამხედრო ქვედანაყოფები ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა და მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

1991 წლის ბოლოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში დაიწყო პირველი სამხედრო ნაწილის ჩამოყალიბება. და ეს სამხედრო ნაწილი №1 სასწავლო ცენტრი გახლდათ, რომელიც ჯერ ახალ ალექსეევკაში განლაგდა, შემდგომში კი ქ. გორში დაიდო ბინა.

№1 სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბების დღედ 1991 წლის 5 დეკემბერი ითვლება. მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს მისმა პირველმა მეთაურმა პოლკოვნიკმა დ. ბარბაქაძემ და საბრძოლო მომზადების სამმართველოს მაშინდელმა შემადგენლობამ.

№1 სასწავლო ცენტრი წლების განმავლობაში ამზადებდა სხვადასხვა სპეციალობის რიგითებსა და სერჟანტებს (ქვეითებს, ტანკისტებს, არტილერისტებს). ყოველ ექვს თვეში ხდებოდა 400-დან 600-მდე კურსდამთავრებულის გამოშვება, რომლებიც შემდგომში სამსახურს აგრძელებდნენ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში. №1 სასწავლო ცენტრის ბაზაზე მოხდა რეზერვისტების რამდენიმე ნაკადის გადამზადება აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. საერთო ჯამში სასწავლო ცენტრში მომზადება გაიარა 15 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელთა აბსოლუტურმა უმეტესობამ კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

სასწავლო ცენტრის პირადმა შემადგენლობამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში და არც ერთხელ მტრისათვის ზურგი არ უჩვენებია და პოზიციები არ მიუტოვებია (შრომა-სოხუმის გზაზე, სოხუმის ჩრდილოეთ მისადგომებთან და სხვაგან), რის გამოც ადგილობრივი მცხოვრებლების კეთილგანწყობა და სიყვარული დაიმსახურა. ქვეყნის ინტერესებს მათმა ნაწილმა საკუთარი სიცოცხლეც შესწირა. მათ შორის იყვნენ კაპიტანი ლერი დათაშვილი, კაპიტანი ზურა თონელაშვილი, უფროსი ლეიტენანტი ზაზა გამგებელი, ლეიტენენტი ვიტალი ვარდანიძე, რიგითები ასტვაცატუროვი, ტყემალაძე, ივანიშვილი და სხვები. მათი ასაკი 18-დან 27 წლამდე მერყეობდა, მაგრამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაწირეს თავი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად და თავისი ჯარისკაცების გადასარჩენად. ნაწილი დაიჭრა, დაინვალიდდა. აღსანიშნავია, რომ მათი დიდი ნაწილი სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. პირადი შემადგენლობის ის ნაწილი, რომელიც ვერ მოხვდა მაშინ საბრძოლველად წამსვლელთა სიაში, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ატარებდა გულში წყენას თავისი მეთაურების მიმართ.

სასწავლო ცენტრის ოფიცერთა და ზემსახურთა პირადი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს (მიუხედავად იმისა, მოვიდნენ ისინი ქართულ ჯარში სამოქალაქოდან თუ გადმოვიდნენ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის შემდეგ), რომელთა ნაწილი დღესაც აგრძელებს სამსახურს შეიარაღებულ ძალებში.

ეს ხალხი იმსახურებს გვახსოვდეს და ღირსეულად დავაფასოთ მათი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ვულოცავ, მათ №1 სასწავლო ცენტრის დაარსების დღეს და ვუსურვებ, ბოლომდე დარჩენილიყვნენ სამშობლოს პატრიოტებად, მიუხედავად წოდებებისა და დაკავებული თანამდებობებისა.

გიორგი იუკურიძე
გენერალური შტაბის
უფროსი 2004 წელს

# ვირტუალური ბრძოლები

## ესეც ერთმორწმუნე რუსებთან და მეზობელ სომხებთან?!



მათთვის, ვინც კომპიუტერული სამხედრო ჟანრის თამაშებით არის დაინტერესებული, ალბათ, ცნობილი იქნება კახა ტაბრეულის სახელი. ეს არის ერთ-ერთი რიგითი ქართველის, პროფესიით იურისტის, კახა ცხვირავაშვილის ფსევდონიმი. იგი უხმაუროდ აკეთებს ქართულ საქმეს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პოპულარულ კომპიუტერულ თამაშებში ქართველი მებრძოლებიც მონაწილეობენ. თუმც საამისოდ კახას დიდი ბრძოლა დასჭირდა.

მან შექმნა ძველი ქართველი მებრძოლების ალკაზმულობის დიზაინიც. კახა, ფაქტობრივად, თვითნასწავლი მხატვარია. მას არც სტუდია აქვს და არც არავინ ეხმარება ფინანსურად. ინტერნეტომზე კახამ ჟურნალ „არსენალს“ უამბო ყველაფერი.

**კახა ცხვირავაშვილი:** – სტრატეგიული ჟანრის კომპიუტერული თამაშების მწარმოებელი კომპანიები Creative Asambly და SEGA უკვე დიდი ხანია უშვებენ თამაშების სერიას სახელწოდებით Total War. ამ სერიის თამაშების თემაა სხვადასხვა ისტორიული ეპოქა. პირველად გამოვიდა თამაში Shogun: Total War – შუა საუკუნეების იაპონიის სამხედრო ისტორიის შესახებ. თამაშს დიდი პოპულარობა ხვდა წილად, მწარმოებლებმა გადაწყვიტეს გაეგრძელებინათ მსგავსი ჟანრის თამაშების სერია. ასე გაჩნდა თამაში შუა საუკუნეების ევროპაზე, – Medieval: Total War და მისი დამატება – Medieval: Total War – Viking Invasion. რატომღაც ამ თამაშებში საქართველოს სამეფო არ იყო ჩასმული.

არადა, თამაშის პერიოდი ზუსტად იმ ეპოქას ეხებოდა (XII-XV სს.), როდესაც საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს ადგილი არ აღმოჩნდა არც შემდგომ სერიაში Rome: total War და მის დამატება total War – Barbarian Invasion-ში, რომელიც ანტიკურ პერიოდს ეხებოდა.

ეს თამაშები წინა სერიებისგან გამოირჩეოდა არა მარტო შინაარსობრივად, ხარისხის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სტრატეგიული, ე.წ. RTS (Real Time Strategy game) ჟანრის თამაშებში Creative Asambly-ს და SEGA-ს მიერ გამოშვებული პროდუქტები მსოფლიო ლიდერებად იქცნენ კომპიუტერული თამაშების ბაზარზე და უამრავი მომხმარებელი ჰყავს მსოფლიოში. ამასთან, ბევრი მათგანი მხოლოდ ამ თამაშებით ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიას. თამაშში ჩანს რუკა, სადაც განლაგებულია სხვადასხვა სახელმწიფო. მათ ეწოდება „ფრაქციები“ (მაგალითად, Rome: total War-ში – იულიუსთა ფრაქცია, კართაგენი, ბრუტუსების ფრაქცია, სციპიონების ფრაქცია, საბერძნეთის ქალაქები, გერმანია, გალია, მაკედონია, პართია, სომხეთი და ა.შ.), რომელთაგან მოთამაშე ირჩევს ერთ-ერთს და თამაშობს ამ ქვეყნით, შემდეგ აგროვებს ჯარს და 3 განზომილებაში შექმნილ ბრძოლის ველზე აბრძოლებს მტრის არმიებს და ა.შ.. პოპულარობა ამ თამაშებმა, სწორედ იმით მოიპოვეს, რომ 3D განზომილებაში მოთამაშეს შეუძლია მართოს 5000 ან 10000 ჯარისკაცისგან შემდგარი არმიები და გააცოცხლოს ისტორიული ბრძოლები.

Rome: total War-ში არ იყო ჩასმული იბერიის, ანუ ქართლის სამეფო (თამაში ეხება ძვ.წ. აღ-ით 280 წლიდან ახ.წ.აღ.-ის 14 წლამდე პერიოდს და მაშინდელ მსოფლიოში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს). სამაგიეროდ, განთავსებული იყო სომხეთის სამეფო და მის საზღვრებში ქ. ქუთაისი, როგორც სომხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. ამ თამაშს თამაშობს მილიონობით მომხმარებელი, დიდი თუ პატარა, რომელთა 70-80%-მა ხეირიანად არც კი იცის ისტორია. მეტიც, ამ თამაშით ისტორიულ ბრძოლებს ასწავლიან პენტაგონშიც კი (როგორც ეს ერთ უცხოურ ტელეარხზე აჩვენეს). ცხადია, ამ თამაშების მწარმოებელი კომპანიების ვითომდა „შეცდომაზე“ თვალს ვერ დავხუჭავდი. ავდექი და ათგვერდიანი წერილი მივწერე Creative Asambly-სა და SEGA-ს და პროტესტი გამოვთქვი ისტორიული უზუსტობების გამო. ამ კომპანიებს ოფისები აქვთ კალიფორნიაში, ბრიტანეთსა და ავსტრალიაშიც. დავეჭვდი, კალიფორნიის ოფისში სომხები ხომ არ მუშაობენ-მეთქი. წარმოუდგენელია, ასეთი „უზუსტობა“ შემთხვევით მოხვედრილიყო თამაშში, რომელსაც მილიონობით მომხმარებელი ჰყავს!

წერილზე არ უპასუხიათ. შარშან კი, ჩემი საპროტესტო წერილის გაგზავნიდან კარგა ხნის შემდეგ, იმავე კომპანიებმა გამოუშვეს Medieval 2 Total War, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაულ სერიასთან შედარებით გაუმჯობესებული გრაფიკით (ეს თამაში ეხება 1080 – 1530 წლებში ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიას). არც ამ ოფიციალურ გამოცემაში ჩასვეს საქართველოს სამეფო. საბედნიეროდ, საქართველოს ტერიტორია რუკაზე სხვა რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში არ შეუტანიათ.

**— აბა როგორ გაჩნდნენ საბრძოლო თამაშებში თქვენ მიერ „აღკაზმული“ ქართველი მეომრები?**

— ამ თამაშების მწარმოებელი კომპანია და ავტორები Total War-ის სერიებში მილიონობით თაყვანისმცემლებს უტოვებენ პროგრამულ შესაძლებლობას, რომ თამაშის ოფიციალური ვერსიები გადააკეთონ თავიანთი სურვილისამებრ, — შეცვალონ სახელმწიფოების სახელები, დაუმატონ ახლები, გადააკეთონ ან შექმნან ახალი ჯარისკაცების მოდელები, ოფიციალური ვერსიის ბაზაზე შექმნან ახალი, რეალურ ისტორიასთან მაქსიმალურად მიახლოებული, უკვე არსებული თამაშების არაოფიციალური ვერსიები და სხვა, ანუ შექმნან ახალი თამაში ოფიციალური ვერსიის პროგრამულ ბაზაზე. სხვათა შორის, ეს არაოფიციალური ვერსიები გაცილებით პოპულარულია, ვიდრე ორიგინალური ვერსიები. ასე იქმნება სამოყვარულო თამაშების უზარმაზარი სამყარო. Total War-ის თამაშების არაოფიციალური ვერსიების საიტის მისამართია: www.twcenter.net, ამ ინტერნეტგვერდზე განთავსებულია ფორუმი, სადაც მეც ვარ რეგისტრირებული სახელით Tadzreuli. პირველად 2005 წელს დავრეგისტრირდი და აქტიურად ვადევნებდი თვალყურს თამაშის სიახლეებს. სწორედ ამ ფორუმზე აღმოვაჩინე, რომ როდესაც Edieval 2 Total War-ის ბაზაზე ახალი არაოფიციალური თამაშების გაკეთებას იწყებდნენ, აპირებდნენ სომხეთის სამეფოს ჩასმას და საქართველოსას არა. ამ ფორუმის სომეხი იუზერები მაქსიმალურად ცდილობდნენ საქართველოს სახელი როგორმე წაეშალათ ფორუმზე. აცხადებდნენ, თითქოს საქართველო სომხეთის ვასალი იყო(?!). დავიწყე საქართველოზე ინფორმაციის მიწოდება. ვწვალობდი, ჯერ რუსულად ვწერდი ტექსტს და მერე ინგლისურად ვთარგმნიდი პროგრამის მეშვეობით, რადგან ფორუმი ინგლისურენოვანია. თურმე უცხოელების 80%-ს არაფერი სმენოდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ. ამიტომაც ძალიან გამიჭირდა მათი გადარწმუნება, პროსომხური აზროვნებიდან პროქართულზე გადმორთვა. ამიტომაც ერთ-ორ ქართველს მოვუხმე სხვა ქართული ფორუმიდან, მაგრად დამეხმარნენ ბიჭები, ერთი 18 წლის ბექა გოგინაშვილია, უაღრესად განათლებული და პატრიოტი, მეორე ისტორიკოსია. ერთად ვწერდით საქართველოს სამეფოს შესახებ ინფორმაციას იმ ფორუმზე, მაგრამ მოდერატორებმა ჩემი აქაუნთი დიდი ხნით დაბლოკეს, მეტისმეტად აგრესიულად „ეკამათები“ ჩვენს საყვარელ სომეხ იუზერებსო. ჩემი აქაუნთის დაბლოკვა რუსი იუზერების საჩივრებმაც განაპირობა, მეგობარ სომხებს გულს ხომ არ დაწყვეტდნენ! მოკლედ, რუსებსა და სომხებს საინფორმაციო-კომპიუტერული ომი ჰქონდათ გამოცხადებული საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ სხვა აქაუნთით დავრეგისტრირდი, ინტერნეტის მისამართიც კი შევიცვალე და ახალი სახელით, Tadzreuli-ით გამოვჩნდი ფორუმზე. საბრძოლველად სხვა ტაქტიკა შევარჩიე და თანდათან გავაგებინე ამ არაოფიციალური თამაშების ავტორებს, რომ საქართველოს სამეფო უძლიერესი სახელმწიფო იყო შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში.

**— ნამდვილი ინტერნეტომი გქონიათ. როგორ ფიქრობთ, გაიმარჯვეთ?**

— ალბათ, რადგან იმ ხალხმა, რომელსაც ყოველდღე ვარწმუნებდი, საქართველოს ასეთი და ასეთი ისტორია აქვს-მეთქი, თანდათან გაიცნეს ჩვენი ისტორია და გადაწყვიტეს Total War-ის არაოფიციალურ ვერსიებში (ე.წ. ადონებში და მოდიფიკაციებში) ჩაესვათ საქართველოს სამეფო. მთხოვეს, დამეხატა ან აღმეწერა შუა საუკუნეების ქართველი ჯარისკაცები, მათი აღკაზმულობა, შეიარაღება და ა.შ.

**— რის საფუძველზე შექმენით ესკიზები?**

— ბავშვობიდან ვხატავდი, ხატვის სკოლაც მაქვს დამთავრებული, თუმცა შემდეგ უმაღლესი იურიდიული განათლება მივიღე. მოკლედ, გავბედე და გადავწყვიტე თვითონ დამეხატა შუა საუკუნეების ქართველი ჯარისკაცების ესკიზები. სხვადასხვა ისტორიული წყაროდან მოვაგროვე უამრავი მასალა, კონსულტაციები გავიარე ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნესა და ცნობილ მჭედელთან — აწ გარდაცვლილ კახა



ზარნაძესთან. დიდი ინფორმაციული დახმარება გამიწია სამხედრო ისტორიკოს სოსო მარგიშვილის წიგნმა „მითები და რეალობა დავით აღმაშენებელზე“. მიღებულ ინფორმაციას ჩემი მხატვრული ფანტაზიაც მივაშველე და გავაკეთე შუა საუკუნეების ქართველი ჯარისკაცების ჩანახატები,რომლებიც ძალიან მოეწონათ Total War-ის არაოფიციალური ვერსიების უცხოელ ავტორებს და ჩემი ნახატების მიხედვით თამაშებში შეიტანეს ქართველი ჯარისკაცების სამგანზომილებიანი მოდელები. ამჟამად ბევრ არაოფიციალურ ვერსიაშია ჩასმული საქართველოს სამეფო, სადაც ქართული ჯარი ჩემი ნახატების მიხედვითაა გაკეთებული. ამ თამაშების გადმოწერა შეიძლება ფორუმიდან www.twcenter.net და უკრაინული ფორუმიდან http://tw.org.ua/board/forum85.html : Knight's of Honour Total War v 5.0, Brocen Krescent Total War, PRO DEO ET REGE Total War, Region and Province mod 4.0, Basielia Total War, Rise of the Caliphate, Dominion of the Sword Total War და სხვა.

— **თქვენი საავტორო უფლებები თუ არის დაცული, გასამრჯელოს თუ გიხდიან?**

– ეს არაოფიციალური ადონები და მოდიფიკაციები ენთუზიასტთა შემოქმედებაა და ავტორები გასამრჯელოს არ იღებენ, შესაბამისად, შესაძლებელია თამაშებიც უფასოდ გადმოიტვირთოს ზემოთ მითითებული ფორუმიდან.

— **როგორ ფიქრობთ, თამაშების ოფიციალურ ვერსიებში გამოჩნდება საქართველო?**

– Total War სერიების ოფიციალური მწარმოებელი კომპანიები Creative Asambly და SEGA დიდი გულისყურით ადევნებენ თვალყურს სამოყვარულო თამაშებს. ამის მიხედვით იგებენ, რა მოსწონს მომხმარებელთა უმრავლესობას. რაკი არაოფიციალურ ვერსიებში უკვე ფიგურირებს საქართველოს სამეფო, ვიმედოვნებ, მწარმოებელი კომპანიები გაითვალისწინებენ უამრავი მომხმარებლის სურვილს და მომავალ ოფიციალურ ვერსიებშიც ჩასვამენ.

— **ამ ინტერნეტომის დროს ხომ არავინ დაგკავშირებიათ საქართველოს თავდაცვის უმაღლესი უწყებიდან? ვფიქრობ, ოფიციალური პირების საქმეში ჩართვა კიდევ უფრო გააიოლებდა თქვენს საქმეს.**

– თავდაცვის სამინისტროს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს, ვიდრე კომპიუტერული თამაშების მწარმოებელ კომპანიებთან დავაა. ყველამ ჩვენი წილი საქმე უნდა ვაკეთოთ. როგორც უკვე გითხარით, დასახმარებლად ვუხმე რიგით, მაგრამ კარგად ინფორმირებულ ქართველებს. აუცილებლად აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის, აწ გარდაცვლილი სოსო მარგიშვილის ყურადღება. ბატონმა სოსომ დაგვიტოვა შესანიშნავი წიგნი „მითები და რეალობა დავით აღმაშენებელზე“. ინტერენტში ჩემი ნახატები რომ უნახავს, დამიკავშირდა ერთ-ერთი ქართული ფორუმის მეშვეობით და შემომთავაზა თანამშრომლობა მეორე წიგნის გამოცემაში. მასში აღწერილი იქნებოდა შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ისტორია. წიგნის გამოცემას აპირებდა მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი და დიდი საგამომცემლო ინგლისური ფირმის მეშვეობით. სოსო მარგიშვილს ძალიან უნდოდა, რომ ამ სერიაში საქართველოს სამხედრო ისტორიის შესახებაც ყოფილიყო ილუსტრირებული ინგლისურ-ქართული წიგნი. ბატონ სოსოს ჩემი ნახატების გამოყენება უნდოდა ამ წიგნში. სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა და არ დასცალდა ამ მამულიშვილური საქმის დასრულება. არადა, მთელი მსოფლიო გაიგებდა ჩვენს გმირულ სამხედრო წარსულს. მიმაჩნია, რომ ეს საშური საქმეა. თუ ისტორიკოსები შეეჭიდებიან მას, კომერციული დაინტერესების გარეშეც სიამოვნებით ვითანამშრომლებ მათთან წიგნის მხატვრულად გასაფორმებლად. იმ დროს, როდესაც სხვადასხვა ინტერნეტ თუ საგამომცემლო საშუალებებით ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნენი ცდილობენ საქართველოს ისტორიის ხარჯზე საკუთარი „დიდი“ ისტორიის გამდიდრებას, ქართველმა ისტორიკოსებმა გულზე ხელი არ უნდა დაიკრიფონ. უნდა ვიბრძოლოთ, – ზოგმა კალმით, ზოგმა ყალმით და საჭრეთლით, ზოგმაც ხმლით. სამშობლოს ინტერესებისთვის ბრძოლა ყველა საშუალებით, უპირველესად კი წიგნის მეშვეობით, ყოველი ქართველის ვალია.

— **როგორც გავიგე, ჰოლივუდის უმაღლესი სკოლის სტუდენტ ნიკოლოზ ხომასურიძესთან ერთად ძალიან მნიშვნელოვან პროექტზე აპირებთ მუშაობას.**

– დიახ, ნიკოლოზი დიდგორის ომზე ფილმის გადაღებას აპირებს. მან შემომთავაზა ფილმის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობა. ეს წინადადება უაღრესად საპასუხისმგებლოა და ამავე დროს იმდენად საინტერესოც, რომ სიამოვნებით ვიმუშავებ.

*ეკა ლომიძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრალური ამერიკის ჯუნგლებში აუტანელი ხვატი იდგა. ორი ქრისტიანი მისიონერი ხუან დე ორბიტა და ბართოლომეო დე ფუნსალიდა და რამდენიმე აბორიგენი თითქოს უსასრულო, ადამიანის ჯერ ფეხდაუდგმელ ტყეში მიიკვლევდნენ გზას. ხეები და ლიანების ხვიარები იმდენად ხშირი იყო, რომ კაცი თავისი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავდა. ცის ნაგლეჯიც კი არ ჩანდა. ბერებს არაქათი ჰქონდათ გამოცლილი. უძილობა და გაუმაძღარი მოსკიტები სიქას აცლიდნენ. ყოველი ასი მეტრის გავლის შემდეგ ხან ერთ, ხან მეორე ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ – ხან ტბას, ხან ნიანგებით სავსე ჭაობს, უხვნაკადიან მდინარეს ან მანგრის ტევრს. ტყე თითქოს შთანთქმას უპირებდა მგზავრებს, ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო. ხანდახან თუ გამოჩნდებოდნენ ჭყიპინა მაიმუნების გუნდები...

# დიდი კონკისტადორი

ელჩობა ელჩობაზე მიდიოდა კორტესთან და მანაც, როგორც იქნა, ტაბასკოს ელჩების კეთილგანწყობა მოიპოვა. ტაბასკო მაიას ტომის ერთ-ერთი ქალაქი იყო. გარდა ოქროს შესანიშნავი ნაკეთობებისა, ვერცხლისა, ნეფრიტისა, ზურმუხტისა და ველური ფრინველების ბუმბულებისა, ელჩები გულწრფელად გაოცდნენ, რომ „თეთრკანიანთა უზენაეს ბელადს“ ქალები არ ჰყავდა და ოცი მონა ქალი მიართვეს. ევროპელთათვის ასე უცნაური „მზრუნველობა“ ქალების ბედზე იოლად ასახსნელი იყო – აცტეკები და მაია ესპანელებს მომთაბარე, უკულტურო ხალხად მიიჩნევდნენ, რომლებიც ჩრდილოეთიდან იჭრებოდნენ მათ ტერიტორიებზე. ქორწინებების საშუალებით ცდილობდნენ მომხდურებთან მშვიდობის დამყარებას, მოკავშირეობას, რათა მოგვიანებით თავად დაემონებინათ.

მონა ტყვე ქალებს შორის იყო ნორჩი მალინჩე (მონათვლის შემდეგ – მარინა), აცტეკი ქალიშვილი, კონკისტადორის მომავალი მეგობარი და მთარგმნელი. ახლა ერნანი მარინასა და აგილარას წყალობით თავისუფლად ელაპარაკებოდა აცტეკებს.

1519 წლის აპრილში კორტესი მონტესუმას ოფიციალურ წარმომადგენელს შეხვდა. მხარეებმა საჩუქრები გაცვალეს. კონკისტადორმა სურვილი გამოთქვა, პირადად შეხვედროდა იმპერატორს, მაგრამ უარი მიიღო... და ისევ დიდებული საჩუქრები.

მაგრამ კორტესს კვლავ ბედმა გაუღიმა. მონტესუმას ელჩების წასვლიდან ორ დღეში მასთან ტოტონაკების ტომის წარმომადგენლები გამოცხადდნენ და კორტესს მოკავშირეობა შესთავაზეს. ერნანდო მაშინვე მიხვდა, რა სარგებელიც შეიძლებოდა მოეტანა ამ ორი ტომის მრავალსაუკუნოვან მტრობას. მათი მხარდაჭერის წყალობით ესპანელებს ახლა უკვე შეეძლოთ მექსიკაში დარჩენა და თვით ნაუას დედაქალაქ ტენოჩტიტლანის დალაშქვრაც. ამიტომაც გადაწყვიტა კორტესმა თავისი ბანაკი ქალაქად ექცია. ქალაქის დაარსებას პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მიზანიც ჰქონდა. ის ადამიანებზე მყარი ბატონობის საშუალებას იძლეოდა. ამიერიდან ესპანელები არა მარტო მკვლევრები და მექსიკის დამპყრობლები იყვნენ, არამედ მოახალშენეებიც თავიანთი ცენტრალური ძალაუფლებით, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა გენერალ-გუბერნატორისა და მეფის ხუშტურებისაგან. მალე კორტესი სემპოალუში გაემგზავრა, სადაც მეტად ეშმაკური პოლიტიკური ტრიუკი ჩაატარა. ტოტონაკებმა კორტესის წაქეზებით მონტესუმას ელჩები ციხეში გამოამწყვდიეს. კორტესმა ორი ტყვე მალულად მიაყვანინა ღამით და დაავალა იმპერატორისთვის მისი მეგობრული გზავნილი გადაეცათ. დილით ტოტონაკებს, რომელთაც ჯერ კიდევ ეშინოდათ ნაუას რისხვისა, ტყვეები გაქცეული დახვდათ. ამიერიდან კორტესის მოკავშირეობის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ.

1519 წლის ზაფხულის დამდეგს ერნანმა ხელმწიფის წერილი მიიღო, რამაც იძულებული გახადა დამპყრობლური ლაშქრობა გაეაქტიურებინა. კარლ V, ესპანეთის მეფე და გერმანიის იმპერატორი იუწყებოდა, რომ ყველა მიწა, იუკატანისა და მექსიკის ჩათვლით, გუბერნატორ დიეგო ველასკესს ეკუთვნოდა. კორტესი სასოწარკვეთილი იყო და მან უკიდურეს ზომას მიმართა – ვერაკრუსში რეიდზე მდგომი თავისი ათი ხომალდი ჩაძირა. მოგვიანებით მემატიანეებმა ეს ფაქტი შეალამაზეს და წყალი ცეცხლით შეცვალეს. ასე დაიბადა ფრთიანი ფრაზა „ხომალდების დაწვა“...

კორტესმა მექსიკის ყურის სანაპირო დატოვა და იმ უცნობი, ვეებერთელა ქვეყნის სიღრმეში შევიდა, რომელიც მის მშობლიურ ესპანეთს ტერიტორიით ოთხჯერ და მოსახლეობით კი ათჯერ აღემატებოდა. ის ტლასკალისკენ მიდიოდა, ტენოჩტიტლანის ტომის კიდევ ერთი მტრული დედაქალაქისკენ.

აცტეკების სტრატეგიული გეგმის საწინააღმდეგოდ, ერნანდო მეხიკოს ხეობაში ტრადიციულით კი არა, არამედ სხვა გზით წავიდა – გადაიარა უღელტეხილი, რომელიც პოპოკატეპეტლსა და იცტაკიუატლს შუაზე ჰყოფდა. ამ უღელტეხილს ახლა პასო-დე-კორტესი ჰქვია. ამ მანევრით ესპანელებმა მათ გზაზე დაგებულ ხაფანგს – შენიღბულ „მგლის ორმოებსა“ და პირბასრ მარგილებს აარიდეს თავი.

1519 წლის ნოემბერში ესპანელებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს ტენოჩტიტლანს, ოცნების ქალაქს. კონკისტადორები გააოგნა უზარმაზარმა ქალაქმა, კორტესის თქმით, მხოლოდ ცენტრალურ მოედანზე ორი ვეებერთელა ქალაქი დაეტეოდა. ტენოჩტიტლანში დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი ცხოვრობდა. ქალაქის ფართო ქუჩები მწვანეში იყო ჩაფლული, ტერასებზე ყვავილნარი და ბაღები ახარებდა თვალს. ესპანელებს მექსიკა ახლა უფრო დიდი, ლამაზი და განვითარებული ეჩვენებოდათ, ვიდრე გაღარიბებული შუა საუკუნეების ევროპა.

ტენოჩტიტლანში უომრად შევიდნენ. კორტესს კარგად ესმოდა, რომ რამდენიმე ასეული ესპანელი მრავალ ათას აცტეკს ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომაც ჩქარობდა მონტესუმასთან შეხვედრას. მხოლოდ ის იქნებოდა ესპანელების უსაფრთხოების გარანტი. შეხვედრა შედგა და მონტესუმა, დარწმუნებული, რომ ესპანელებს სრულიად აკონტროლებ-

და, ხშირად სტუმრობდა კორტესს. იმპერატორის თავდაჯერება ფუჭი აღმოჩნდა და ეს აცტეკების იმპერატორს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კორტესს ვერაკრუსიდან ნაუას აჯანყების ამბავი მიუვიდა. კონკისტადორი განრისხდა, აჯანყებაში შეთქმულების კვალი დაინახა. დიდხანს არც უფიქრია და იმპერატორი ტყვედ აიყვანა. ამიერიდან მეფეს ერნანის პირადი უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო. შვიდ თვეს გაგრძელდა მონტესუმას ტყვეობა, სანამ კორტესმა ვერაკრუსში დაბრუნება არ გადაწყვიტა – მას ველასკესისა და იმპერატორ კარლისთვის მექსიკის დაპყრობის ამბავი უნდა მოეხსენებინა.

## აჯანყებულთა განადგურება

ვერაკრუსში დაბრუნებულ კორტესსა და მის არმიას ის რაზმებიც შეუერთდნენ, რომლებიც ველასკესს გამოეგზავნა ურჩი ხელქვეითის დასატუსაღებლად. ამასობაში, ტენოჩტიტლანში დატოვებულ ესპანელთა გარნიზონის მეთაურს მხედართმთავრის არყოფნაში ნერვებმა უმტყუნა და 1520 წელს აცტეკების მთავარ ტაძარში მისი ბრძანებით აცტეკების ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ამ ფაქტმა მეტად უსიამოვნო კვალი დატოვა კონკისტის ისტორიაში. რელიგიური ცერემონიის დროს ექვსასი უიარაღო და მშვიდობიანი ინდიელი ამოჟლიტეს. ამან აცტეკების მოთმინების ფიალა აავსო. ტენოჩტიტლანში დაბრუნებულმა კორტესმა უკვე ველარაფრით დაიბრუნა ნაუას ნდობა. თვით მონტესუმას თავდებობამაც ვერ უშველა ესპანელებს: იმპერატორი თანამემამულემ განგმირა შუბით ესპანელთა მხარდასაჭერი ერთ-ერთი მორიგი გამოსვლისას.

მონტესუმას სასახლეში ამბოხებულთა მიერ ალყაშემორტყმულმა კორტესმა გადაწყვიტა, ვერაკრუსისკენ გაჭრილიყო. ბევრჯერ სცადეს აცტეკთა ალყის გარღვევა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ტენოჩტიტლანი კუნძული გახლდათ და იქიდან გამოსვლა მხოლოდ დამბების გავლით თუ შეიძლებოდა, დამბებს კი აცტეკები აკონტროლებდნენ.

უკან დახევა 30 ივნისის ღამეს გადაწყვიტეს. კორტესს იმედი ჰქონდა, რომ აცტეკები, რომლებიც ტრადიციისამებრ მხოლოდ დღისით იბრძოდნენ, ტენოჩტიტლანიდან დაუბრკოლებლად გაუშვებდნენ ესპანელებს. იმედი ფუჭი გამოდგა. აცტეკებს არც უფიქრიათ ბრძოლის წესების დაცვა სისხლიანი დამპყრობლების სასარგებლოდ და დამბებისკენ გარღვევა ესპანელებისთვის ღამის თვითმკვლელობად იქცა. მათ დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა სიხარბემაც – იმ ღამეს, რომელსაც „მწუხარების ღამე“ ეწოდა, კორტესის ზოგიერთი ჯარისკაცი ისე დაიტვირთა ოქროს ზოდებით, რომ წყალში ჩავარდნილები უმალ იძირებოდნენ. ასე რომ, დაახლოებით სამასი ესპანელიდან, რომლებიც ტენოჩტიტლანში იყვნენ დაბანაკებულნი, თითქმის ნახევარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. კორტესმა დაკარგა თითქმის ყველა ცხენი, ზარბაზნები, მთელი ნადავლიც, რომელიც იმპერატორ კარლისთვის ჰქონდა განკუთვნილი...

მიუხედავად ამისა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. მას ეხერხებოდა უიმედო პარტიების მოგება და სიძნელეების გადალახვა. თითოეულ ჯარისკაცს ჩამოუარა, ელაპარაკა და საბრძოლო სული აუმაღლა... და მალე ალყა გაარღვიეს. ამ არიერგარდული მარშის თითოეულ დღეს თან ახლდა ნაუების სისტემატური თავდასხმები. ესპანელებს თან შიმშილი აწუხებდათ, იძულებული შეიქნენ ცხენები დაეკლათ, ცხენები, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ თავზარს სცემდნენ აბორიგენებს.

ამ კამპანიის უკანასკნელი ბრძოლა მოკავშირეთა დედაქალაქის ახლოს გაიმართა. ორასამდე ესპანელი და ორი ათასი ტლასკალელი წინ აღუდგა ნაუას ასიათასიან არმიას. კორტესისთვის, რომელიც საიმდროოდ ძლიერ დასუსტებულიყო, მარცხენა ხელი დაჭრილი და საფეთქელზეც ღია ჭრილობა ჰქონდა, ეს ბრძოლა უკანასკნელი შანსი იყო. ერნანდომ 5-6 კავალერისტს უწინამძღვრა და ნაუას ბელადი გააქცია. მას მიჰყვა აცტეკთა მთელი არმიაც. ესპანელები დაუბრკოლებლად შევიდნენ ტლასკალში და კორტესი მოკავშირეთა ესკორტით მალე გზას გაუდგა ვერაკრუსისაკენ. იქ დამპყრობლებმა გამოიზამთრეს, დაისვენეს. კორტესმა კარლ V-ს ორი წერილი გაუგზავნა, სადაც განუმარტავდა თავისი თვითმმართველობისა და ველასკესისგან დამოუკიდებლად ყოფნის მიზეზს, ასევე დაწვრილებით აღწერდა ახალ მიწებს. ერნანმა იმპერატორს შესთავაზა, მისგან გამოკვლეული და დაპყრობილი მიწებისთვის ახალი ესპანეთი ეწოდებინათ და მისი უდიდებულესობაც მოწყალედ დათანხმდა.

ამასობაში ტენოჩტიტლანში ესპანელების მიტანილი ყვავილი მძვინვარებდა. ესპანელებისთვის არც ისე საშიში ეს სახადი სავსებით უცნობი იყო ცენტრალურ ამერიკაში და აბორიგენებისთვის სიკვდილი მოჰქონდა. დაავადება აცტეკების ყველა ქალაქს მოედო და მალე ჯანმრთელ კაცს ძნელად თუ ნახავდი. ასე მოულოდნელად გახდა ყვავილი ესპანელთა უნებლიე მოკავშირე. სანამ მექსიკაში ყვავილი მუსრს ავლებდა მოსახლეობას, კორტესი ახალი კამპანიისთვის ემზადებოდა – ტენოჩტიტლანის ასაღებად. არმია კუბისა და ესპანიოლის მეომრებით შეავსო. 1521 წლის გაზაფხულზე მის ჯარში 700-ზე მეტი ესპანელი შედიოდა. ჰყავდათ 80 ცხენი, ჰქონდათ ას ათი არბალეტი და სიათა, 15 ზარბაზანი. გარდა ამისა, კორტესმა თავი მოუყარა მოკავშირე 150 ათას ინდიელს და 6000 პიროგას, რაც ძალზე გამოსადეგი იყო კუნძულის შტურმისას.

1521 წლის 30 მაისს დაიწყო ნაუას დედაქალაქის ალყა. სამჯერ შეიჭრნენ ესპანელები ქალაქში და ცენტრალურ მოედნამდეც მიაღწიეს, მაგრამ აცტეკები ვაჟკაცურად ხვდებოდნენ მომხდურებს. მოლაპარაკებებმა ნაყოფი არ გამოიღო: ნაუას აღარ სჯეროდა ესპანელებისა და ერჩივნათ დიდიან-პატარიანად დახოცილიყვნენ. კორტესი მიხვდა, ტენოჩტიტლანს ასე ხელის ერთი დაკვრით ვერ აიღებდა და უარი თქვა ინტენსიურ საბრძოლო მოქმედებაზე. სამაგიეროდ, ყველა დამბა და აკვედუკი გადაკეტა და ამით აცტეკებს სასიცოცხლო წყარო მოუსპო. ქალაქში შიმშილობა დაიწყო. უფრო ადრე კი აცტეკები წყურვილით იხოცებოდნენ. ივლისის დამლევს მონტესუმას მემკვიდრეების დღეები დათვლილი იყო. ციება და დიზენტერია მუსრს ავლებდა ხალხს. დამპყრობლები სულ უფრო და უფრო აქცევდნენ მარწუხებში ქალაქს და ბოლოს აცტეკები მხოლოდ ქალაქის მთავარ მოედანს აკონტროლებდნენ.

1521 წლის აგვისტოში, ნაუას უკანასკნელი იმპერატორის კუაუტემოკის შეპყრობის შემდეგ, კორტესმა გამარჯვება იზეიმა. ტენოჩტიტლანი ესპანელ ჯარისკაცებს დაუთმო გასაძარცვავად. მათ მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ – ეპოვათ ოქრო, რომელიც „მწუხარების ღამეს“ დაკარგეს, მაგრამ მონტესუმას ლეგენდარული საგანძური არსად იყო – ამან უფრო გაამძვინვარა კონკისტადორები. აცტეკებს დაუზოგავად ხოცავდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვინც ესპანელების მახვილს გადაურჩა, შიმშილსა და ავადმყოფობას ემსხვერპლა, დარჩენილი 200000 კაცი კი კონსკიტადორებმა დაატყვევეს და მონებად აქციეს.

1522 წლის 15 ოქტომბერს კარლ V ხელი მოაწერა განკარგულებას ერნან კორტესის მექსიკის გუბერნატორად, მხედართმთავრად და უზენაესი სასამართლოს აღმასრულებლად დანიშვნის თაობაზე. ასე გახდა კონკისტადორი მექსიკის სრულუფლებიანი გამგებელი.

## განკითხვის ჟამი

კორტესს დიდხანს არ უზეიმია, სულ ოთხ წელიწადს გაგრძელდა მისი ძალაუფლებით ტკბობა. მეტროპოლიის ხელისუფლების უკმაყოფილება დამოუკიდებელი ახალი მმართველით მეტად თვალში საცემი შეიქნა. კორტესს ინდიელებთან ჰუმანურ დამოკიდებულებაშიც სდებდნენ ბრალს...

ახალი ესპანეთის გუბერნატორის თვითნებობა იმით გამოიხატებოდა, რომ მან გაბედა და ესპანელების ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის, კრეოლიზაციის იდეის პროპაგანდა დაიწყო. როგორც კორტესს მიაჩნდა, კასიკების ქალიშვილებთან ესპანელების ქორწინება ინდიელებსა და ესპანელებს შორის ბოლოს და ბოლოს, მშვიდობას დაამყარებდა. მეტიც, კორტესმა ნაუატლი, აცტეკების ენა, ოფიციალურად აღიარა. მისი გადაწყვეტილებით, სკოლებში სწავლება ლათინურადაც მიმდინარეობდა.

მონებად ქცეული ინდიელების ექსპლუატაციის შემსუბუქებაც სცადა. თავად ერნანი მონობის ინსტიტუტში გასაკიცხს ვერაფერს ხედავდა, ამიტომ მისი კანონები უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ მონათა მდგომარეობის შემსუბუქებისკენ. კორტესმა ათსაათიანი სამუშაო დღე შემოიღო, აკრძალა ქალისა და თორმეტ წლამდე ბავშვების შრომა. ინდიელი მონის სამუშაო კვირას 60 საათისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა. კონკისტადორმა ინდიელთა თვითმმართველობის სისტემაც ხელუხლებლად დატოვა.

მიუხედავად ამისა, კორტესი დიდხანს ვერ დაყოვნდა მექსიკაში. ესპანეთში ერთიმეორის მიყოლებით იგზავნებოდა ცილისმწამებლური წერილები, რომ კორტესი „მისი უდიდებულესობის განკარგულებებს უარყოფს“; რომ „უზომოდ გამდიდრდა და არაფერს აძლევს მეფის აუდიტორებს“ (საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებს), „არ სურს ინკვიზიციის შემოღება“, და რომ „საშინლად ულმერთოა“.

იმ წერილებში ბევრი სიმართლეც იყო. ახალი ესპანეთის მმართველის სიძლიერე მეტად აშფოთებდა ესპანელი ხელისუფლების მრჩევლებს. შიშობდნენ, რომ კორტესი თავს ახალ მონტესუმად წარმოიდგენდა და სუვერენულ მბრძანებლად გახდომას მოინდომებდა. ამიტომაც 1528 წელს დიდი დამპყრობელი კასტილიაში გაიწვიეს.

კარლ V მექსიკელ გმირს მოწყალედ, მაგრამ ცივად შეხვდა. მიუხედავად კორტესის მამის მარტინ დე მონროის გამოსარჩლებისა და გავლენიანი მეგობრების დახმარებისა, იმპერატორს მასზე შეხედულება აღარ შეუცვლია და იმას დასჯერდა, რომ კორტესს მარკიზ დე ვალეს ტიტული უბოძა. ახალ ესპანეთში მის უზენაეს ძალაუფლებასთან შედარებით ეს არაფერი იყო.

ხელმწიფის „წყალობას“ კორტესის ჟინი არ გაუნელებია. ინტრიგების ქსელი მარჯვედ გაარღვია და მექსიკაში დაბრუნდა. ხუთი წლის განმავლობაში, 1530-დან 1535 წლამდე, მართავდა თავის უზარმაზარ მამულს, რომელიც თანდათან პატარავდებოდა ესპანეთის მეფის წყალობით. ამასობაში კორტესმა გამოიკვლია წყნარი ოკეანე და კალიფორნია, აშენებდა ფლოტს.

ბედმა კიდევ ერთხელ გაუღიმა, როცა ესპანეთის ვიცე-მეფე ანტონიო დე მენდოსა გახდა. ამ უკანასკნელმა თავდაპირველად ყურად იღო კონკისტადორის რჩევები და დროებით შეწყვიტა ინდიელების მტაცებლური ექსპლუატაცია, მაგრამ კორტესის ავტორიტეტი, რომელიც თრგუნავდა მენდოსას ნებას, მას სასიკვდილო შური აღუძრა. მენდოსამ წინამორბედებივით დაიწყო კორტესისთვის მამულების ჩამორთმევა. ციხეები ერნანის თანამოაზრეებითა და თანამებრძოლებით გაავსო. მათი ჯერიც დადგა — ახლა მათ აწამებდნენ ინკვიზიციის ჯალათები სწორედ ისევე, როგორც თავად აწამებდნენ ინდიელთა ბელადებს ოქროს მოპოვების ციებ-ცხელებით შეპყრობილნი. ერნანი იმედგაცრუებული და დათრგუნვილი იყო. ის, რაც მან თავის თანამებრძოლებთან ერთად დიდი სისხლის ფასად მოიპოვა, ახლა სამეფო კარის მლიქვნელებისა და უსინდისო დიდებულების ხელში ხვდებოდა. კორტესმა სცადა ბედი დაემარცხებინა, ისევ შეხვედროდა კარლ V, პატიება გამოეთხოვა და ესპანეთში ვიცე-მეფედ დაბრუნებულიყო.

მაგრამ იმპერატორმა ყური არ ათხოვა კონკისტადორს. კარლ V თავად უკვე მოხუცი იყო, დაიღალა სახელმწიფოს მართვით, თავისი უზარმაზარი იმპერიით, რომელშიც, სხვათა შორის, კორტესის წყალობითაც, „არასოდეს ჩადიოდა მზე“. შვიდი უნაყოფო წელი გაატარა ერნანდომ ესპანეთში, მონაწილეობდა კარლ V სამხედრო კამპანიაში ალჟირში და ყველაზე სახიფათო დავალებებს ასრულებდა...

## ისტორიის ოქროს ფურცლები

სიცოცხლის დასასრულს მარკიზ დე ვალესს საბოლოოდ უმტყუნა ბედმა. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ანდერძი დაწერა, სადაც ახალ ესპანეთში დაკრძალვას ითხოვდა. ასევე თავისუფლებას ანიჭებდა თავის ინდიელ მონებს.

1547 წლის 2 დეკემბერს კორტესი გარდაიცვალა. რას იხსენებდა კონკისტადორი უკანასკნელ წუთებში? იარაღის ჟღარუნს, მარშებს, ბრძოლებს, დაღვრილ სისხლს თუ დამარცხებულთა ყვირილს? თუ თავისი მარინას ღიმილს, ჩამქრალი ვულკანების მწვერვალებზე მარადიულ თოვლს, ჯუნგლების სულისშემხუთველ სიცხეს თუ მონტესუმას სასახლის პალატებს?

თანამედროვეთა მოგონებებში კორტესი წარმოდგენილია როგორც კაცი-ლეგენდა. უჩვეულო მომხიბვლელობისა და ძლიერი ხასიათის პატრონს თანამებრძოლები ცეცხლსა და წყალში მიჰყვებოდნენ. მამაცი იყო და რიცხვით ბევრად აღმატებულ მტერს მცირერიცხოვანი რაზმებით ერკინებოდა, მაგრამ მის ცეცხლოვან ბუნებას სხვა, ვერაგი მხარეც ჰქონდა — სინდისის უქენჯნელად ღალატობდა მასზე მინდობილ ხალხს, როგორც ხელქვეითებს, ასევე ზემდგომებსაც. არაერთხელ უთქვამს ერთი და გაუკეთებია — მეორე. ბევრჯერ დაუღვრია სისხლი, ნადავლის გაყოფისასაც არ იყო დიდად კეთილსინდისიერი, ხშირად ცრუობდა. საეჭვოა, ოდესმე სინდისს შეეწუხებინა ყოველივე ამის გამო კონკისტადორი, მას ხომ ყველა ესპანელივით თავისი რელიგია და ცივილიზაცია ამქვეყნად ყველაზე საუკეთესო ეგონა. ამიტომაც არის, რომ თანამედროვე მექსიკელებს კორტესისთვის ჯერაც ვერ უპატიებიათ ის, ახლა უკვე შორეულ წარსულად ქცეული ხანა.

ერნან კორტესი კონკისტადორთა პლეადიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო. სიმამაცისა და ჭკუის წყალობით მოიპოვა სიმდიდრე, სახელი, ძალაუფლება და ინდიელთა სისხლით გასვრილი ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი სახელი ისტორიის ფურცლებზე.

# ებრაული ARROW-2 ირანული SHAHAB-ის ჩამოსაგდებად

## ებრაული ანტისარაკეტო კომპლექსის ARROW-2-ის პრეზენტაცია ლე ბურჟეში ქართული „სკორპიონის“ გვერდით შედგა




2001 წლის ზაფხული. თბილისიდან პარიზში, ლე ბურჟეს 41-ე საერთაშორისო ავიაკოსმოსურ სალონზე, ქართულ-ებრაული მოდერნიზებული Су-25КМ „სკორპიონი“ თავად ჩაფრინდა, ბუქარესტსა და დიუსელდორფში ორჯერ საწვავით შევსების შემდეგ. ჩვენ „სკორპიონს“ სატრანსპორტო Ан-12-ით ჩავყევით.

გამოფენაზე ჩვენი „სკორპიონი“ საინტერესო მეზობლების გარემოცვაში აღმოჩნდა. „სკორპიონისგან“ მარჯვნივ გამოფენილი იყო რუმინელების ფრანგული წარმოების სატრანსპორტო შვეულმფრენი „პუმა“, რომელსაც ებრაელმა სპეციალისტებმა ჩაუტარეს მოდერნიზება. მარცხნივ კი ძალიან საინტერესო შეიარაღება იყო წარმოდგენილი, — რამდენიმე მეტრი სიგრძის მართკუთხა ფორმის ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორი და შვეულად მდგარი სარაკეტო კონტეინერები. რადიოლოკატორი მარცხნიდან ოდნავ ეფარებოდა ჩვენს „სკორპიონს“, რაც ქართული დელეგაციის წევრების გაღიზიანებას იწვევდა, მაგრამ რა უნდა გვექნა, — უახლეს ებრაულ ანტისარაკეტო სისტემას Arrow-2-ს გამოფენაზე ეს ადგილი ნაყიდი ჰქონდა.

როდესაც „სკორპიონთან“ მნახველების რიცხვი შედარებით იკლებდა, ებრაული




2001 წელი. ლე-ბურჟეს ავიაკოსმოსური გამოფენა. ებრაელი ინჟინრები აწყობენ Arrow-ს საგამოფენო სტენდს, მის მარჯვენა მხარეს კი ქართული „სკორპიონი“ დგას

ეროვნული ბიბლიოთეკა



Arrow-2-ის სტარტი

Arrow-ისკენ გადავინაცვლებდი მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების გასაცნობად.

მონაცემები კი მართლაც შთამბეჭდავი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სარეკლამო მოსაზრებით შეიძლება ოდნავ გაზვიადებულიც გახლდათ, – Arrow-ის საზენიტო რაკეტას 100 კმ-ის რადიუსში და 50 კმ სიმაღლემდე შეეძლო დაეზიანებინა და ჩამოეგდო ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტები, რომ აღარაფერი ვთქვათ თვითმფრინავებზე.

„ეროუს", ჩვენებურად „ისრის", შექმნა 1988 წელს გაერთიანებული ძალებით დაიწყეს ებრაულმა ფირმამ IAI-მ და ამერიკულმა „ლოქჰიდ-მარტინმა" „ვარსკვლავური ომების" პროგრამის ფარგლებში. ახალი ანტისარაკეტო სისტემის შექმნის პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა 1991 წლის მოვლენების შემდეგ. „უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციის დროს ერაყმა ისრაელის ქალაქებს არანაკლებ 42 ცალი „სკადის" ტიპის ბალისტიკური რაკეტა ესროლა. ისრაელის საჰაერო სივრცის დასაცავად სპეციალურად აშშ-იდან ჩამოყვანილმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებმა „პეტრიოტებმა" თავი დიდად ვერ ისახელეს. მართალია, ერთი „სკადის" მიმართულებით ნასროლი რამდენიმე „პეტრიოტიდან" ერთი მაინც ფეთქდებოდა ერაყიდან გამოშვებული რაკეტის ახლოს, მაგრამ მას ჰაერში მთლიანად ვერ ანადგურებდა და ვერც ფრენის მიმართულებას უცვლიდა დიდად. ამის გამო ერაყული „სკადები" შეიძლება ქალაქის ცენტრში არა, მაგრამ მაინც ებრაული ქალაქების საცხოვრებელ კვარტალებში ფეთქდებოდნენ, რაც დიდი ვერაფერი შეღავათი იყო ისრაელისთვის.

„ეროუს" პირველი წარმატებული გამოცდა მხოლოდ 1998 წლის 14 სექტემბერს შედგა, როდესაც იგი ხმელთაშუა ზღვის თავზე გაისროლეს ისრაელის სანაპიროდან. ფრენის 97-ე წამზე მართვის ცენტრიდან გადაცემული რადიოს ბრძანებით „ეროუს" თვითლიკვიდაცია მოხდა, თუმც თითქმის წუთნახევრიანმა ფრენამ და კომპიუტერულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ „ეროუს" „დაბადება" შედგა.

2003 წელს კოალიციური ძალების მიერ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ ისრაელის ქალაქებს „სკადებისგან" და „ალ-ჰუსეინებისგან" მომავალი რეალური საშიშროება გაუქრო, მაგრამ 2006 წელს სამხრეთ ლიბანში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს ისრაელის ჩრდილოეთით ებრაული ქალაქები არაერთხ-



ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემები თელავივსა და ხაიფას სიახლოვეს განათავსეს



საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავთ

ფაზირებულანტენიანი რადიოლოკაციური სადგური Green Pine



ეროვნული ბიბლიოთეკა




**ჩვენი დოსიე:** Arrow-2-ის ანტირაკეტა მყარსაწვავიანი ორსაფეხურიანია და აქვს ცალკეული თვითდამიზნებადი საფეხური. ეს უკანასკნელი აღჭურვილია კომბინირებული (ინფრაწითელი და რადიოლოკაციური) თვითდამიზნების სისტემით; მსხვრევად-ფუგასური საბრძოლო ნაწილით, მართვის სამეთაურო-ინერციული სისტემით, სპეციალური გამომთვლელითა და ელექტრომომარაგების წყაროთი. დიდ სიმაღლეზე ანტირაკეტის თვითდამიზნების სისტემა მუშაობს ინფრაწითელ დიაპაზონში, ხოლო დაბალ სიმაღლეზე და თანაც ღრუბლებში დამიზნება რადიოლოკაციურ რეჟიმში ხდება. Arrow-2-ის ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორი ერთდროულად აღმოაჩენს და აცილებს 12 საჰაერო სამიზნეს და მათგან ერთს ორ ანტირაკეტას უმიზნებს. პირველი ანტირაკეტა საჰაერო მიზანს 50 კმ-ის სიმაღლემდე უნდა მოხვდეს, მეორე კი 8 კმ სიმაღლემდე.


ირანული საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტის Shahab-3-ის სტარტი

ელ დაიბომბა „ჰეზბოლაჰის“ რაკეტებით. მიუხედავად იმისა, რომ „ეროუს“ საზენიტო-სარაკეტო ბატარეები სრულ მზადყოფნაში იყო, ისინი არ გამოუყენებიათ. შესაძლოა, იმიტომაც, რომ „ეროუს“ საზენიტო რაკეტები მაინც უფრო მნიშვნელოვანი მიზნების, — ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტების ჩამოსაგდებადაა განკუთვნილი. „ჰეზბოლაჰის“ ტერორისტები კი ებრაულ ქალაქებს „კატიუშასა“ თუ „გრადის“ მსგავს შედარებით მცირე ზომის უმართავ რაკეტებს ესროდნენ. ეს არ ნიშნავს, რომ Arrow-2-ის ტიპის ძალზე ძვირად ღირებული ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა ტყუილად შეიქმნა.

მისი მთავარი მოწინააღმდეგე ნელნელა უმჯობესდება და არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, რომ შედგეს მათი საჰაერო დუელი.

ვგულისხმობთ ირანის ისლამური რესპუბლიკის საშუალო სიშორის ბალისტიკურ რაკეტა Shahab-3-ს.

ირანის დასავლეთი საზღვრიდან თელავივამდე 1084 კმ-ია, ხოლო ხაიფამდე 987 კმ.

ირანული Shahab-3-ის ფრენის მაქსიმალური სიშორე 1200 კმ-ს აჭარბებს. ეს მაშინ, როდესაც რაკეტას 750 კგ-იანი საბრძოლო ქობინი აქვს. თუკი ქობინის მასას 400 კგ-მდე შეამცირებენ, მაშინ რაკეტის ფრენის სიშორემ შეიძლება 2 ათას კმ-საც მიაღწიოს. გამოდის, Shahab-3-ის საშუალებით ირანი ისრაელის ტერიტორიის ნებისმიერ წერტილს შეიძლება მისწვდეს.

ამას ისრაელის ხელისუფლებაში ძალიან კარგად ხვდებიან და ამიტომაც Arrow-2-ის ორი საზენიტო-სარაკეტო ბატარეა თელ-ავივისა და ხაიფას მისადგომებს დიდი ხანია იცავს.

*ირაკლი ალადაშვილი*

არსენალი



# 2008

# Arrow-2

| | ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| | 28 | 29 | 30 | 31 | | | |
| თებერვალი | | | | | 1 | 2 | 3 |
| | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | | |
| მარტი | | | | | | 1 | 2 |
| | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| | 24/31 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| აპრილი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| | 28 | 29 | 30 | | | | |
| მაისი | | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | |
| ივნისი | | | | | | | 1 |
| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| | 23/30 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| ივლისი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| | 28 | 29 | 30 | 31 | | | |
| აგვისტო | | | | | 1 | 2 | 3 |
| | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |
| სექტემბერი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| | 29 | 30 | | | | | |
| ოქტომბერი | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | |
| ნოემბერი | | | | | | 1 | 2 |
| | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| დეკემბერი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| | 29 | 30 | 31 | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება. (დასაწყისი იხ. „არსენალი“ №11)

# ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

## ფრანკებმა ევროპა არაბებისგან იხსნეს

ხლოდვიგის დაარსებულ ფრანკთა სამეფოს აყვავების ხანა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე, კარლოს დიდის მეფობის დროს დაუდგა. ხლოდვიგის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეებმა თავიანთი ტერიტორიების გაფართოება დაიწყეს, მაგრამ გავლენის სფეროების გადანაწილების გამო მეროვინგების დინასტიაში არსებული მუდმივი ქიშპი სამეფოს გაძლიერების საშუალებას არ აძლევდა, — ის ხან სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრზე ნაწილდებოდა, ხანაც ისევ ერთიანდებოდა, რასაც, რა თქმა უნდა, თან ახლდა შინააშლილობა და ძალადობა. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ბრძოლა ორ პატივმოყვარე დედოფალს — ბრუნჰილდასა და ფრედეგონდას შორის. მუდმივმა დავამ მეფეთა ავტორიტეტი და ძალაუფლება დააკნინა და დროთა განმავლობაში სამეფოს ბედი მაიორდომების ხელში გადავიდა. მაიორდომები (სხვაგვარად მაჟორდომები) მეფის მსახურები იყვნენ, რომლებსაც სამეფო კარის ზედამხედველობა ევალებოდათ, თუმც მოგვიანებით ისინი სამეფოს ფაქტობრივ მმართველებად იქცნენ. მართალია, სამეფო ტახტი კვლავაც მეროვინგების ხელთ იყო, მაგრამ ისინი უკვე აღარ ფლობდნენ სახელმწიფოს სადავეებს. თანამედროვენი მათ „ზარმაც მეფეებს“ უწოდებდნენ.

დიდი მაიორდომი იყო კარლ მარტელი (პიპინების გვარის წარმომადგენელი, მოგვიანებით მათ კაროლინგები ეწოდათ; ცხოვრობდა 715-741წწ.), რომელმაც 732 წელს პუატიესთან ბრძოლაში დაამარცხა არაბები და შეაჩერა ევროპის ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მათი დამპყრობლური ვოიაჟი. ნეისტრიისა და აკვიტანიის დიდებულების დამარცხების შემდეგ მან შეძლო ფრანკთა სამეფოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა და უკანასკნელი „ზარმაცი მეფეების“ მეფობის პერიოდში, ფაქტობრივად, უზენაესი ძალაუფლების მფლობელი შეიქნა. მან გააუქმა დიდებულთათვის მიწის მუდმივ საკუთრებად გადაცემის ტრადიცია და ამის ნაცვლად ბენეფიციები შემოიღო.

კარლ მარტელი ხვდებოდა, რომ მტრის დასამარცხებლად კარგი მხედრობა იყო საჭირო. მეომრის იარაღი და ცხენის ყიდვა ძალზე ძვირი ღირდა. მხოლოდ შეძლებულ ადამიანს შეეძლო მეომრის აღჭურვილობა ჰქონოდა. რიგითი ფრანკი ხმლის ყიდვასაც ვერ ახერხებდა. მაშინ მთავარ სიმდიდრეს მიწა წარმოადგენდა და თანაც ისეთი, რომელსაც გლეხები ამუშავებდნენ, რადგან მეომარს ყანაში კი არ უნდა ემუშავა, სამხედრო საქმეში უნდა გაწვრთნილიყო. სწორედ ამ მიზნით კარლ მარტელი ბენეფიციების სახით მიწებს გადასცემდა მათ, ვინც თანახმა იყვნენ ცხენითა და სრული შეიარაღებით სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყვნენ. პირობის დარღვევის შემთხვევაში მეპატრონეს მამული ჩამოერთმეოდა. მოგვიანებით ეს მკაცრი წესი შეიცვალა. მამული პირს ეძლეოდა სამხედრო დამსახურების მიხედვით, მაგრამ ის მემკვიდრეობითაც გადადიოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ შთამომავლები კვლავაც განაგრძობდნენ სამხედრო სამსახურს. ასეთ მიწებს ეწოდებოდათ ფეოდები.

ფრანკთა სამეფოს ოთხი უმნიშვნელოვანესი მტერი ჰყავდა: ვიკინგები, უნგრელები და მაჰმადიანები, რომლებიც ესპანეთიდან და აფრიკიდან უტევდნენ, და ეპიდემიები. განსაკუთრებული სისასტიკით არაბები გამოირჩეოდნენ.

არც ისე ბევრია იმ ბრძოლათა რიცხვი, რომელთა სახელი ისტორიამ შემოგვინახა. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან მოვლენად მიჩნეულია 732 წლის 4 ოქტომბერს მომხდარი პუატიეს ბრძოლა, რომლის დროსაც კარლ მარტელმა შეძლო მაჰმადიანთა მოგერიება და მათი გავრცელების არეალის შეზღუდვა. რომ არა მისი გამარჯვება, სავსებით შესაძლებელია ესპანეთის ბედი მის ჩრდილოეთ მეზობლებსაც დიდი ხნის მანძილზე გაეზიარებინათ. ფრანკები მუსე-ლა ბატაისთან ჩაუსაფრდნენ

ფრანკები



ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბებს იმ დროს, როდესაც ისინი ლაშქრობიდან ესპანეთში ბრუნდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკების ჯარი ქვეითებისა და მხედრებისაგან შედგებოდა, კარლი და მისი მოკავშირეები ჩამოქვეითდნენ. ამით კარლმა კავალერია კონტრიერიშისაგან იხსნა, რადგან არაბები ძალზე ხშირად იყენებდნენ უკან დახევის მოჩვენებით ტაქტიკას, დადევნებული მტერი ალყაში რომ მოექციათ და გაენადგურებინათ. არაბების სარდალმა აბდ-ერ-რაჰმანმა ბრძოლა მშვილდებისა და შუბების ძლიერი შეტევით დაიწყო და შემდეგ კი მასობრივ თავდასხმაზე გადავიდა, მაგრამ ჩრდილოელებს ვერაფერი დააკლო. არაბები იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ, არაბთა სარდალი კი ბრძოლის ველზე დაეცა.

მოგვიანებით მეფე კარლოს დიდმა (კაროლინგთა დინასტიის წარმომადგენელი – 768-814 წ.წ.) ფრანკთა სამეფოს შემოუერთა იტალია, ბავარია, საქსონია, დაამარცხა არაბები, გააფართოვა ესპანეთის საზღვრები; ასე რომ, ფრანკთა სამფლობელო ორმაგად გაიზარდა და მოიცავდა მთელ ქრისტიანულ ევროპას (ინგლისისა და ასტურიის გარდა). დასავლეთის ქრისტიანთა ეს გაერთიანება საზეიმოდ აღინიშნა 800 წელს, შობის დღესასწაულზე, როდესაც პაპმა ლეონ III-მ რომში კარლოს დიდს იმპერატორის გვირგვინი დაადგა.

ისტორიულ წყაროებში საკმაოდ მწირი ინფორმაციაა შემონახული ფრანკთა ქვეითთა ჯარის შესახებ. თუმცა მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა, განსაკუთრებით კი ალყის შემორტყმის დროს.

ქვეით მეომართა რაოდენობა ირიბად დასტურდება დანაკარგის ოდენობით, რომელიც ფრანკებმა ფონტენუასთან (845 წ.) ბრძოლისას განიცადეს; ასევე გადაკვრით არის ნახსენები „მჭიდრო ფალანგები", რომლითაც ეწყობოდნენ ფეხოსნები. არსებობს ცნობა, რომ 850 წელს მიმდინარე ბრძოლებში დაქირავებული საქსონიელი ქვეითებიც იბრძოდნენ.

892 წელს მონპანსიესთან ბრძოლაში მეფე ოტომ არმია ორ ნაწილად დაყო. ქვეითები და მშვილდოსნები წინა ფლანგზე განალაგა, მხედრობა კი უკან. ამგვარი მწყობრი შუა საუკუნეებისათვის კლასიკური იყო: ქვეითები, როგორც წესი, მტრების ისრების ობიექტს – კავალერიას იფარავდნენ მანამ, სანამ მოწინააღმდეგე შეტევაზე არ გადავიდოდა. 1000 წლისათვის საუკეთესო ქვეითი ჯარი ჰყავდა იმ ხალხს, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ისეთ რეგიონებში ბრძოლას, სადაც რაინდთა კავალერია უპირატესობას ფეხოსნებს უთმობდა – მთებსა და ჭაობიან ადგილებში.

## ნორმანები ანგლოსაქსების წინააღმდეგ

VIII-IX საუკუნეებში ნორმანები ჩრდილოეთის ზღვების მებატონეებად იქცნენ. ისინი ძალაუფლებისა და ალაფის ძიებაში გამუდმებით ესხმოდნენ თავს ევროპის სანაპიროებს და ხშირად შორეულ ქვეყნებამდეც კი აღწევდნენ. ეს გერმანული ტომები თანამედროვე ნორვეგიელების, შვედების, დანიელებისა და ისლანდიელების წინაპრები არიან. მათი სამშობლო იუტლანდიისა და სკანდინავიის ნახევარკუნძულებია, ასევე ბალტიის რამდენიმე კუნძული. ევროპის ამ ტერიტორიაზე მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო ნორმანები იძულებული იყვნენ გამუდმებით სარჩოს ძიებაში ყოფილიყვნენ, რაშიც მათ ზღვა ეხმარებოდა. ისინი აგებდნენ მცირე ზომის (20-40 კაცის ტევადობის) საიმედო და სწრაფ ხომალდებს, რომელთაც კიჩო ცხვირივით ვიწრო და წამახული ჰქონდათ, რათა ვიწრო სრუტეებში გემს მობრუნება არ დასჭირვებოდა. იმ შემთხვევაში, თუ უკან გაბრუნებას მოისურვებდნენ, ნიჩბების გადაადგილებით იოლად მიცურავდნენ საპირისპირო მიმართულებით. კომპასი მათთვის უცხო ხილი იყო, ამიტომაც მოგზაურობისას, როგორც წესი, ვარსკვლავებით იკვლევდნენ გზას და შორეულ საზღვაო ექსპედიციებსაც აწყობდნენ.

IX საუკუნის დასაწყისში მათ მიაღწიეს ფარერის კუნძულებს, ხოლო ამავე საუკუნის მიწურულს ისლანდიას და მასზე დასახლებაც იწყეს. სკანდინავიელების ათობით და ასობით ხომალდი ყოველწლიურად აწიოკებდა მეზობელ ინგლისს, ირლანდიას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიასა და ესპანეთს. გიბრალტარის სრუტის საშუალებით იჭრებოდნენ ხმელთაშუა ზღვაში და არაბებსაც კი ესხმოდნენ თავს. XI საუკუნის დასასრულს საფრანგეთის მეფე იძულებული შეიქნა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე საკმაოდ დიდი მიწის ნაკვეთი ნორმანთა ერთ-ერთი ბელადისათვის – როლანდისათვის დაეთმო. ასე აღმოცენდა საჰერცოგო ნორმანდია.

საკმარისია დავხედოთ მსოფლიოს გეოგრაფიულ რუკას, რომ მაშინვე ნათელი გახდება, რატომ მაინცდამაინც ინგლისსა და ირლანდიას მოუწია ნორმანების უსასტიკესი თავდასხმების გადატანა. ზურგის ქარის დროს დანიიდან ან ნორვეგიიდან ინგლისის სანაპირომდე მიღწევას ერთ კვირაზე ნაკლები სჭირდებოდა და ნორმანებიც, რა თქმა უნდა, ყოველწლიურად „სტუმრობდნენ" მეზობლებს. რომაელების შემდეგ ბრიტანეთი ანგლოსაქსონიური წარმოშობის ტომებმა დაიპყრეს და რამდენიმე ბარბაროსული სამეფო შექმნეს. ისინი იმდენად იყვნენ ჩართული დაუსრულებელ შინაომებში, რომ ვერ მოახერხეს თავის დაცვა საერთო მტრისაგან. 842 წელს ნორმანებმა გაძარცვეს და გადაწვეს ლონდონი. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ დანიელები თავდასხმების შემდეგ სახლებშიაც კი აღარ ბრუნდებოდნენ, – ისინი ინგლისის დაპყრობილ ტერიტორიებზე იზამთრებდნენ ხოლმე. ანგლოსაქსთა თითქმის ყველა სამეფო დამორჩილდა ნორმანებს, ერთხანს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უესექსი აგრძელებდა წინააღმდეგობას. მალე ინგლისი დანიის მეფე კანუტის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, რომელმაც აქ საკმაოდ ფრთხილი პოლიტიკა გაატარა – უფლება-მოვალეობებით ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა ნორმანებსა და ანგლოსაქსებს, რის გამოც სამეფოში სიწყნარე იყო, რასაც ვერ ვიტყვით, მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაზე. ძალადობით შეწუხებულმა ანგლოსაქსებმა 1042 წელს აჯანყება მოაწყვეს, რომელსაც ნორმანდთა საჰერცოგოც ეხმარებოდა. ამ უკანასკნელს, როგორც აღმოჩნდა, სულაც არ ამოძრავებდა კეთილშობილური სურვილი, მას თავად სურდა გამხდარიყო ინგლისის მეფე.

1066 წელს გარდაიცვალა ანგლოსაქსების მეფე ედუარდ აღმსარებელი, რომელმაც სამეფო ტახტი ვილჰემს, ნორმანდიის ჰერცოგს უანდერძა, მაგრამ დაკრძალვის ცერემონიიდან სულ რაღაც ექვსი საათის შემდეგ ინგლისს ჰაროლდ II-ის სახით ახალი მონარქი ჰყავდა. მყისიერმა მობილიზებამ ინგლისელები ვერ დაიხსნა მტრებისაგან. ვილჰემმა ელჩები გაუგზავნა ჰაროლდს და შეახსენა რამდენიმე წლის წინ მის ტყვეობაში ყოფნისას დადებული მხარდაჭერის ფიცი. ინგლისის მონარქმა ყველაფერი უარყო და სამეფო ტახ-



ნორმანთა დრაკარი

ტის დაბრუნებაზე უარი განუცხადა. ვილჰემმა ჯარის შეგროვება დაიწყო, რომელშიც დაახლოებით 10 ათას კაცი შედიოდა. ნორმანების ფლოტი შედგებოდა 400 დიდი და ათასამდე მცირე ხომალდისაგან, რომელთა საშუალებითაც ცხენებიც კი გადმოჰყავდათ. ჰაროლდს რომ მოესწრო და ნორმანდიელებს ზღვაში დაპირისპირებოდა, უთუოდ გაიმარჯვებდა, მაგრამ ორი დღით ადრე ნორვეგიელი ვიკინგების წინააღმდეგ მოუწია გალაშქრებამ.

1066 წლის შემოდგომაზე ნორმანდიელების, ფრანგებისა და იტალიელებისაგან შემდგარმა ვილჰემის უზარმაზარმა არმიამ, რომლის ძირითად ნაწილს მძიმე, კარგად შეიარაღებული მხედრობა წარმოადგენდა, ლა-მანში გადალახა და 14 ოქტომბერს სენლაკის ფერდობზე დაბანაკებული ჰაროლდის ქვეითი ჯარის შუბების კედელს შეხვდა.

ტრადიციულად, ამ ბრძოლას ისტორიკოსები განიხილავენ როგორც ნორმანდიელთა და ანგლოსაქსთა არმიების შეტაკების კლასიკურ მაგალითს, რომლის დროსაც დაპირისპირებული მხარეები სამხედრო ძალების სრული შემადგენლობით იბრძოდნენ. ნორმანდიელები მარჯვედ იყენებდნენ რაინდთა, მშვილდოსანთა და შუბოსანთა ნაწილებს, ხოლო ანგლოსაქსების შეჯავშნულ არქაულ არმიას გვერდს უმაგრებდა გლეხებისგან შემდგარი შენაერთი, რომელთა ერთადერთ იარაღს ჯოხზე მიბმული ქვა წარმოადგენდა. ამგვარი ცნობები დღეს ერთგვარ კორექტირებას ექვემდებარება. დამტკიცდა, რომ ჯაჭვის პერანგებით შემოსილი ინგლისელი ჰაუსები, ანუ ჰუსკარები (huscarl), სხვაგვარად თავადები, მეფის დაქირავებული ჯარი, იმ დროის ევროპაში ქვეითთა საუკეთესო დანაყოფს წარმოადგენდა და ყოველი 500 აკრზე (მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში; უდრის 4,047 კვ. მეტრს) ერთი კარგად აღჭურვილი მეომარი გამოდიოდა.

მალდონის ბრძოლის სახელით ცნობილი ისლანდიური საგა და კიდევ რამდენიმე სხვა ლიტერატურული ძეგლი, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს სტამფორდბრიჯთან ინგლისელების გამარჯვების შესახებ, ტრადიციული შეხედულებისაგან საკმაოდ განსხვავებულ წარმოდგენას გვიქმნის ინგლისელთა არმიაზე. მათ თანახმად, ინგლისელ ქვეითთა შუბების კედელი მშვილდოსანთა და, შესაძლოა, მსუბუქად შეიარაღებული შუბოსნების დანაყოფებისგანაც შედგებოდა. საბრძოლო მწყობრი კი საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო: პირველ ხაზზე განლაგებული იყო საჭურვლით დაცული და დიდი ფარებით აღჭურვილი მშვილდოსნების რაზმი, მათ უკან ორსახელურიანი დანიური ცულებითა და შურდულებით შეიარაღებული მეომრები იდგნენ. ფორმირების შემადგენლობაში შედიოდნენ მშვილდოსნებიც.





ინგლისელი მეომრები, როგორც წესი, სალაშქროდ ცხენებით მიდიოდნენ, ბრძოლისას კი ჩამოქვეითდებოდნენ ხოლმე. ბრუნაბურგის ბრძოლაში (937წ.), მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა ნორმანებისა და სკოტების გაერთიანებულ ძალებს სძლიეს, გამარჯვებულთა მხედრობა ლტოლვილებს დაედევნა და გაანადგურა. ამგვარი მოქნილობა არმიებს უზარმაზარ უპირატესობას ანიჭებდა ქვეითთა ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლისას, რადგან ამ უკანასკნელს შეეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ არ შეეძლო მოწინააღმდეგის განადგურება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოწინააღმდეგეს ალყაში ან ხაფანგში მოაქცევდა).

1066 წელს მეფე ჰაროლდი სტამფორდბრიჯის ჩრდილოეთით დაიძრა და ნორვეგიელთა ნაწილი გაანადგურა, შემდეგ ისევ სამხრეთით გადაინაცვლა, ჰერცოგი გიიომის (ანუ უილიამი, შემდგომში ვილჰემ დამპყრობლად წოდებული) ხელმძღვანელობით შემოჭრილ ნორმანებს დაუპირისპირდა.

ანგლოსაქსები არ ხელმძღვანელობდნენ სწორხაზოვანი ტაქტიკით. მაგალითად, 1063 წელს ჰაროლდ ჰოდვინსონმა (შემდგომში მეფე ჰაროლდ II-მ) და მისმა ძმამ ტოსტიგმა უელსში საომარი მოქმედებები წამოიწყეს. XII საუკუნის მოღვაწის ჟერალდ დე ბარის თანახმად, იმისათვის, რომ ანგლოსაქსების პარტიზანული ბრძოლა შედეგიანი ყოფილიყო, ჰაროლდმა ჰუსკარლები ტყავის საჭურვლით შემოსა და ხელში მსუბუქი ფარები დააჭერინა. ტოსტიგმა ეს დანაყოფები ხომალდებით უელსის სანაპიროზე გადაიყვანა. რეიდერებისაგან განადგურების შიშით ვალიელებმა თავიანთი ბატონი გრუფილდი მოკლეს და მორჩილებისა და ერთგულების ნიშნად მისი მოკვეთილი თავი ჰაროლდს მიართვეს.

ჰასტინგსთან ბრძოლის დროს ინგლისელების ფარების კედელს ნორმანდიელებმა სამ ეშელონად დანაწილებული ფორმირება დაუპირისპირეს. პირველ ხაზზე იდგნენ ქვეითები, მათ მოჰყვებოდნენ მშვილდოსნები და შუბოსნები. ნორმანელმა მშვილდოსნებმა პირველებმა „გახსნეს ცეცხლი“, რის შემდეგაც ინგლისელებზე იერიში შუბოსნებმა მიიტანეს, რომელთაც ნიადაგი უნდა შეემზადებინათ რაინდთა შეტევისათვის. როდესაც გაირკვა, რომ მათმა ტაქტიკურმა სვლამ ვერ გაამართლა, ნორმანელმა შუბოსნებმა უკან დაიხიეს და სავარაუდოდ, თავდაცვის ცენტრი შექმნეს, რომლის გარშემოც შეძლებდა შეგროვებას რაინდობა ყოველი შეტევის შემდეგ. ინგლისელთა წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვილჰემის მარცხენა ფლანგმა უკან დაიხია. ამან ინგლისელები წააქალისა. მათი ნაწილი გაქცეულებს დაედევნა, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა მოწინააღმდეგეთა კავალერიის ალყაში და განადგურდა. საზოგადოდ მიიჩნევა, რომ სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ დაიწყო ჰერცოგმა ვილჰემმა ბრძოლაში მოჩვენებითი ლტოლვილობის ფანდის გათამაშება, რათა კიდევ უფრო დაესუსტებინა ინგლისელთა დაცვა. როგორც ისტორიული წყაროები იტყობინება, ამგვარი დევნისას დაიღუპა ჰაროლდის ორი ძმა. საღამო ხანს ვილჰემმა მშვილდოსნებს უბრძანა მოწინააღმდეგეთათვის ისრების დაეშინათ. ბრძოლის დასასრულს დაღლილ ინგლისელებს ძალა აღარ შესწევდათ ფარი ისეთი პოზიციით დაეჭირათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრების მოგერიება. სწორედ ამ დროს სახეში დაიჭრა მეფე ჰაროლდი. ამან მეომართა რიგებში არეულობა გამოიწვია, ვილჰემმა კი შემთხვევით ისარგებლა და ფრონტის ხაზზე კვლავ რაინდთა კავალერია გაგზავნა, რომელიც მტერს ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდა. მათი ხელით მოკვდა მეფე ჰაროლდიც.

დამარცხების მიუხედავად, ინგლისელებმა სწორად განალაგეს ჯარი – მათ ფლანგებსა და ზურგს უფარავდა ტყე, ხოლო წინ გადაშლილი ფერდობი ამცირებდა შეტევაზე გადასული კავალერიის სიჩქარეს. თავად ის ფაქტი, რომ ბრძოლა თერთმეტ საათს გაგრძელდა, ანგლოსაქსი მეომრების თავდაცვითი მანევრების მოხერხებულობასა და სიმტკიცეზე მეტყველებს. ნორმანებს აქცენტი მხოლოდ მხედრობაზე რომ გაეკეთებინათ, შესაძლოა, ინგლისელებს ბრძოლა მოეგოთ კიდეც, მაგრამ ნორმანების უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ჰყავდათ დაბალანსებული, გაწონასწორებული და ბრძოლისუნარიანი ძალები.

## ანგლონორმანული პერიოდი

ბრიტანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობამ ინგლისური ქვეითი ჯარის, ნორმანთა მშვილდოსნებისა და მხედრობის სამხედრო ტრადიციების შერწყმა გამოიწვია. ამ მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანია ნორმანდიაში მომხდარი სამი შეტაკება.

1106 წელს, ტენშბრეს მახლობლად, ინგლისის მეფე ჰენრი I-სა და მის ძმას ნორმანდიის ჰერცოგი დაუპირისპირდა. ორივე მხარემ კავალერიის ჩამოქვეითებისა და ფეხოსანთა რიგების შევსების ბრძანება გასცა. ჰენრი I-ს რეზერვის სახით ელი დე მენას ხელმძღვანელობით მხედრობა ჰყავდა, რომელიც ბრძოლის ველიდან მოშორებით, ფლანგზე იყო დისლოცირებული. როდესაც ბრძოლა გახურდა და გამარჯვების მოსაპოვებლად მოწინააღმდეგეთა შანსი გათანაბრდა, ელი თავისი მეომრებით რობერტ ნორმანდიელის ჯარს ეკვეთა. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა – ინგლისელებმა სძლიეს მტრებს.

1118 წელს ალანსონთან ბრძოლაში ფულკ ანჟუელმა საუკეთესოდ გამოიყენა მის განკარგულებაში მყოფი ქვეითი ჯარი. მშვილდოსნებისა და შუბოსნების რაზმებს ნორმანთა კავალერიის შეტევის მოგერიება დაავალა, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა უკან დახევა დაიწყო, მხედრობით კონტრიერიში მიიტანა. 1124 წელს, ბურ-ტერულდთან, მეფე ედ ბორლანის მოკავშირეების ჯარის სარდალმა ძირითადი დამრტყმელი ძალა ჩამოქვეითებული რაინდებისა და მშვილდოსნების რაზმისაგან შეადგინა და ფლანგებზე განალაგა. მოჯანყე ამორ დე მონფორის მხედრობამ ნორმანების ცენტრზე მიიტანა იერიში, თუმცა ფეხოსნებისა და მშვილდოსნების შეთანხმებული მოქმედებით მათ იერიში მოიგერიეს. ამ შეტაკებას შეგვიძლია „მინიატიურული შაბლონიც“ ვუწოდოთ, რომლის ანალოგია დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ კრესის ბრძოლაში გათამაშდა.

1138 წელს ინგლისში შემოჭრილ შოტლანდიელებს დარემელი ეპისკოპოსის ჯარი დაუპირისპირდა. ბრძოლის დაწყებამდე მათ შუბოსნები რამდენიმე დაჯგუფებად დაყვეს, ჰყავდათ მძიმე მხედრობის მცირე კონტინგენტი და ნახევრად ველური მეომრებისაგან შემდგარი ბანდები. ანგლონორმანელი რაინდები ჩამოქვეითდნენ და დაიკავეს ადგილი ფაირდთა (ინგლისური ქვეითი ჯარი) გვერდით. მშვილდოსნები რაინდთა რიგებში გაიფანტნენ, რითაც ხელჩართული ბრძოლის შემთხვევაში უსაფრთხოების მეტ-ნაკლები გარანტია მიიღეს. კელტები არ ატარებდნენ საჭურველს და ამიტომაც მრავალი მათგანი თითქმის უბრძოლველად ისრებით განგმირული ეცემოდა. დიდი დანაკარგის შემდეგ შოტლანდიელები იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ.

ყოველივე ზემოთქმული ანგლონორმანული ჯარის საოცარ მოქნილობასა და დინამიკურობაზე მიგვანიშნებს. საფიქრებელია, რომ სხვადასხვა ხალხის საომარი გამოცდილების გაზიარებამ და ასევე სტრატეგიასა და ტაქტიკის შესახებ სამხედრო ტრაქტატების გაცნობამ მხედართმთავრებსა და რაზმთა მეთაურებს საშუალება მისცა მოხერხებულად აეგოთ დისპოზიცია და გონივრულად გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ძალები.

ჰაუსი, ანუ იგივე ჰუსკარლი, ბატონთან ერთგულების ფიცით დაკავშირებული ანგლოსაქსთა არისტოკრატიის დაჯგუფებას წარმოადგენდა. ისინი პროფესიონალი მეომრები იყვნენ. მათ რეგულარულად უხდიდნენ ხელფასს; გარდა ყოველდღიური ანაზღაურებისა, მთელ ქვეყანაში მათთვის იკრიბებოდა ფული, რომელიც ყოველთვიურად ურიგდებოდათ. ჰქონდათ საკმაოდ მაღალი საზოგადოებრივი სტატუსიც, რის გამოც ბრძოლის ველზე ამხედრებულნი მიდიოდნენ, მაგრამ შემდეგ ჩამოქვეითდებოდნენ და იბრძოდნენ ტრადიციული სკანდინავიური წესით.

ჰუსკარლები ქმნიდნენ ერთგვარ სამხედრო ელიტას. სვენ აგესონის ისტორიული წყაროს მიხედვით, ჰუსკარლი შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი, ვინც მოოქრულტარიან და ორივე მხრიდან პირგალესილ ხმალს ატარებდა. ამავე წყაროს მიხედვით, ჰუსკარლთა რაზმში მოხვედრის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ სამჭედლოებში მუშაობა არ წყდებოდა.

ჰუსკარლების შენაერთი პირველად, სავარაუდოდ, 1018 წელს უნდა შექმნილიყო. ყოველ შემთხვევაში, 1023 წელს გვარდია უკვე არსებობდა. ჰუსკარლებს უფლება ჰქონდათ მეფესთან ერთად საერთო მაგიდასთან ესადილათ და მათი ადგილების განლაგება წოდებებისა და დამსახურებების სიჭარბის მიხედვით მეფის სკამიდან იწყებდა ათვლას. გვარდიაში სულ სამი ათასი კაცი მსახურობდა, რომელიც ოთხ ფორმირებად ნაწილდებოდა, ეს უკანასკნელნი კი კიდევ უფრო მცირე დანაყოფებს შეიცავდნენ. საბრძოლო ცული, ანუ გრძელსახელურიანი სეკირა, წარმოადგენდა მათ მრისხანე იარაღს, რომელსაც ცხენის თავის მოკვეთაც კი შეეძლო. იმისათვის, რომ სეკირით ებრძოლა, მეომარი იძულებული იყო ოვალური ფარი ზურგზე მოეკიდებინა, რომელსაც იმ დროს ფეხოსნებიც და მხედრებიც იყენებდნენ. სეკირებით მებრძოლი მეომრები ხშირად შუბოსნებთან დაწყვილებული იბრძოდნენ, რომლებსაც ასეთივე ფარები ეკავათ, ეს კი უზრუნველყოფდა მწყობრში ორივე მეომრის თავდაცვას, რის ხარჯზეც ეს უკანასკნელნი საკმაოდ მრისხანე ძალად იქცეოდა როგორც თავდაცვის, ასევე თავდასხმის მხრივ.

ჰუსკარლთა გვარდიის განადგურების თაობაზე მეცნიერებს არ აქვთ ერთიანი აზრი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ჰუსკარლთა უკანასკნელი დანაყოფი 1051 წელს დაშალეს. მეორენი ეთანხმებიან ამ აზრს, მაგრამ ფიქრობენ, რომ ჰუსკარლთა გვარდია ანგლოსაქსთა ინგლისის ბოლო მეფემ, ჰაროლდ II-მ აღადგინა. სხვანი კი ფიქრობენ, რომ გვარდიას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია ჰასტინგსთან 1066 წელს ბრძოლამდე. სხვათა შორის, ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ მეფე ჰაროლდის სიკვდილის შემდეგ ჰუსკარლთა გვარდია აგრძელებდა ბრძოლას და სრულიად განადგურებული დაეცა ბრძოლის ველზე. მას შემდეგ ჰაუსების გვარდიის აღდგენა აღარავის უცდია.

*გაგრძელება იქნება*



ეროვნული ბიბლიოთეკა

*ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ამერიკულ პისტოლეტ „Colt M-1911“-ს მალე ასი წელი შეუსრულდება. კოლტის პისტოლეტები, რომელთაც დღესაც აწარმოებენ ამერიკაში, ერთმანეთისგან კონსტრუქციების ნაირსახეობით, დანიშნულებისა და კალიბრის მიხედვით განსხვავდება. ეს იარაღი ნიჭიერი კონსტრუქტორ ჯონ ბრაუნინგისა და ფირმა Colt-ის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა.*

*ღმერთმა შექმნა ადამიანები, კოლტმა გაათანაბრა ისინი...*

# 100 წელი სახელმწიფოს სამსახურში

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ბრაუნინგმა სრულიად ახალი, ორიგინალური სამხედრო, თვითდატენვადი პისტოლეტის კონსტრუქცია დაამუშავა და სალიცენზიო ხელშეკრულება გააფორმა ფირმა Colt-თან, რომლის მიხედვითაც მისი კონსტრუქციის პისტოლეტების წარმოების უფლება აშშ-ში მხოლოდ კოლტს ეკუთვნოდა, ამავე კონტრაქტის პირობით ბრაუნინგი თითო გაყიდული პისტოლეტიდან, ჰონორარის სახით, თითო დოლარს მიიღებდა. ამასთან, ყველა კონსტრუქციის იდეა პატენტით იქნებოდა დაცული. სწორედ ამ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ შეიქნა ფირმა „კოლტი“ მოკლელულიანი ავტომატური იარაღის ახალი სისტემების პიონერი.



თანამშრომლობის პირველი შედეგი „კოლტ ბრაუნინგ 1900“ 38 ACP ვაზნაზე იყო გათვლილი. იმ დროს გავრცელებული მოკლელულიან იარაღთან შედარებით ამ ნიმუშს კოლოფისებრი შესაცვლელი მჭიდი ჰქონდა, რომელიც პისტოლეტის ტარში თავსდებოდა. მისი ავტომატიკა ლულის მოკლე უკუსვლის პრინციპით მუშაობდა. ამასთან, ჰქონდა ლულასთან საკეტის მყარი შეჭიდება. ბრაუნინგს სურდა ავტომატიკის მუშაობაში ლულის ინერციული მასა ჩაერთო, შეენელებინა საკეტის უკუცემის სისწრაფე. აემაღლებინა გასროლილი მასრის ექსტრაგირების საიმედოობა. ამ მოდელის სამიზნე მოწყობილობა ამავე დროს დამცველის ფიქსატორის როლსაც ასრულებდა. თუ სამიზნე დაშვებული იყო, საცემი მექანიზმი დაბლოკილ მდგომარეობაში იყო. სროლის წინ სამიზნე მოწყობილობას ზემოთ დაახლოებით 6 მმ-ის სიმაღლეზე სწევდნენ, რისი წყალობითაც საცემი მექანიზმი თავისუფლდებოდა. სასხლეტ-საცემი მექანიზმი ღია ჩახმახური ტიპისა იყო. ახალი ვაზნა, რომლის კალიბრიც 38 მმ იყო, უკვამლო დენთზე იყო გათვლილი, ჰქონდა გარსაცმიანი ტყვია და ცილინდრული მასრა, რაც მის უნივერსალურ გამოყენებას (როგორც პისტოლეტების, ასევე რევოლვერებისთვის) უზრუნველყოფდა.



პისტოლეტმა „კოლტ-ბრაუნინგ M 1900-მა“ საბრძოლო ნათლობა ფილიპინებზე საბრძოლო მოქმედებების დროს მიიღო. მან სამხედრო გამოცდა გაიარა, რაც მის საიმედოობაზე მეტყველებდა, თუმცა ახალი იარაღი ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით არცთუ წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად ამისა, ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტა, უკან დასაბრუნებელი ზამბარა, ლულის ქვეშ მოთავსებული ავტომატური დამცველი, პისტოლეტის ტარის ზურგის ნაწილში ჩამონტაჟებული სასხლეტი მექანიზმის დამბლოკავი მომავალში „კოლტის“ ყველა პისტოლეტში შენარჩუნდა.

ბრაუნინგმა გამომცდელების შენიშვნების ნაწილი ახალი პისტოლეტის „კოლტ-ბრაუნინგ 1902“-ის შექმნის დროს გაითვალისწინა. ამ იარაღის ტარი წინამორბედთან

შედარებით ოდნავ გრძელი იყო, რამაც საშუალება მისცა მას მჭიდის ტევადობა 7-ის ნაცვლად 8 ტყვიამდე გაეზარდა. ახალ პისტოლეტს დამცველი საერთოდ არ ჰქონდა. სამაგიეროდ, დაემატა რგოლი ღვედისთვის და საკეტის შემანელებელი, რომელიც მჭიდის ამოწურვისას საკეტის გარსაცმს უკან დაწეულ მდგომარეობაში აჩერებდა.

1905-1907 წლებში ბრაუნინგმა ძველი კონსტრუქციის პისტოლეტებში მთელი რიგი სრულყოფილი სიახლეები შეიტანა, ასე გაჩნდა ახალი მოდერნიზებული თვითდატენვადი სამხედრო პისტოლეტი კოლტი, რომელიც ორ მოდელად იყო დამუშავებული (ჩახმახიანი და უჩახმახო) ლულის არხის ჩაკეტვა ისევე ხდებოდა, როგორც მის წინამორბედში. იგი გათვლილი იყო მძლავრი, 45 ACP ტყვიის სროლაზე. ეს ტყვია ძალზე ეფექტიანი იყო, მისი შემაჩერებელი ძალა 100 მეტრზე ვრცელდებოდა. 1907 წელს ამერიკის სამოსამსახურო პისტოლეტის კონკურსზე ფირმა Colt-მა წარადგინა პისტოლეტი Contract Government Model-ი.

ამ იარაღს საკეტის შემაყოვნებელი ავტომატური დამცველი და დაბლოკილი საცემი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის შედეგი უარყოფითი იყო, პისტოლეტის შემქმნელები სულით არ დაცემულან და სახელმწიფო შეკვეთისთვის ბრძოლაში თვისებრივად გაუმჯობესებული კონსტრუქციის პისტოლეტი Colt M 1909 შექმნეს. ამ მოდელის პისტოლეტის ლულის უკუსვლის შემთხვევაში დაბლა მხოლოდ სავაზნის ნაწილი იწეოდა, რადგან წინა მოდელისგან განსხვავებით ჩარჩოზე არა ორ წერტილზე, არამედ ერთ ადგილას იყო შეერთებული. ამასთან, შეცვლილი იყო ღერძის მიმართულებაც.

1907-1910 წლებში საკონკურსო გამოცდების შემდეგ ამერიკული არმიისთვის შეარჩიეს ღია ჩახმახიანი მოდელი. სამხედრო ხელისუფლების სურვილით პისტოლეტს შედარებით მომცრო ტარი ჰქონდა, რაც კონსტრუქტორებმა მომდევნო მოდელში Colt M 1911-ში (სახელისუფლებო მოდელი) გაითვალისწინეს. ამ პირადი თავდაცვის ხასიათის იარაღით თავდაპირველად აღიჭურვა აშშ-ის არმიის ოფიცერთა შემადგენლობა.

პისტოლეტი Colt M 1911 შედგებოდა შემდეგი ძირითადი ნაწილის კვანძებისა და მექანიზმებისგან: ლულა, პისტოლეტის ჩარჩო, საკეტის გარსაცმი, მჭიდი, საცემი, სასხლეტი, უკან დასაბრუნებელი მექანიზმი და სამიზნე მოწყობილობები.

Colt M 1911-ის ავტომატიკა ლულის მოკლე უკუსვლისა და საკეტის უკუცემის პრინციპით მუშაობდა.

პისტოლეტი იტენებოდა სახელურში მოთავსებული ერთრიგიანი კოლოფისმაგვარი მჭიდით, რომელშიც 7 ვაზნა ეტეოდა. ვაზნების ამოწურვისას მჭიდის მიმწოდებე-



ლი ეხებოდა საკეტის ჩამკეტ კბილანას, რომელიც საკეტის გარსაცმში ამოჭრილ ნაპრალში ხვდებოდა და უკან დაწეულ მდგომარეობაში აჩერებდა მას. დაცლილი მჭიდი სახელურის მარცხენა მხარზე მოთავსებული სარაზავის ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ ვარდებოდა ტარიდან. როცა სავსე მჭიდი იკავებდა მის ადგილს, საკმარისი იყო ჩამკეტი შემანელებლის შვერილზე თითის დაჭერა, რომ მისი კბილანა უკან დაწეულიყო, რაც საკეტის გარსაცმს წინსვლის საშუალებას აძლევდა, პისტოლეტი კი სასროლად გატენილი იყო.

პისტოლეტი Colt M 1911 თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო სამხედრო იარაღად ითვლებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, Springfield Armory-იმ ქ. სპრინ-გფილდში 45 000 პისტოლეტ M 1911 გამოუშვა ფირმა Remington Arms Union Metallic Cartridge Co-მ ქ. ბრიჯპორტში — 13152 ერთეული; ფირმა North American Arms Co-მ ქ. კვებეკში — დაახლოებით 100 ერთეული; ხოლო თვით ფირმა Colt's Patent Firearms Mtg Co-მ 1912 წლიდან 1918 წლის ბოლომდე — დაახლოებით 550000 ცალი, რომლებიც იმდენად საიმედო და გამძლე აღმოჩნდა, რომ ამერიკის არმიაში სამსახურის 75 წლის განმავლობაში მისი კონსტრუქციის პრინციპები პრაქტიკულად არ შეცვლილა.

პისტოლეტმა უმკაცრესი გამოცდა პირველი მსოფლიო ომის დროს ყველაზე რთულ პირობებში გაიარა და საუკეთესო თვისებები გამოავლინა.

მხოლოდ 1923-1926 წლებში მოახდინეს მისი მცირე მოდერნიზაცია სპრინგფილდის არსენალის კონსტრუქტორებმა, რომელიც ძირითადად საცემ-სასხლეტი მექანიზმის ნაწილებს შეეხო: შეიცვალა საცემის ნემსი, გაუმჯობესდა დამრტყმელი მექანიზმის ზამბარის ბუდეში ჩასმულობა; არაავტომატური დამცველის ალამი დააგრძელეს; სასხლეტის სვლის სიგრძე დაამოკლეს; გაუმჯობესდა პისტოლეტის ტარის ერგონომიკაც, შეიცვალა მისი ზურგის ნაწილის პროფილი. მასზე ავტომატური დამცველის ქვემოთ ნაჭდევიანი ამობურცულობა გაჩნდა, ჩარჩომ კი სასხლეტი კავის სიახლოვეს ორივე მხარეს მცირე ჩაღრმავება მიიღო. გარდა ამისა, გაფართოვდა სამიზნე; სასხლეტი კავი ნაჭდევებით დაიფარა, პისტოლეტის კალიბრი კი ოდნავ შემცირდა. ამ სახით გაუმჯობესებულმა მოდელმა სახელად M1911A1 მიიღო. იმის გამო, რომ მშვიდობიანობის პერიოდში მოკლელულიან თავდაცვით იარაღზე მოთხოვნილება შემცირდა, 1920-1939 წლებში ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა მხოლოდ 17249 Colt M1911A1 შეიძინა. 1929 წელს ფირმა Colt-მა იმ დროისათვის ახალ .38 Super Auto ვაზნაზე გათვლილი პისტოლეტის ვარიანტი გამოუშვა. შემდეგი ახალი მოდელი, რომელიც 22LR ვაზნის სროლაზე იყო გათვლილი, 1930 წელს გამოჩნდა.

ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა აიძულა, გადაესინჯათ საკუთარი შეხედულებები არმიის ძირითადი იარაღითა და მათ შორის სამომსახურო პისტოლეტებით მომარაგების საქმეში.

1939 წლის შემოდგომაზე აშშ-ის არმიის საარტილერიო-ტექნიკურმა სამმართველომ გამოაცხადა კონკურსი პისტოლეტ კოლტ M1911A1-ის გამოშვების უფლების მოსაპოვებლად. კონკურსში გაიმარჯვეს ამერიკულმა ფირმებმა: Colt's Patent Firearms Mtg Co-მ ქალაქი ჰარტფორტი; Ithaca Gun



ეროვნული ბიბლიოთეკა

Co-მ. ქ. იტაკა; Remington Rand Inc-მა ქ. სირაკუზი; Union Switch & Signal Co-მ ქ. სვისვილი და ფირმა Singer Mfg Co-მ ქ. ელიზაბეტი. ამ ფირმებმა საწარმოო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენებით ომის წლებში შეძლეს დასახული მიზნის მიღწევა.

ომის დროს ამერიკის არმიაში კოლტი სახმელეთო ჯარების, საზღვაო ქვეითთა კორპუსის, სამხედრო-საჰაერო ძალების, ტექნიკური და საგანგებო შენაერთების უნტერ-ოფიცერთა და ოფიცერთა პირად თავდაცვით იარაღად გამოიყენებოდა.

პისტოლეტი ერთობ პოპულარული იყო ამერიკის არმიაში, მისი საუკეთესო საბრძოლო თვისებები მნიშვნელოვნად აქარწყლებდა რიგ ნაკლოვანებებს, პირველ რიგში, დიდ მასას, მჭიდის მცირე ტევადობასა და ჩახმახის თვითშემართვის უქონლობას.

ომის დამთავრების შემდეგ პისტოლეტი Colt M1911A1 სამხედრო და სამოქალაქო პისტოლეტების რამდენიმე ჯგუფის (ოჯახის) ძირითადი ბაზა, საფუძველი გახდა. 1947 წელს გამოჩნდა უფროსი ოფიცრებისთვის განკუთვნილი, დამოკლებული და შემსუბუქებული (მოდელი Commander) ახალი მოდელი, რომელიც M1911A1-თან შედარებით მხოლოდ 20 მმ-ით მოკლე იყო, სამაგიეროდ, გაცილებით ნაკლებს იწონიდა. მისი ჩარჩო მსუბუქი ლითონისგანა დამზადებული, ამიტომაც მასა 1,1 კილოგრამიდან 0,74 კგ-მდე შემცირდა. ის 9 მმ-იან „პარაბელუმის", 38 Super Auto და 45 ACP ვაზნების სროლაზეა გათვლილი. ერთ დროს გამოდიოდა ამ პისტოლეტების 7,65 მმ-იანი, „პარაბელუმის" ვაზნაზე გათვლილი პისტოლეტები იმ ქვეყნებში საექსპორტოდ, რომლებშიც ე.წ. სახელისუფლებო კალიბრები კერძო პირებისთვის აკრძალულია.

1971 წელს ეს პისტოლეტი ახალმა Colt Combat Commander-მა შეცვალა, ამ უკანასკნელს ჩარჩო უჟანგავი ფოლადისა ჰქონდა. იწონიდა ოდნავ უფრო მეტს, ვიდრე მისი წინამორბედი (900 გ), სიგრძით 197 მმ იყო, ლულა კი 108 მმ სიგრძის ჰქონდა. მოდელს ფოლადის შავად მოსევადებული ან უჟანგავი ფოლადის ჩარჩო ჰქონდა და 45 ACP ვაზნის სროლაზე იყო გათვლილი.

მსუბუქი ლითონისჩარჩოიან Commander-ს Lichtweit Commander უწოდეს. ეს პისტოლეტი მხოლოდ 45 ACP ვაზნაზე იყო გათვლილი. მის მჭიდში კი 8 ვაზნა ჩადიოდა. მასა – 0,76 კგ-ს უდრიდა. მას კოლტის სხვა პისტოლეტების ყველა მჭიდი ერგებოდა.

1972 სამხედრო პისტოლეტი კოლტი მიუსადაგეს აშშ-ის არმიის სარდლობის მოთხოვნილებებს. როკ-აილენდის არსენალის სპეციალისტებმა შექმნეს ამ იარაღის საჯიბე მოდელი, – ექვსტყვიანი კოლტი (მოდელი General officer), რომელიც სავსე



მჭიდიანად მხოლოდ 0,76 კგ-ს იწონის. აშშ-ის არმიამ მას ინდექსი 15 მიანიჭა. თუმც იარაღის ზომების შემცირებამ ზოგი უარყოფითი შედეგი მოიტანა. მაგალითად, მოკლე 106 მმ ლულის გამო (20 მმ-ით ნაკლები) სროლისას ლულიდან მნიშვნელოვნად მეტი ალი გამოიტყორცნება, რაც მსროლელს დისკომფორტს უქმნის. ამ პისტოლეტის ავტომატიკის მუშაობის საიმედოობის გასაუმჯობესებლად კონსტრუქტორებმა სრულყვეს უკან დასაბრუნებელი მექანიზმი – დამოკლებულ ზამბარას ტელესკოპური მიმმართველი ღერო დაუყენეს. გარდა ამისა, პისტოლეტს შედარებით მოკლე გარსაცმსაკეტი ჰქონდა. დანარჩენი კონსტრუქცია კი M1911A1-ის ანალოგიური იყო.

1970 წელს ამერიკელმა მეიარაღეებმა პისტოლეტ კოლტის მოდერნიზებული მოდელი დაამუშავეს (მოდელი Commander Mk-IV, Series 70), რომელსაც სროლის მიჯრილობის გასაუმჯობესებლად დაგრძელებული ლულის მიმმართველი ქუროს უკანა ნაწილში ზამბარისებური ფურცლების ნაჭდევები ჰქონდა, რომელიც საკეტის უკან დაწევის დროს ლულის ურყეობას უზრუნველყოფდა. კოლტის ყველა პისტოლეტმა, რომელთაც ეს მოწყობილობა ჰქონდათ, მიიღო ინდექსი Colt Mk IV, Series 70. ისინი გათვლილი იყო 38 Super (მოდელი Colt Super Commander), 9მმ „პარაბელუმ" და 45 ACP ვაზნის სროლაზე. მიუხედავად მრავალი დადებითისა, ამ იარაღს უარყოფითი თვისებაც საკმაოდ ჰქონდა: ძალზე მცირე ფიქსირებული სამარჯვი, მცირე ზომის დამცველის ალამი და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის იარაღის ბაზარზე ფირმა „კოლტი" დომინირებდა, იმის გამო, რომ დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა სახელმწიფო შეკვეთებს, არ ჰქონდა საშუალება და არ ჰყოფნიდა სიმძლავრეები მრავალრიცხოვანი კომერციული შეკვეთების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო ეს დანაკლისი საიარაღო სახელოსნოებმა შეავსეს. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პისტოლეტ კოლტის მოდიფიკაციათა ნაირსახეობის გამოჩენას ამერიკის იარაღის ბაზარზე. თავად Colt-ის ფირმა კი საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა იმ კონკურენციის გამო, რომელსაც მისი იარაღის ასლების გამომშვები სახელოსნოები და კოლტის პისტოლეტის ქარხნული წარმოების კომპაქტური ვარიანტების იაფად მოვაჭრე ფირმები ქმნიდნენ. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი 1984 წელს ასპარეზზე ახალი მოდელის პისტოლეტის Colt Officers ACP Mark IV Series 80-ის გამოჩენას. ეს იარაღი Colt M1911A1-ის კომპაქტური ვარიანტი გახლავთ. მისი საერთო სიგრძე 184 მმ-ია, რაც პისტოლეტ M1911A1-თან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია (216 მმ) განსაკუთრებით საგრძნობლად შემცირდა სიმაღლეც – 127 მმ 140-ის ნაცვლად. ზომის შემცირებამ გავლენა მოახდინა მჭიდის ტევადობაზეც, ახალი მოდელის პისტოლეტის მჭიდში შვიდის ნაცვლად 6 ტიპის ვაზნა იყო. თავიდან ამ პისტოლეტებს ანოდირებული ამღვრეული ფერისას ან მონიკელებულებს უშვებდნენ. მოკლე ლულას კონუსისებრი მოყვანილობა აქვს, რაც გარსაცმსაკეტთან მის გაწონასწორებულ მორგებულობაზე მეტყველებს. დასამიზნებელი მოწყობილობა შედგება ფიქსირებული სამიზნისაგან, რომელსაც აქვს სამწერტილიანი ღამის სამიზნე მოწყობილობა (ორი წერტილი სამარჯვის გვერდით ზედაპირზე, ერთი კი სამიზნის წვეტზე). ჩარაზვის სისტემის საიმედოობის გასაძლიერებლად გამოყენებულია ორმაგი უკან დასაბრუნებელი ზამბარა.

1990 წელს კოლტმა კიდევ ერთი ახ-

ალი მოდელი Officers ACP Ultimate Stainless გამოუშვა. პისტოლეტი გაპრიალებული უჟანგავი ფოლადისგანაა დამზადებული.

სამი წლით ადრე კი ქვეყანას მოევლინა პისტოლეტ M1911A1-ის კიდევ ერთი მოდერნიზებული ნიმუში, რომელიც უმძლავრეს 10 mm Auto-ვაზნის სროლაზე იყო გათვლილი. მას Colt Delta Elite ეწოდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ფირმა „კოლტმა“ მხოლოდ 1989 წელს აითვისა ორმაგი მოქმედების პისტოლეტების წარმოება, მაშინ როცა მისმა მთავარმა კონკურენტმა, ასევე ამერიკულმა საიარაღო ფირმა Smith & Wesson-მა თვითდატენვადი პისტოლეტი M 39, რომელსაც ორმაგი მოქმედების საცემ-სასხლეტი მექანიზმი ჰქონდა, ჯერ კიდევ 1955 წელს წარმოადგინა. 1988 წელს ფირმის ინჟინერმა დან ჰოულმა პირველი ორმაგი მოქმედების საცემ-სასხლეტი მექანიზმიანი Colt MKII, series 90 დააპროექტა, რომელიც 45 ACP და 10 mm Auto – ვაზნის სროლაზეა გათვლილი. 1990 წელს დაიწყო ამ პისტოლეტის მასობრივი წარმოება. ფირმა ამ მოდელით საკუთარი საქონლის გასაღების ბაზრის გაფართოებას შეეცადა. გაცილებით ადრე კერძო მეიარაღე ოსტატები წარმატებით ახერხებდნენ კოლტ M1911 A1-ის („სახელისუფლებო მოდელი“) გადაკეთებას. კარგად ცნობილი გადაკეთებული მოდელის Double Eagle-ს ავტორად ლუის ვ. სიკემპი ითვლება. ამ პისტოლეტის ზომები უმთავრესად პისტოლეტ M1911A1-ს შეესატყვისება. 1991 წელს გამოჩნდა ამავე იარაღის გაუმჯობესებული ვარიანტი – Colt Double Eagle Mk II, Series 90, მას მოდიფიცირებული საცემ-სასხლეტი მექანიზმი ჰქონდა.

1991 წელს Colt-მა ახალი – „ძველი“ სამხედრო პისტოლეტი 1991 1 „სამთავრობო მოდელი“ გამოუშვა, რომელიც კოლტ 80-ის სერიისგან მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით განსხვავდება. ამ იარაღს აქვს ერთმაგი სასხლეტ-საცემი მექანიზმი და გათვლილია 45 ACP ვაზნის სროლაზე. მისი საერთო სიგრძე 216 მილიმეტრს შეადგენს: ლულის სიგრძე 127 მმ-ია; მასა 1,07 კგ; მჭიდში 7 ვაზნა ეტევა.

1997 წელს ფირმამ აითვისა კომპაქტური პისტოლეტ Colt Defender წარმოება. მისი ლულის სიგრძე დამოკლებულ გარსაცმსაკეტში 76 მმ-ის ტოლია. დღეისთვის აწარმოებენ ამ იარაღის შვიდტყვიიან ვარიანტს, რომლებიც 40 S&W და 45 ACP ვაზნებზეა გათვლილი. ამ მოდელს ისეთივე ჩარჩო აქვს, როგორიც Officers ACP-ს, ამიტომ ახალი მჭიდის შექმნა საჭირო აღარ შეიქნა, ტევადობა კი ერთი ვაზნით გაიზარდა, ახალი ტიპის მიმწოდებლის ხარჯზე.

1998 წელს ფირმამ Colt Officers ACP – წარმოება შეწყვიტა და მას ფარულად სატარებელი საოფიცრო მოდელი Concealed Carry Officers (Colt co) ჩაანაცვლა. ახალი ნიმუშის საერთო სიგრძე 197 მმ-ია, ლულის სიგრძე 108 მმ, მასა 737 გრამი.

პისტოლეტი Colt M 1911 A1-ის კარგმა კონსტრუქციამ და დამსახურებულმა მაღალმა რეპუტაციამ გამოიწვია მის ბაზასა და საფუძველზე ბევრი სრულყოფილი მოდიფიკაციის შექმნა არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ისინი დღესაც იწარმოება ლიცენზიებით, სხვადასხვა ვარიანტის სახით, არგენტინაში, ბრაზილიაში, იტალიაში, ისრაელში, კანადაში, ნორვეგიასა და ფილიპინებზე. 1932 წელს ფირმა „კოლტმა“ აშშ-ის კემპერიში სპორტულ სროლაში გამართულ ჩემპიონატზე პირველად წარმოადგინა M1911A1-ის ბაზაზე შექმნილი სპორტული პისტოლეტი National Match 45 ACP. 1933 წელს კი ფირმამ ამ პისტოლეტის სერიული წარმოება აითვისა. იარაღი მთლიანად ხელით იწყობოდა. თავდაპირველად, მოდელს სტანდარტული, სტივენსის მიკრომეტრული სამიზნე ჰქონდა. 1935 წელს კი აითვისეს 38 Super ვაზნაზე გათვლილი მოდელი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს მისი წარმოება შეწყდა (აღადგინეს მხოლოდ 1957 წელს). იმის გამო, რომ პისტოლეტ Colt M1911 ერთგულად ემსახურა შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს 1912 წლიდან 1985 წლამდე, გამოიარა ორი მსოფლიო ომი, უამრავი ლოკალური ომი და სამხედრო კონფლიქტი, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამერიკელი სამხედროები, ეს იარაღი ამერიკული თვითდატენვადი პისტოლეტების სიმბოლო გახდა. დღესაც 45 კალიბრის Colt M1911A1 ორმოცდაათი ქვეყნის შეიარაღებული ძალების აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ 1985 წლიდან აშშ-ის არმიის სარდლობამ ოფიციალურად თქვა უარი 1911 1-ზე, მას დღესაც იყენებენ ჯარშიც და სამართალდამცველ ორგანოებშიც.

მეოცე საუკუნის მიწურულს შეერთებულ შტატებში კვლავ სახელმწიფო სამსახურში დააბრუნეს თითქმის ასი წლის პისტოლეტი კოლტი. ამ პისტოლეტის ინდექსია 1911 1 MEU-SOC (Marine Expeditionary Unit - Special Operations Capable), იგი შედის საზღვაო ქვეითთა შეზღუდულ აღჭურვილობაში. გარდა ამისა, იყენებენ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა საექსპედიციო კორპუსის საგანგებო რაზმები.

სხვა საშტატო პისტოლეტებისგან განსხვავებით Colt 1911 1 MEU-SOC-ის ყველა ნაწილის ურთიერთმორგება ხელით ხდება. გარდა ამისა, მათ დაემატა კომერციული ნიმუშების რიგი დეტალები. მაგალითად, ჩარჩოს ორივე მხარეს განთავსებული დამცველის დაგრძელებული ალმები; გადიდებული სამიზნე მოწყობილობა; პისტოლეტის ტარზე დაწებებული რეზინის ფირფიტები, რაც იარაღის ხელიდან დასხლეტას ეწინააღმდეგება. სტანდარტულის ნაცვლად გამოიყენება უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული კომერციული მოდელების მჭიდები.

შეერთებული შტატების ფედერალური გამოძიების ბიურომ 1998 წელს თავის აღჭურვილობაში დაუშვა კოლტის პისტოლეტის გადაკეთებული მოდელი, რომელსაც ფირმა Springfield Armory ამზადებს.

დღეისათვის წარმოებაშია გაუმჯობესებული მოდელი Colt M4, რომელიც M1911A1-ისგან იმით განსხვავდება, რომ გამძლეობისთვის ლულაში ჩასაგენი მოწყობილობა და უფრო თანამედროვე ზედაპირი აქვს. იწარმოება აგრეთვე ე.წ. ძველი „ახალი“ პისტოლეტები, რომლებიც სამი ტიპის ვაზნების 45 ACP, 38 Super Auto-სა და 9X19 „პარაბელუმის“ სროლაზეა გათვლილი.



# „ატომური მატარებელი“




ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ რუსეთის რკინიგზაზე დადიოდნენ მკაცრად გასაიდუმლოებული შემადგენლობები, რომლებიც არ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი სარკინიგზო ვაგონებისგან. თუმც დისპეტჩერები ისე ადგენდნენ მათი მოძრაობის გრაფიკს, რომ ხალხმრავალი სადგურები მათ ღამით ან გამთენიისას გაევლოთ, – ეს მატარებლები, ანუ საბრძოლო-სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსები (БЖРК), არ უნდა მოხვედროდა თვალში რიგით მოქალაქეებს.

1942 წლის 18 მარტს გერმანიაში, წინა პომერანიაში მდებარე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრ პენემიუნდეს მახლობლად, ჩატარდა ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი მსოფლიოში პირველი ერთსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა FAU-2-ის (A-4) პირველი საცდელი გაშვება. მართალია, ფაქტობრივად, გაშვება მარცხით დასრულდა, რადგან რაკეტა მიწაზევე აფეთქდა, მაგრამ ამ არც ისე დიდმა მოვლენამ საფუძველი დაუდო რაკეტულ ხანას.

წარუმატებლობის მიუხედავად, ფონ ბრაუნმა მოახერხა რაკეტის სრულყოფა და 1943 წლის 26 მაისს, ჰიტლერის ბრძანებით, რაკეტა სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. თუმც ტექნიკური პრობლემების გამო FAU-2-ის პირველი საბრძოლო გაფრენა მხოლოდ 1944 წლის 8 სექტემბერს შედგა. ამის შემდეგ გერმანელები გამუდმებით ბომბავდნენ ლონდონსა და ანტვერპენის პორტებს. FAU-2-მა მაინც ვერ მოახერხა დასამარცხებლად განწირული გერმანიის გადარჩენა – 1945 წლის 8 მარტს ფელდმარშალმა კეიტელმა ხელი მოაწერა გერმანიის კაპიტულაციას. ვერნერ ფონ ბრაუნი პენემიუნდეს რამდენიმე სპეციალისტთან ერთად ამერიკელებს ჩაჰბარდა, ხოლო ჰარცი, ადგილი, სადაც აწარმოებდნენ FAU-2-ებს,საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს.

ორივე მოკავშირემ ჯერ კიდევ 1942 წელს სათანადოდ შეაფასა ვერნერის გამოყენების შესაძლებლობები, ამიტომაც აშშ-ც და საბჭოთა კავშირიც ცდილობდა გერმანიიდან რაც შეიძლება მეტი მასალა და სპეციალისტი „გამოეზიდა“.

მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მაგრამ ერთ დროს ბარიკადების ერთ მხარეს მყოფი ორი ქვეყანა პოტენციურ მოწინააღმდეგეებად გადაიქცნენ – დაიწყო ცივი ომი. ორივე ქვეყანა ცდილობდა გერმანული FAU-2-ის გაუმჯობესებას ისე, რომ მას შესძლებოდა მოწინააღმდეგის ტერიტორიამდე მიღწევა. FAU-2-ს ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი – მისი სასტარტო პოზიციების განადგურება იოლი იყო, ამიტომ სამხედროებმა რაკეტების კონსტრუქტორებს ისეთი რაკეტების შექმნა დაავალეს, რომლებიც სტარტს მიწისქვეშა მაღაროებიდან აიღებდნენ, რადგან შახტებში შენახული ბალისტიკური რაკეტების განადგურება ბევრად უფრო ძნელი იყო.

გავიდა წლები და მოწინააღმდეგე მხარეების შეიარაღებაში გამოჩნდა ზუსტი დამიზნების ბირთვული იარაღი, რომლის მოხვედრისას რაკეტას ვეღარც შახტის კედლები იცავდა. დღის წესრიგში დადგა ბალისტიკური რაკეტის მოძრავი გამშვები დანადგარის შექმნა, რათა მოწინააღმდეგის დაზვერვას არ ჰქონოდა ზუსტი ინფორმაცია რაკეტის სასტარტო პოზიციაზე.

საჭირო იყო ისეთი ბალისტიკური რაკეტების მიწისზედა გასაშვები კომპლექსების შექმნა, რომლებიც მუდმივად შეძლებდნენ სასტარტო პოზიციების ცვლილებას, ეს კი მოწინააღმდეგეს საგრძნობლად გაურთულებდა მათ აღმოჩენას.

აშშ-ც და საბჭოთა კავშირიც ინტენსიურად მუშაობდნენ ასეთი მობილური კომპლექსების შექმნაზე, მაგრამ ამერიკელებს დღემდე არ აქვთ მობილური ბალისტიკური სარაკეტო კომპლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა არა ერთი ათეული მილიონი დოლარი დახარჯეს. მოსკოვმა ბევრად გაუსწრო ვაშინგტონს და შექმნა მსოფლიოში ერთადერთი მობილური სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი 15П961, რომელიც შეიარაღებული იყო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით РТ-23УТТХ (15Ж61) МОЛОДЕЦ, რომელსაც დასავლეთში ეწოდა SS-24 Scalpel“.

თავდაპირველად, როდესაც 70-იანი წლების შუახანებში დაიწყო მუშაობა საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსის შექმნაზე, ის უნდა აღჭურვილიყო რაკეტა РТ-23-ით მონობლოკური საბრძოლო ქობინით, მაგრამ რაკეტას ჩაუტარეს მოდერნიზაცია და მონობლოკური ქობინის ნაცვლად შეაიარაღეს 10 განშორებადი ქობინით.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 9 აგვისტოს დადგენილების თანახმად, რაკეტა РТ-23УТТХ-ით აღჭურვილი სარაკეტო კომპლექსი უნდა შექმნილიყო სამ ვარიანტად: სარკინიგზო, მოძრავი-საგზაო და საშახტო. მთავარ მწარმოებლად არჩეული იყო საკონსტრუქტორო ბიურო Южное.

როდესაც საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსის მთავარ კონსტრუქტორ ვლადიმერ უტკინს ჰკითხეს, რა არის ამ კომპლექსის უპირატესობა, მან უპასუხა, – შეუმჩნევადობა. და ის სავსებით მართალი იყო. სარკინიგზო კომპლექსების აღმოსაჩენად 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკელებმა შექმნეს სამხედრო თანამგზავრების მთელი დაჯგუფება, მაგრამ კოსმოსიდანაც კი ასეთი მატარებლების კვალის მიგნება არც



ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის ძლიერ განვითარებული სარკინიგზო ქსელის წყალობით მათი აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ერთი მხრივ, მარტივი იდეა – შახტის ამოღება მიწიდან და მისი დადება ლიანდაგებზე – საჭიროებდა ძალზე ბევრი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ ყველაზე რთული იყო რაკეტის გასროლის ოპერაცია. როდესაც ისვრიან შახტიდან, წინასწარ არის ცნობილი სროლის აზიმუტი და გასროლის წერტილის ადგილმდებარეობა. ამიტომაც სარკინიგზო კომპლექსის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა. გარდა ამისა, საჭირო იყო ლიანდაგებზე მოქმედი დატვირთვის ცოდნა, რადგან გრუნტი ყველგან არ არის ერთნაირი. სწორედ ამიტომაც კონსტრუქტორებმა გამოიგონეს რაკეტის სპეციალური „ნაღმსატყორცნი“ სტარტი. მარტივად რომ ვთქვათ, გამშვები შახტიდან რაკეტის ამოგდება დენთის მუხტის მეშვეობით ხდებოდა და მხოლოდ მერე ირთვებოდა რაკეტის ძრავა.

იმ შემთხვევისათვის, თუ გაშვებისას მატარებლის თავზე იქნებოდა მაღალი ძაბვის საკონტაქტო სადენები, კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს სადენების გვერდზე გადაწევის სპეციალური სისტემა. გარდა ამისა, ქვესადგურიდან ავტომატურად ითიშებოდა ელექტროენერგია.

საკმაოდ პრობლემატური იყო ლიანდაგზე დატვირთვის შემცირება. საბჭოთა სარკინიგზო ლიანდაგებზე ღერძული დატვირთვა არ უნდა ყოფილიყო 25ტ-ზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიანდაგი ტყდებოდა. სარაკეტო კომპლექსის შემთხვევაში კი მარტო რაკეტა იწონიდა თითქმის 105ტ-ს. ამას კიდევ ემატებოდა კონტეინერის წონა – 25ტ, რაკეტის სასტარტო მდგომარეობაში მომყვანი მოწყობილობის წონა – 25ტ და თავად მოდიფიცირებული ვაგონ-რეფრიჟერატორის წონაც – 38ტ. ასე რომ, ერთი საბრძოლო ვაგონის წონა თითქმის 200ტ-ს აღწევდა. საქმეს არც ვაგონების დამატებით ორი ურიკით (თითო ურიკა ორღერძიანია) აღჭურვამ უშველა (საბრძოლო ვაგონი რვაღერძიანია) და გამოსავლის საპოვნელად კონსტრუქტორებმა მიმართეს საკმაოდ ორიგინალურ ხერხს – მათ შექმნეს ე.წ. განმტვირთავი მოწყობილობები, რომლებიც დატვირთვის ნაწილს გადასცემდნენ მეზობელ ვაგონებს, რომლებიც საბრძოლო ვაგონების მსგავსად რვაღერძიანია. ანუ, ფაქტობრივად, ერთი რაკეტა სამ ვაგონს მიჰქონდა. ასე რომ, შემადგენლობაში საბრძოლო ვაგონები ერთის გამოტოვებითაა ჩაბმული.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მატარებელში იმყოფება ხალხი. მათ სჭირდებათ საძინებლები, სასადილო, დასასვენებელი ოთახები და ა.შ. აგრეთვე საჭიროა საწვავის, სასმელი წყლისა და საჭმლის მარაგიც. როგორც ხედავთ, ზემოთ ხსენებული მარტივი იდეა არც ისე იოლად ხორცშესასხმელი ყოფილა. სწორედ ამიტომ იყო, რომ კომპლექსის შექმნაზე მუშაობდა 30 სამინისტრო და დაწესებულება და დაახლოებით 130-ზე მეტი საწარმო.

1982 წელს შეიქმნა რაკეტა РТ-23УТТХ-ისა და საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსის ესკიზური პროექტები. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე თავი იჩინა ერთმა პრობლემამ – რაკეტა სტანდარტულ ვაგონ-რეფრიჟერატორზე გრძელი გამოვიდა. რადგან რაკეტის სიგრძის შემცირება შეუძლებელი იყო, კონსტუქტორებმა გამოიყენეს ერთადერთი საშუალება – ვაგონი 23,5მ-მდე დააგრძელეს. დაგრძელებული ვაგონების სიგრძე რომ არ გამხდარიყო კომპლექსის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად, მთავრობის ბრძანებით, მოგვიანებით, გაკეთდა უკვე ჩვეულებრივი, დაგრძელებული ვაგონ-რეფრიჟერატორების რამდენიმე ათეული.

1985 წლის 27 თებერვალს დაიწყო რაკეტის საფრენოსნო გამოცდები, რომლებიც ორ წელიწადს გაგრძელდა. შესრულდა სულ 32 საცდელი გაშვება.

## რაკეტა РТ-23УТТХ-ის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

სროლის მანძილი – 10100კმ
საბრძოლო ნაწილი: ქობინის სიმძლავრე – 10x0,43მტ
საბრძოლო ნაწილის მასა – 4050კგ
რაკეტის სიგრძე: სრული – 23მ
საბრძოლო ნაწილის გარეშე – 19მ
რაკეტის კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი – 2,4მ
რაკეტის სასტარტო მასა – 104,80ტ
საფრენოსნო საიმედოობა – 0,98
პირველი საფეხური: სიგრძე – 9,7მ
დიამეტრი – 2,4მ
წონა – 53,7ტ
მეორე საფეხური: სიგრძე – 4,8მ
დიამეტრი – 2,4მ
მესამე საფეხური: სიგრძე – 3,6მ
დიამეტრი – 2,4მ
გამშვები დანადგარი: სიგრძე - 23,6მ
სიგანე – 3,2მ
სიმაღლე – 5მ



ეროვნული ბიბლიოთეკა

სარესურსო და სატრანსპორტო გამოცდების ფარგლებში კი მატარებელმა შეასრულა 18 გასვლა, რომლის დროსაც გაიარა 400000კმ-ზე მეტი. კომპლექსის მუშაობის სტაბილურობის შესაფასებლად გამოცდები მიმდინარეობდა სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. თავად კომპლექსის მშენებლობა კი განსაკუთრებით გასაიდუმლოებულ ვითარებაში უკრაინის ქალაქ პავლოგრადში მიმდინარეობდა.

პირველმა მატარებელმა ქარხანა 1987 წელს დატოვა, ხოლო ბოლო – მეთორმეტემ – 1991-ში. 1987 წლის 20 ოქტომბერს პირველი საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი დადგა საბრძოლო მორიგეობაზე, ორი წლის შემდეგ კი 1989 წლის 28 ნოემბერს კომპლექსი მიიღეს საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ჯარების შეიარაღებაში.

საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსის შემადგენლობაში შედის:

– რაკეტა РТ-23УТТХ-ის სამი გამშვები მოდული (სამი ვაგონი);

– სამეთაურო მოდული შვიდი ვაგონის ოდენობით;

– ვაგონი-ცისტერნა საწვავ-საპოხი მასალების მარაგით;

– სამი თბომავალი ДМ-62, რომლებიც შემადგენლობის სხვადასხვა ადგილას არიან ჩაბმულნი. თითოეული თბომავლის სიმძლავრე შეადგენს 2000 ცხ.ძ-ს.

საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი რეფრიჟერატორებისა და სამგზავრო ვაგონებისაგან შემდგარ შემადგენლობას ჰგავს. ერთადერთი ვიზუალური განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ვაგონ-რეფრიჟერატორები რვაღერძიანია (სამგზავროები – ოთხიანი), მაგრამ ყველას არ შეეძლო ამ განსხვავების დანახვა. მეტიც, დასავლეთის დაზვერვის დასაბნევად რეფრიჟერატორებზე აკეთებდნენ ცრუწარწერებსაც: при маневрах не толкать, грузоподъемность 135 тонн, для перевозки легких грузов. ამ წარწერების წაკითხვა კი ყველა ვაგონ-რეფრიჟერატორსა და სატვირთო ვაგონზე შეიძლებოდა.

რაც შეეხება თავად რაკეტას: მას აქვს სამი საფეხური, პლუს საბრძოლო ქობინების დაყოფის საფეხური. პირველი სამი საფეხურის კორპუსი კომპოზიციური მასალისგანაა შესრულებული. რაკეტის პირველი საფეხური აღჭურვილია მყარსაწვავიანი ძრავით 15206, რომელიც მუშაობს ნარევ საწვავზე Т9-БК-8Э. მეორე და მესამე საფეხურებსაც აქვს მყარ საწვავზე მომუშავე ძრავები. რაკეტის პირველი საფეხური იმართება გაცხ-



ელებული აირების დაბერვით ძალური დანადგარის საქშენის ზეკრიტიკულ ნაწილში, მეორე – რაკეტის წინა ნაწილის გადახრით და ნაწილობრივ ცხვირის გარსშემომდენზე დაყენებული აეროდინამიკული საჭეებით.

რაკეტის საბრძოლო ნაწილში განლაგებულია 0,43МТ-ის სიმძლავრის ათი საბრძოლო ქობინი, რომლებიც აღჭურვილია მოწინააღმდეგის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გარღვევის კომპლექსით.

რაკეტის დამიზნება ხდება სახმელეთო ჰიროკომპასისა და აზიმუტის გადაცემის ელექტრონულოპტიკურ ხელსაწყოთა საშუალებით.

თავად რაკეტის გამშვები დანადგარი შექმნილია სტანდარტული ოთხღერძიანი, 135ტ-იანი ტვირთამწეობის ვაგონ-რეფრიჟერატორის ბაზაზე. სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერის ვერტიკალურ მდგომარეობაში მოყვანა შესაძლებელია პნევმატური ამძრავის მეშვეობით. გამშვები დანადგარის ვაგონი აღჭურვილია ჰიდრავლიკურად მართვადი გასახსნელი სახურავით.

საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსის შემადგენლობაში სამი გამშვები დანადგარიდან თითოეულს გაშვება შეუძლია როგორც კომპლექსის შემადგენლობაში, ისე ავტონომიურად. საამისოდ ყოველი რაკეტული მოდულის შემადგენლობაში არის დამოუკიდებელი ვაგონი-მართვის პუნქტი, რომელიც რეფრიჟერატორს ჰგავს.

რაკეტის შენახვის ვადა 15 წელია.

საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსები დისლოცირდებოდნენ კრასნოიარსკთან, პერმსა და კოსტრომასთან.

1991 წელს რაკეტულ მატარებლებს აეკრძალა საბრძოლო პატრულირება და გასვლა ბაზის ტერიტორიიდან. მაშინ საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ამერიკელებს ანგარიში გაუწია და მივიდა დასკვნამდე, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად არ ღირდა რაკეტული მატარებლების გაშვება ბაზის გარეთ. არადა მაშინ საბჭოთა ხელისუფლება პირიქით რომ მოქცეულიყო, პენტაგონს რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიაზე მოძრავ ათასობით შემადგენლობას შორის თუნდაც ერთი რაკეტული მატარებლის აღმოსაჩენად, რომელსაც 24 საათის განმავლობაში 1000კმ-ის გავლა შეეძლო, ათობით უნდა გაეზარდა თავისი ჯაშუში თანამგზავრების დაჯგუფება, ეს კი ამერიკელებს არაერთი მილიონი დოლარი დაუჯდებოდა. ასეთი ძვირად ღირებული პროექტის განხორციელებას კი ვერც აშშ-ის ეკონომიკა აიტანდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლიდან საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი, ფაქტობრივად, უმოძრაოდ იდგა და ერთადერთი სასწავლო გასროლა მხოლოდ 1998 წელს პლესეცკის პოლიგონზე შედგა, ის იყო მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში და მისი პირადი შემადგენლობა აქტიურ სწავლებებს გადიოდა. სწავლების შემადგენლობაში შედიოდა პირადი შემადგენლობის მიერ სარკინიგზო კომპლექსზე თავდასხმის მოგერიებაც.

1995 წელს საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის „სტრატეგიული ჯარების შემცირება 2"-ის პროგრამის ფარგლებში მოხვდა. 2000 წელს კი დაიწყო პირველი საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსის უტილიზაცია. მანამდე კი პრაქტიკულად თორმეტივე შემადგენლობამ რესურსის მიხედვით დადგენილი 15 წელი იმსახურა.

2005 წელს კოსტრომაში საბრძოლო მორიგეობიდან მოიხსნა უკანასკნელი საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი და გაიგზავნა ბრიანსკის სარემონტო ქარხანაში უტილიზაციისათვის. უტილიზაცია ჩაუტარდა არა მთლიანად საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსს, არამედ მხოლოდ რაკეტების მობილურ გამშვებ დანადგარებს. დაჭრას გადაურჩა მხოლოდ ერთი საბრძოლო ვაგონი. ის კიდევ ორ დამხმარე ვაგონსა (რა თქმა უნდა, არასაბრძოლო მდგომარეობაში) და ერთ ლოკომოტივთან ერთად გადაიყვანეს პეტერბურგში, ვარშავის სარკინიგზო სადგურში გახსნილ რკინიგზის მუზეუმში.

აი ასე დასრულდა ამ უნიკალური კომპლექსის ისტორია.

**თემურ პულუზაშვილი**

# ზედმეტი სიჩქარის პრობლემა






ხმის დამატებითი წყარო, რომელიც გასროლის ხმას ემატება, ის დამრტყმელი ტალღაა, რომელიც ზებგერითი (330 მ/წმ) მოძრაობის შედეგად წარმოიშვება ისეთი პისტოლეტებისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების სროლისას, რომელთა ტყვიის სიჩქარე ბევრად არ აღემატება ბგერისას. ამ პრობლემას შემდეგნაირად აგვარებენ: სტანდარტულ ვაზნაში არაფერს ცვლიან, მხოლოდ დენთის გაზის განსაზღვრულ ნაწილს სხვა არხში გადასვლას აიძულებენ. ამასთან, ლულის კუთხვილის ფსკერზე (ტყვიის სვლა რომ არ შეფერხდეს) ნასვრეტებს ბურღავენ, რომელთა მეშვეობითაც გაზის ნაწილი ლულის გარსში მოთავსებულ კამერაში გადადის. ამგვარ მაყუჩს ინტეგრირებულს უწოდებენ. ჩვეულებრივ მას სეპარატორთან ერთად საერთო გარსაცმში, ლულის ტუჩზე ათავსებენ, მაგალითად, როგორც ბრიტანულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ L34A1- „სტრელინგ"-ს და გერმანულ MP5SD-ს.

აღსანიშნავია, რომ კონსტრუქტორები თანამედროვე მოდიფიკაციის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს ამა თუ იმ მოდიფიკაციის ხმის ჩამხშობის გარეშე აღარ მოიაზრებენ. მართალია, ამ შემთხვევაში იარაღის კონსტრუქცია რთულდება, სამაგიეროდ, იზრდება ჩახშობის ეფექტიანობა. ავტომატის ან შაშხანის ტყვიის სიჩქარის შესანელებლად საჭიროა ვაზნაში დენთის რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება, ეს კი დაუშვებელია, რადგან დენთი ვაზნაში მოძრაობისას ჯანჯღარს დაიწყებს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ტყვიის მასასა და დენთის გაზებს შორის ახალი, სასურველი თანაფარდობის გამოთვლაა საჭირო. ასეთი სპეციალური, დამძიმებული ტიპის ვაზნები (УС – შემცირებული სიჩქარის) ავტომატებისა და შაშხანების უხმო მოდელებში გამოიყენება. მაგალითად, АКМ-ის „გასაჩუმებლად" საჭიროა: იარაღის ლულის ტუჩს მივახრახნოთ ПБС-1 (უხმო სროლის მოწყობლობა), მჭიდი გავტენოთ 7,62-მილიმეტრიანი შემცირებული სიჩქარის ვაზნებით და შევუცვალოთ სამიზნე მოწყობილობა, რადგან დამძიმებული, სისწრაფემოკლებული ტყვიის ბალისტიკა ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი ტყვიის ბალისტიკისაგან. სწორედ მსგავს დამძიმებულ ტყვიებს (5,45 მმ) ისვრის დამოკლებული მოდიფიკაციის АКС-74У, რომელსაც ПБС-3-ს ან ПБС-4 უხმო სროლის მოწყობილობებს უყენებენ, მაგრამ საშტატო ავტომატური იარაღის ასე „გადაკეთება" და აღჭურვა გამართლებული არ არის, რადგან სპეცრაზმელთა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. საქმე ისაა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, განსაკუთრებით ავტომატურის, გამოყენებისას ხმას არა მხოლოდ გასროლა, არამედ მექანიზმებიც გამოსცემენ. ლითონის ნაწილების ერთმანეთზე დაჯახების ხმა სიჩუმეში 300 მეტრის რადიუსში ისმის.

თუ ორი თანამებრძოლიდან ერთი განგმირული დაეცა მიწაზე, ამ დროს კი შამბნარიდან ლითონის ლითონზე დაჯახების ხმა გაისმა, გადარჩენილი ჯარისკაცი მყისვე მიხვდება, საიდან ესროლეს მის თანამებრძოლს.

იგივე АКМ-ი მუშაობისას ლითონის საკმაოდ ძლიერ ხმას გამოსცემს. ამის გამო თვითდატენვადი იარაღის ზოგიერთ უხმო ნიმუშს ავტომატიკის ბლოკირებას უკეთებენ. მაგალითად, ჩინურ პისტოლეტებს ტიპ-64-ს და ტიპ-67-ს. ავტომატიკის ბლოკირება საუკეთესო გამოსავალი, რა თქმა უნდა, არ არის. მეტალით გამოწვეული ხმაურის შემცირება სპეციალურ იარაღში სასურველია ავტომატიკის მუშაობის ხარჯზე მოხდეს. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტა სცადეს 1987 წელს საბჭოთა კავშირში, – შეიქმნა უნიფიცირებული შაშხანა ВСС (ვინტორეზი), რომელიც საგანგებო, სნაიპერულ 9-მილიმეტრიან ტყვიას (СП-5) ისვრის. აგრეთვე, ძლიერი გამტანობის ტყვიით (СП-6) აღჭურვილი ავტომატი АС („ვალ").

ავტომატის ვაზნის კალიბრის გაზრდამ კონსტრუქტორებს სიჩქარის შემცირების კომპენსირების საშუალება მისცა: მძიმე, 9-მილიმეტრიანი ტყვიები ბგერამდელი სიჩქარისას საკმაო იმპულსს ინარჩუნებენ, კარგად „უჭირავთ" ტრაექტორია და ჯავშანჟილეტიანი სამიზნის დაზიანებაც შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, ბგერამდელი სიჩქარე მაინც ზღუდავს უხმო იარაღის უმრავლესობას, – მათი მიზანმიმართული სროლის სიშორე 400-420 მეტრს არ აღემატება. ასეთ შაშხანებსა და პისტოლეტ-ტყვიამფქვევებს ინტეგრირებული მაყუჩი აქვს. ამ მოწყობილობის უკანა ნაწილი ლულაზე შემოხვეული კამერაა, მეორე ნაწილი კი შედარებით მოკლე ლულის ტუჩზე მიხრახნილ სეპარატორს წარმოადგენს. მათი ავტომატიკის რბილი უხმო მუშაობა მიზანში ზუსტ სროლასაც უზრუნველყოფს. ორივე იარაღი ადვილად იშლება (ტრანსპორტირებისათვის) სამ მოზრდილ ნაწილად.

9-მილიმეტრიან ტყვიას აქვს შედარებით რბილი უკუცემა, საიმედო ტრაექტორია, ნაკლებმიდრეკილი ასხლეტისადმი (რიკოშეტი), აქვს ძლიერი გამტანობის უნარი. ეს ტყვია კარგად მიესადაგა რიგ ჩვეულებრივ (ხმიან) მცირეგაბარიტიან ავტომატებსაც. მაგალითად, 9А91-ს, რომლის ბაზაზეც შეიქმნა მოსახსნელმაყუჩიანი სნაიპერის უხმო შაშხანა ВСК-94.

უხმო იარაღს კარგად მიესადაგა წრიულმაალებლიანი, 5,6-მილიმეტრიანი მცირე სიმძლავრის ვაზნა. ეს უკანასკნელი კარგადაა ცნობილი სპორტული იარაღის მოყვარულთათვის. ამ ტყვიას შედარებით დაბალი სიჩქარე და დენთის დაბალი წნევა აქვს. სწორედ ამგვარი ტყვიის სროლაზეა გათვლილი რიგი ისეთი მოდელებისა, როგორიცაა ინტეგრირებულმაყუჩიანი მებრძოლი მყვინთავებისთვის განკუთვნილი ამერიკული პისტოლეტი „ემფიბიენ" (ეს იარაღი, რა თქმა უნდა, ხმელეთზე გამოიყენება) და მოსახსნელმაყუჩიანი რუსული სნაიპერის შაშხანა СВ-99. ეს იარაღი საბატალიონო შაშხანის საფუძველზეა შექმნილი. მას ანტიტერორისტული ქვედანაყოფები საგანგებო ოპერაციებისას, უზუსტესი სროლებისთვის იყენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ავიაციის წარსული სათანადო შეფასების ღირსია

**ქართველ ისტორიკოსებში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ 1918-21 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ავიაციის განსავითარებლად მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა და ამის გამო ქართველმა მფრინავებმა ბოლშევიკ აგრესორებს სათანადო პასუხი ვერ გასცეს.**



იტალიური მზვერავი თვითმფრინავი SVA-10

ახლახან გამოვიდა ისტორიკოს არჩილ ჩაჩხიანის ძალზე საინტერესო წიგნი „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს ომი“, სადაც ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ისევ მეორდება.

ავტორის აზრით: „საქართველოს მთავრობა ავიაციასთან დამოკიდებულებაში ჯეროვან ყურადღებას არ იჩენდა, რაც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ბრძოლისუნარიანობის გაზრდას შეუწყობდა ხელს. ამ საკითხისადმი უყურადღებობა, არაპროფესიული, უფრო მეტიც, არასახელმწიფოებრივი მიდგომა გახდა სწორედ მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიის ერთადერთმა რესპუბლიკამ, რომელიც საკმაოდ მძლავრ საავიაციო პარკს ფლობდა, არსებობის მთელი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, თვით 1921 წლის ბოლშევიკური აგრესიის დროსაც კი, ჯეროვნად ვერ გამოიყენა ეს დიდი უპირატესობა“.

დღევანდელი გადმოსახედიდან, იმ პერიოდის ავიაციის ობიექტურად შესაფასებლად და რეალური სურათის შესაქმნელად აუცილებელია იმ გარემოებათა გათვალისწინება, რომელიც ავიაციის განვითარების საწყის ეტაპზე არსებობდა.

თვითმფრინავმა, როგორც საბრძოლო საშუალებამ აღიარება პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას მოიპოვა. დაბალი კონსტრუქციული სიმტკიცე, სუსტი ძრავები და შეზღუდული ტვირთამწეობა საფრენ აპარატებს მეტწილად მეკავშირეებად და მზვერავებად გამოყენების საშუალებას აძლევდა.

პირველი ბომბარდირება გერმანულმა თვითმფრინავებმა 1914 წლის 9 აგვისტოს განახორციელეს და სამიზნედ პარიზი შეარჩიეს. ხუთი პატარა ბომბის ჩამოგდებას 3 ადამიანის დაღუპვა და რამდენიმეს დაჭრა მოჰყვა.

დაბომბვა მთლიანად მფრინავი-დამკვირვებლის თვალის სიმახვილეზე იყო დამოკიდებული და სამიზნეებს საარტილერიო ჭურვებიდან გადაკეთებულ 4, 6, 10, 16, 32-კილოგრამიან ბომბებს ხელით ესროდა. დაბომბვა უფრო მორალურ შედეგს იძლეოდა და მოწინააღმდეგეს აშინებდა.

საავიაციო ბომბები და თვითმფრინავი-ბომბდამშენი 1915 წლის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა, მაგრამ ისიც შეზღუდული რაოდენობით.

ომის დაწყებიდან 2 თვის შემდეგ ფრანგმა მფრინავმა „ვუაზენ-3“-ით საჰაერო ბრძოლაში „ჰოჩკისის“ სისტემის ტყვიამფრქვევით გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდო. მანამდე კი დაპირისპირებულ მხარეთა თვითმფრინავები ჰაერში შეხვედრისას გვერდის აქცევას ამჯობინებდნენ, ან ხანდახან მფრინავები ერთმანეთს პისტოლეტებიდან ესროდნენ, ან ზოგჯერ მისალმებასაც არ იშურებდნენ.

ასეთ საავიაციო ტექნიკას საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობაზე შესამჩნევი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო და ამაზე ერთი საინტერესო ფაქტიც მეტყველებს: პირველ მსოფლიო ომში ავიაციამ მხოლოდ ორი წყალზედა პატარა წყალწყვის ხომალდის ჩაძირვა მოახერხა, როცა ტარანულ დარტყმებს სამი ხომალდი შეეწირა.

საბრძოლო მოქმედებებში ავიაციისათვის სათანადო ადგილის მონახვა კიდევ ერთი პრობლემა იყო, რომელიც სამხედროებისაგან სპეციფიკურ ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა. ასეთივე სიძნელეები აუცილებლად შეექმნებოდა რუსეთის არმიაში ხმალსა და შაშხანაზე გამოზრდილ ქართველ გენერლებსაც.

უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველოს მთავრობა, რომელიც ავიაციას უფრო სანახაობრივი წარმოდგენებით თუ იცნობდა. ამის მიუხედავად ქართული ავიაციის განვითარებისათვის შეძლებისდაგვარად ბევრი რამ გაკეთდა.

ყოფილი კავკასიის ფრონტიდან საქართველოს მემკვიდრეობით დარჩა მოძველებული ტიპის თვითმფრინავები: „ფარმან IV“, „ფარმან XVI“, „ფარმან XX“, „მორან-პარასოლ L“, „კოდრონ G-3“, „ვუაზენ LA“, რომლებიც სასწავლოდ ან მზვერავად თუ გამოდგებოდა.

აეროდრომებზე მიტოვებული საფრენი აპარატების ნაწილი დალეწილ-დაშლილი და ფრენისათვის გამოუსადეგარი იყო, ხოლო რემონტს სათადარიგო ნაწილების დეფიციტი ართულებდა. ტექნიკური პერსონალის 80% და მფრინავთა დაახლოებით 50% შინ ისხდნენ, სხვებიც ხელსაყრელ დროს ელოდნენ გასაქცევად.

მიუხედავად ამისა, მოხერხდა საავიაციო ტექნიკის ერთ ადგილზე თავმოყრა, შეკეთება, საავიაციო სკოლის გახსნა, მფრინავთა მომზადების დაწყება და სხვ.

არანაკლები საავიაციო ტრადიციები ჰქონდა აზერბაიჯანს, სადაც 1916 წლის შემოდგომაზე, ბაქოში, საზღვაო ავიაციის ოფიცერთა სკოლა გაიხსნა და რუსეთის აგრესიის წინ აზერბაიჯანის არმიას მხოლოდ 3 თვითმფრინავი შემორჩა.

1919 წლის ივნისში საქართველოს გენერალური შტაბი საფრანგეთში „კოდრონის“ ფირმისაგან 4 თვითმფრინავის ყიდვას გეგმავდა, მაგრამ იტალიის ჯარების მოსალოდნელი შემოსვლის გამო გადაწყვეტილება შეიცვალა და არჩევანი იტალიური

წარმოების საფრენ აპარატებზე გააკეთა. მიზეზი, პოლიტიკურთან ერთად, ალბათ, იტალიური თვითმფრინავების მაღალი ხარისხიც იქნებოდა. იტალიურ თვითმფრინავებს დიდი რეკლამა გაუკეთა 1920 წლის თებერვალ-მარტში „ანსალდოს“ ფირმის SVA-10 ტიპის ორი თვითმფრინავით რომიდან ტოკიოს მიმართულებით გადაფრენამ.

1920 წლის სექტემბერში გენერალი თაყაიშვილი სამხედრო მინისტრისთვის გაგზავნილ მოხსენებაში საჰაერო საქმეში სამხედრო ინჟინრების რიცხვის გაზრდას მოითხოვდა და გამოსავალს ევროპაში მფრინავების მომზადებაში ან პოლიტექნიკურ სამხედრო ტექნიკუმთან 2-3-წლიანი განყოფილების გახსნაში ხედავდა.

შემორჩენილია 1921 წლის 3 იანვრით დათარიღებული სამხედრო მინისტრის თანაშემწის, ჯარების მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძისა და გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ხელმოწერილი მოხსენება, სადაც ქართველი გენერლები საჭიროდ მიიჩნევენ „ბომბმზიდი აეროპლანების შეძენას 40 ფუთი ასაფეთქებელი ნივთიერების ტვირთამწეობით“.

ბომბდამშენების ყიდვა ვერ მოხერხდა, მაგრამ 1920 წლის შემოდგომაზე ქართულმა ავიაციამ იტალიიდან „ანსალდოს“ SVA-10 ტიპის ათი მზვერავი თვითმფრინავი მიიღო. ორადგილიან SVA-10-ს 75 კილოგრამამდე ბომბის ტარება შეეძლო, მაგრამ ბომბდამშენად გამოყენების დროს თვითმფრინავის სხვა მაჩვენებლები უარესდებოდა.

მხედველობაშია მისაღები იმ დროს საქართველოში არსებული სიდუხჭირე, რომელიც არმიაზეც და, შესაბამისად, ავიაციაზეც ახდენდა ზეგავლენას.

შექმნილ მდგომარეობაზე სრულ სურათს ქმნის 1921 წლის 6 იანვრით დათარიღებული საინჟინრო-ტექნიკური ჯარების უფროსის მოხსენება „მფრინავი ოფიცრების მძიმე მდგომარეობის შესახებ“, რომლითაც მან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიმართა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ავიაციაში ავარიები წლიდან წლამდე მატულობს. 1918-დან 1920 წლის სექტემბრისათვის ფრენის დროს 79 აპარატი დაიმსხვრა, საიდანაც 15 მათგანი მწყობრიდან გამოვიდა. შემთხვევათა გაანალიზებით გამოიკვეთა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ობიექტურ მიზეზებად დასახელებულია საფრენი აპარატების დაძველება. ქართველი მფრინავების განკარგულებაში მყოფი ფრანგული წარმოების „ვუაზენის“, „მორანის“ და „ფარმანის“ ტიპის აპარატები საფრანგეთში ჯერ კიდევ 1914 წლისათვის უვარგისად ითვლებოდა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ თითქმის ყველა საფრენი აპარატი რამდენიმე ადგილას „დაკერებულ-დაკოწიწებული იყო“. „სალმსონის“, „რონისა“ და „გნომის“ ტიპის ძრავებმა, გათვლილმა 240, 150 და 100-საათიან მუშაობაზე, ქართულ პირობებში ამ ნორმას ორჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა.

ასევე მიზეზებად მოყვანილია: ჰაეროპლანების ნაკლებმანევრულობა და აეროდრომის უსწორმასწორო ზედაპირი ორმოებით, რუებითა და სხვა დაბრკოლებებით, რის გამოც აპარატებს მიწაზე დაჯდომა ხშირად უძნელდებოდათ.

სუბიექტურ მიზეზებად დასახელებულია ჰაერში ძრავის გაჩერების გამო მფრინავების შიში.

ცხოვრების აუტანელი პირობები მფრინავების ორგანიზმს ასუსტებდა და იმდენად აუძლურებდა, რომ ხანგრძლივი ფრენის დროს თავბრუსხვევა ჩვეულ მოვლენად გადაიქცა.

მფრინავების რაციონში შედიოდა: დილით მოცვის ჩაი და შავი გამოუშუშებელი პური, სადილად ლობიო და ვახშმად კვლავ ლობიო ჩაით. ასეთი კვებით ორგანიზმისაგან ფიზიკური ან ინტელექტუალური ძალის სრულად გამოყენება შეუძლებელი იყო.

მფრინავებს საფრენოსნო საქმესთან ერთად ბევრი ისეთი ადმინისტრაციული დავალების შესრულება უხდებოდათ, რომელიც უშუალო მოვალეობისაგან შორს იდგა. მაგალითად, ერთი სახელოსნოებს განაგებდა, მეორე — ელექტროსადგურს, მესამე — გარაჟს, მეოთხე — ანგარს, მეხუთე — აეროდრომს, მეექვსე — საწყობს და ა.შ.

დამტვრეული აპარატების აღდგენა მფრინავების მონაწილეობით მიმდინარეობდა. შვებულებაზე კი მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო 25-30 კაცისათვის ხელფასის გაზრდა, მფრინავების ადმინისტრაციული მოვალეობებისგან გათავისუფლება, მფრინავებისა და მათი ოჯახების დაზღვევა, პენსიების გაუმჯობესება, აეროდრომის ზედაპირის გასწორება და ა.შ.

სიძნელეთა მიუხედავად, ქართველი მფრინავები საბრძოლო დავალებებზე დაფრინავდნენ და თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ. ზემოთ დასახელებულ წიგნში მოყვანილია შულავერის ალების ოპერაცია, რომლის დროსაც, 1918 წლის 24 დეკემბერს, ქართულმა თვითმფრინავებმა სომხური ქვედანაყოფების პოზიციები შულავერის მახლობლად პირველად დაბომბეს.

საქართველოს ავიაცია დაფრინავდა ბორჯომის, ახალციხისა და სოხუმის ფრონტებზე. 1920 წლის 5 მაისს წითელ ხიდთან აზერბაიჯანის მხრიდან წითელი არმიის ნაწილების მოგერიებისას ქართულმა თვითმფრინავებმა მტრის პოზიციებს ყუმბარები დააყარეს.

წითელი არმიის შემოჭრის წინ საქართველოს ავიაცია 56-მდე საფრენ აპარატს ითვლიდა, მაგრამ ბევრი მათგანის ტექნიკური მდგომარეობა გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა.

როგორც რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა ბოლო მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე თავის მოგონებებში ქართულ ავიაციაზე წერს, 1921 წლის 23 თებერვალს წითლების ჯავშანმატარებლები დილიდანვე გამოჩნდნენ ფოილო-თბილისის რკინიგზაზე და ნავთლუღს რამდენჯერმე მიუახლოვდნენ. მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიის ცეცხლის ქვეშ 4-მა ქართულმა თვითმფრინავმა ბოლშევიკების ჯავშანმატარებლებს დაახლოებით 30 რამდენიმეკილოგრამიანი ბომბი ესროლა. რკინიგზას მხოლოდ ერთი მოხვდა, რომელიც მტერს დიდ ზიანს არც მიაყენებდა.

უკვე ემიგრაციაში გენერალი გიორგი კვინიტაძე კატეგორიულ და ზუსტ დასკვნებს აკეთებს: „რაც შეეხება ავიაციას. მე კატეგორიულად უნდა უარვყო ის ბრალდებები, რომელსაც კონსტანტინოპოლში მათი მისამართით ვისმენ; ამბობენ, თითქოს ავიაციამ არ გააკეთა ის, რაც შეეძლო. ეს ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია. ავიაცია კეთილსინდისიერად და თავდადებულად აკეთებდა იმას, რასაც ავალებდნენ და იმ პირობებში სხვა ამის გაკეთებას უკეთესად ვერც შეძლებდა. მოტანილი სადაზვერვო ინფორმაცია ყოველთვის სწორი იყო; ბრძოლის დროს დაუღალავად მიფრინავდნენ და მოწინააღმდეგის ჯარებს ბომბავდნენ; ავიატორები ყოველთვის დავალებას ითხოვდნენ და ამის გაკეთება გაცვეთილ მდგომარეობაში მყოფი თვითმფრინავებით მეტისმეტად გაძნელებული იყო“.

*თემურ ჩაჩანიძე*

ფრანგული სასწავლო თვითმფრინავი „კოდრონ G-3“



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთის ფლოტის გერმანული ხომალდები

**თურქეთის სამხედრო ფლოტი და გემთსაშენი მრეწველობა ბოლო 30 წელია, ევროპული ქვეყნების, და განსაკუთრებით გერმანიის, ხელშეწყობით შესამჩნევად დაწინაურდა**

ამ თანამშრომლობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის მეორე ნახევარი, როცა ევროპული ქვეყნები რკინისკორპუსიანი ხომალდების აგებაზე გადავიდნენ, ხოლო თურქეთი ამისათვის მომზადებული არ აღმოჩნდა და დიდი წყალწყვის ახალ ხომალდებს ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის გემთსაშენებს უკვეთდა.

XIX საუკუნის ბოლოს გერმანიის გემთსაშენებმა პატარა წყალწყვის სატორპედო ხომალდების მშენებლობით გაითქვეს სახელი და 1886 წელს თურქეთმა ქალაქ კილში „ჯერმანიავერფტს“ ტორპედოებით აღჭურვილი 230 ტონა წყალწყვის ორი ნაღმოსანი შეუკვეთა.

სექციებად დაშლილი ხომალდები სტამბოლის ვერფზე აიწყო, მაგრამ მწყობრში შეყვანა მხოლოდ 1894 წლისათვის მოხერხდა. აწყობის დაბალი ხარისხის გამო ნაღმოსნებმა ღირებულება მალე დაკარგეს, თუმცა პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა ერთმა მაინც მოასწრო.

სუსტი შეიარაღების გამო მსოფლიო ომში თურქებმა გერმანული პროექტით სტამბოლის ვერფზე 1892-96 წლებში აგებული 643 ტონა წყალწყვის საკანონერო ნავების „ზუჰაფისა“ და „ქილიდ-ბაჰირის“ გამოყენებაც ვერ შეძლეს.

კიდევ ერთი საკანონერო ნავი „პელენგია დარია“ თურქეთმა გერმანიისაგან 1896 წელს მიიღო. 1913 წელს ცუდი ტექნიკური მდგომარეობის გამო კონსერვაცია გაუკეთდა, მაგრამ 1914 წელს ისევ მწყობრში ჩადგა.

„პელენგია დარიას“ სამსახური 1915 წლის 23 მაისს ბრიტანულმა სუბმარინამ E-11-მა სტამბოლის მახლობლად ტორპედირებით დაასრულა.

საკანონერო ნავები „იოზგატი“ და „კასტამონუ“ 1904-05 წლებში გერმანიის ქალაქ როსლაუში აშენდა. „კასტამონუ“ იტალიურმა ხომალდებმა 1912 წლის 7 დეკემბერს წითელ ზღვაში ჩაძირეს, ხოლო „იოზგატი“ 1915 წლის 10 დეკემბერს რუსული საესკადრო ნაღმოსნების სამიზნე გახდა.

1909 წელს თურქეთის სათავეში მოსულ მეჰმედ შევქეთ ფაშას ხაზინა დაცარიელებული, ხოლო ფლოტი კი განადგურების პირას დახვდა. შევქეთ ფაშამ ფლოტის ასაღორძინებლად ხალხს შემოწირულობის შეგროვებისაკენ მოუწოდა და



MEKO 200TN-ის პროექტის ფრეგატი F 247 „ქემალრეისი“

შემოსული ფულით თურქეთმა გერმანიაში ოთხი თანამედროვე საესკადრო ნაღმოსანი იყიდა.

1910 წლის 10 მარტს სტამბოლის მოსახლეობა დიდი ზეიმით შეხვდა „მუავენტ-ი-მილიეს“ (ხალხის დახმარება) და „გაირეთ-ი-ვატანიეს“ (მამულის გულმოდგინება). ოდნავ მოგვიანებით ფლოტს კიდევ ორი ხომალდი „იადიგარ-ი-მილეთი“ და „ნუმუნე-ჰარიეთი“ დაემატა.

ტურბინებით აღჭურვილი ხომალდები მაქსიმალურ, 32 კვანძს აჩვენებდნენ. შეიარაღებაში ორი 75 მმ-იანი და ამდენივე 57 მმ-იანი ქვემეხი, სამი 450 მმ-იანი სატორპედო აპარატი შედიოდა.

1910 წლის 12 სექტემბერს თურქეთმა 18 მილიონ კრონად გერმანიისაგან „ბრანდენბურგის“ ტიპის 2 საესკადრო ჯავშნოსანი „კაიზერ ფრიდრიხ ვილჰელმი“ და „ვაისენბურგი“ იყიდა.

ტრადიციისამებრ, ხომალდებს გამოჩენილი თურქი ადმირალების სახელები უწოდეს. პირველს „ჰაირედინ ბარბაროსა“, მეორეს კი „თურგუთ რეისი“ დაერქვა.

1894 წელს აგებულ ჯავშნოსნებს, კარგ საზღვაოსნო თვისებებთან ერთად, კარგი მანევრულობა ჰქონდა. მთავარი კალიბრის ექვსი 280 მმ-იანი ქვემეხი სამ კოშკურაში იყო განაწილებული. საშუალო კალიბრის არტილერია ექვს-ექვსი 105 მმ-იანი და 88 მმ-იანი ქვემეხით იყო დაკომპლექტებული. სუსტი მხარე დაჯავშნის სქემა და დაბალი სიჩქარე იყო.

მსოფლიო ომის წინ ჯავშნოსნები ტექნიკურად მოძველდა. 1915 წლის 8 აგვისტოს ბრიტანულმა წყალქვეშა ნავმა E-11-მა ტორპედოთი დარდანელის სრუტეში „ჰაირედინ ბარბაროსა“ააფეთქა. ხომალ-

დი 7 წუთში ჩაიძირა და ფსკერისაკენ 253 კაცი გაიყოლა.

მართალია „თურგუთ რეისი“ ომს გადაურჩა, მაგრამ მისი აქტიური სამსახური 1924 წელს დასრულდა, როცა ის სასწავლო ხომალდად გადააკეთეს. 1938 წლამდე ბოსფორის სრუტეში იდგა და შემდეგ ჯართად დაიჭრა.

თურქეთის ფლოტში შესამჩნევი კვალი დატოვა მომდევნო გერმანულმა ჯავშნოსანმა — სახაზო კრეისერმა „გებენმა“. 1914 წლის 11 აგვისტოს გერმანელმა ადმირალმა სუშონმა „გებენი“ მსუბუქი კრეისერ „ბრესლაუს“ თანხლებით კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა. 16 აგვისტოს ორივე ხომალდზე ფორმალურად თურქეთის დროშა აღიმართა და გაერთიანებულ გერმანულ-თურქულ ფლოტს სათავეში ადმირალი სუშონი ჩაუდგა. „გებენის“ სახელი „იავუზ სულთან სელიმით“, ხოლო „ბრესლაუსი“ კი „მიდილით“ შეიცვალა.

„გებენი-სელიმი“ ახალი ხომალდი იყო, რომელიც გერმანიის ფლოტს 1912 წლის 2 ივლისს გადაეცა. ხომალდს 100 მმ-დან 270 მმ-მდე ჯავშანი იცავდა, ხოლო სავალი ჯიხური 350 მმ-იანი კრუპის ჯავშანფილებში იჯდა. მთავარი კალიბრის არტილერია ათ 280 მმ-იან და საშუალო თორმეტ 150 მმ-იან ქვემეხს აერთიანებდა.

ხომალდი მაქსიმალურ, 28 კვანძს ახვენებდა და ეკონომიური 14 კვანძით 4120 მილზე დაცურავდა. ეკიპაჟის 1356 კაციდან 24 თურქი, ხოლო დანარჩენი კი გერმანელი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკიპაჟის კარგი მომზადება, რომელმაც თურქეთის კაპიტულაციამდე ხომალდის ყველა კამპანიაში მონაწილეობა უზრუნველყო.

1915 წლის პირველ ნახევრამდე „სელიმს“ სიჩქარით, ცურვის სიშორითა და არტილერიით შავ ზღვაში ვერც ერთი რუსული ჯავშნოსანი ვერ შეედრებოდა.

შავ ზღვაში ომი რუსულ პორტებზე თურქეთის ფლოტის თავდასხმით დაიწყო და მასში მთავარ ძალას გერმანული ხომალდები წარმოადგენდნენ. 1914 წლის 29 ოქტომბერს ოდესის პორტში შეღწევის მიზნით ზღვაში პირველი ნახევარფლოტილიის საესკადრო ნაღმოსნები: „გაირეთ-ი-ვატანიე“ და „მუავენტ-ი-მილიე“ გავიდნენ.

პირველი ნახევარფლოტილიის მეთაური, II რანგის კაპიტანი რუდოლფ ფირლე მოგონებებში წერს, რომ ავდარში დიდ გადასვლებს თურქი ცეცხლფარეშები მიუჩვეველნი იყვნენ. რადგან თურქ მეზღვაურებს მხოლოდ პურითა და ლობიოთი, იშვიათად კი ცხვრის ხორცით კვებავდნენ, მათ ძალიან უჭირდათ. ხშირად გერმანელი ცეცხლფარეშები და მატროსები მთელ დღეს მუშაობდნენ, ხოლო სიცივეს


„კილიჩის“ სერიის სარაკეტო კატარღა

მიუჩვეველი ნახევრად მშიერი თურქები საკვამლე მილთან თბებოდნენ.

თურქულ ხომალდებს ოდესის სანაპირო და პორტი განათებული დახვდათ. გაფრთხილების მიუხედავად, პორტის მისადგომების დაცვა შავი ზღვის ფლოტს ორგანიზებული არ ჰქონდა. პორტში ორი საკანონერო ნავი და ამდენივე ნაღმგადამღობი იდგა, ვახტის გარდა ეკიპაჟის სხვა წევრებს ეძინათ. შალითებით დაფარულ ქვემეხებს ლულებზე საცობები ჰქონდა, რაც მომსახურე პერსონალს ცეცხლის დაუყოვნებლივ გახსნის საშუალებას არ აძლევდა.

თურქულმა ნაღმოსნებმა პორტში შეუმჩნევლად შეაღწიეს და „გაირეტის“ ტორპედო 80 მეტრიდან საკანონერო ნავ „დონეცს“ შუაში მოხვდა. ხომალდი მარცხენა ბორტით გადაიხარა და მალე 30 მეზღვაურით ფსკერისკენ წავიდა.

„მუავენტმა“ პირველივე ჭურვი საკანონერო ნავ „ყუბანეცს“ მარჯვენა 153 მმ-იან ბარბეტში მოარტყა და მოსაბრუნებელი მექანიზმი გაუჭედა. იმ დროს, როცა „მუავენტის“ ეკიპაჟი ტორპედოს გასროლას აპირებდა, მოულოდნელად საპორტო კატარღა დაეჯახა და თანაც ისეთი ძალით, რომ ნაღმოსანზე ალიაქოთი და დაბნეულობა გამოიწვია. „ყუბანეცმა“ მომენტით ისარგებლა და თავის გადარჩენა შეძლო.

რეიდის დროს დაზიანდა კიდევ ერთი ნაღმგადამღობი — „ბეშტაუ“ და ოთხი სატვირთო-სამგზავრი გემი, ხოლო ქვანახშირით დატვირთული ბარჟა კი ჩაიძირა. შემთხვევით გადარჩა ფუგასებითა და პიროქსილენით დატვირთული რამდენიმე ბარჟა, თორემ შედეგი, ალბათ, ბევრად უარესი იქნებოდა.

„სელიმმა“ ომის დაწყების დღეს, 29 ოქტომბერს, სევასტოპოლს მძიმე და საშუალო არტილერიის 17 ჭურვი ესროლა, „მიდილი“ კი იმ დროს ქერჩის სრუტეში ნაღმებს აყენებდა, რომელზეც 2 რუსული გემი აფეთქდა და ჩაიძირა.

გერმანულ-თურქული ხომალდები საქართველოს სანაპიროსთან ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდნენ.

რუსეთის არმიის სარდლობა თვლიდა, რომ შესაძლო ომში ბათუმი არანაირ როლს არ ითამაშებდა და ომის დაწყებისათვის ბათუმის ციხესიმაგრე ნახევრად გაუქმებული აღმოჩნდა. ციხესიმაგრის მოძველებულ არტილერიას ღირებული მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა და 75-დან 152 მმ-მდე კალიბრის მოძველებული 18 ქვემეხი „სელიმს“ საფრთხეს არ უქმნიდა.

1914 წლის 7 ნოემბერს მოწინააღმდეგის ხომალდებს შორის რადიოტელეგრაფით მიმდინარე საუბრებით, რომელიც ბათუმის საზღვაო რაზმის რადიოსადგურებმა მოისმინეს, გაკეთდა დასკვნა, რომ ქალაქს რომელიღაც ხომალდი უახლოვდებოდა. 7 საათზე, ბათუმთან 10 მილში, „მიდილი“ გამოჩნდა. კრეისერმა სანაპიროს მიმართულებით სამჯერ ისროლა და ჰორიზონტს მიეფარა.

იმავე დღეს ფოთთან „მიდილი“ სანაპიროს 4,6-5,5 კილომეტრზე გამოჩნდა და ქალაქს ჭურვები დაუშინა. ადგილობრივი სამხედროების ინფორმაციით, კრეისერმა ვოგზალსა და მიმდებარე რაიონს 150-მდე ჭურვი ესროლა, შემდეგ სანაპიროსთან უფრო ახლოს მივიდა და პორტი ტყვიამფრქვევებით დაცხრილა.

სანაპიროდან საველე ბატარეისა და შაშხანების ცეცხლმა, ცხადია, „მიდილის“ ვერაფერი დააკლო, თუმცა დიდი ნგრევა არც ქალაქში აღნიშნულა.

ოპერაცია უფრო მორალურ ზემოქმედებაზე იყო გათვლილი და, ალბათ, ჭიათურის მარგანეცის გატანისათვის ხელის შეშლის სურვილიც იყო.

ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 7 დეკემბერს, ფოთს დილის 7 საათსა და 20

წუთზე კრეისერი „მიდილი“ ისევ მიადგა და ქალაქს 2-2,5 კილომეტრიდან 81 ჭურვი ესროლა. პორტში სატვირთო გემები არ იდგა და 40-წუთიანმა დაბომბვამ 2 ამწე დააზიანა, რამდენიმე საწყობი დაწვა, ხოლო შუქურასთან ძველი ფორტი დააზიანა. შაშხანებით საპასუხო ცეცხლი გაიხსნა. მოგვიანებით საველე არტილერიაც ჩაერთო, მაგრამ უშედეგოდ. რუსული მონაცემებით, პორტში დაჭრილ-დახოცილნი იყვნენ.

1914 წლის 10 დეკემბერს ბათუმთან „სელიმი“ კრეისერ „პეიკის“ თანხლებით დემონსტრაციის მიზნით გამოჩნდა. ცუდი ხილვადობის პირობებში „გებენი“ ქალაქს 14,8 კილომეტრზე მიუახლოვდა და მთავარი კალიბრის 280 მმ-იანი ჭურვებით 15-ჯერ ისროლა. გერმანელი არტილერისტები შერჩევით ისროდნენ და მაჰმადიანებით დასახლებული ქალაქის რაიონების დაბომბვას ერიდებოდნენ.

ხომალდები სანაპირო ბატარეებისათვის მიუწვდომელ მანძილზე და დანაღმული ველიდან დაშორებით იდგნენ, ამიტომ სანაპიროდან გახსნილი ცეცხლი კვლავინდებურად სუსტი და უშედეგო გამოდგა.

დაბომბვამ რამდენიმე კერძო სახლი დააზიანა და ერთ-ერთი გემის ბორტი გახვრიტა. დაიღუპა 1 და დაიჭრა 4 კაცი.

ამის შემდეგ „სელიმი“ და „მიდილი“ საქართველოს სანაპიროსთან აღარ გამოჩენილან. მართალია, 1918 წელს აპრილში თურქეთის მე-3 არმიის სარდლობას ბათუმის აღებაში „სელიმის“ გამოყენების სურვილი ჰქონდა, მაგრამ ადმირალმა სუშონმა ამის აუცილებლობა ვერ დაინახა და მოკავშირეს უარი უთხრა.

სახაზო კრეისერი „იავუზ სულთან სელიმი“ ომს კი გადაურჩა, მაგრამ აუცილებელ რემონტს საჭიროებდა. იზმირში 1926-30 წლებში ფრანგებმა ხომალდი გაარემონტეს და სრული სახელი „იავუზ სელიმამდე“ შემოკლდა. 1936 წლიდან კი მხოლოდ „იავუზი“ შერჩა.

1948 წლიდან „იავუზი“ სტაციონარის მოვალეობას ასრულებდა და სამხედრო ღირებულებას აღარ წარმოადგენდა. 1963 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ „იავუზ-გებენის“ მუზეუმად გადაკეთება განიზრახა და წინადადებით თურქეთს მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

ვეტერანი „იავუზი“ 1963 წელს დასაჭრელად ვერფებს გადაეცა. 1976 წლისათვის დაჭრა მთლიანად დასრულდა და ისტორიულმა ხომალდმა „სიცოცხლე“ მარტენის ღუმელებში დაასრულა.

სუშონის ესკადრის მეორე ხომალდის, კრეისერ „მიდილის“ ბიოგრაფია კი ხანმოკლე და ტრაგიკული გამოდგა. 1918 წლის 20 იანვარს „მიდილი“ სახაზო კრეისერ „სელიმთან“ ერთად ბრიტანული მონიტორების M-28-სა და „რეგლანის“ გასანადგურებელ ოპერაციაში მონაწილეობდა. ოპერაციის შემდეგ ხომალდი ზედიზედ ოთხ ნაღმზე აფეთქდა და 330 კაცთან ერთად ჩაიძირა.

პირველ მსოფლიო ომს შეეწირა გერმანული საესკადრო ნაღმოსანი „იადიგარ-ი-მილეთი“, რომელიც ბრიტანულმა ავიაციამ 1917 წლის 24 ოქტომბერს ბოსფორის სრუტეში ჩაძირა. მეორე ნაღმოსანი „გაირეთ-ი-ვატანიე“ 1916 წლის 28 ოქტომბერს ვარნის მახლობლად, ბალჩიკთან თავთხელზე გაირიყა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და ორი დღის შემდეგ ეკიპაჟმა ააფეთქა.

თურქეთის ქალაქ ჩანაქკალეში არის ნაღმგადამღობ „ნუსრეტის“ მემორიალი. 365 ტონა წყალწყვის ხომალდისათვის ასეთი პატივის მიგება შემთხვევითი არ არის. კილში აგებულმა და 1913 წლიდან თურქეთის დროშით მოცურავე ამ პატარა ხომალდმა მოკავშირეებს უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე თურქეთის ფლოტმა მთლიანად. დარდანელის სრუტეში „ნუსრეტის“ დაყენებულ ნაღმებზე 1915 წლის 18 მარტს 3 ჯავშნოსანი — ბრიტანული „ირეზისტებლი“ და „ოუშენი“ და ფრანგული „ბუვე“ ჩაიძირა.

გერმანია თურქეთს წყალქვეშა ძალების შექმნაშიც დაეხმარა. 1936 წელს ქვეყნები 4 წყალქვეშა ნავის მშენებლობაზე შეთანხმდნენ, საიდანაც ორი გერმანიაში და ორიც სტამბოლში გერმანელი სპეციალისტების ტექნიკური დახმარებით აიგებოდა.

გერმანიაში „სალდირეისა“ და „ბათირეის“ მშენებლობა 1937 წლის 19 თებერვალს დაიწყო, ხოლო სტამბოლში 1937 წლის 14 აგვისტოს საფუძველი „ატილაისა“ და 9 სექტემბერს „უილდირეის“ ჩაეყარა.

„სალდირეიზე“ 1939 წლის 5 ივნისს თურქეთის დროშა აღიმართა, ხოლო „ბათირეის“ გადმოცემა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეაჩერა და ხომალდი გერმანიის ფლოტში U-A ლიტერით შევიდა.

ომის დაწყებასთან ერთად გერმანელმა ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა სტამბოლის ვერფები დატოვეს და თურქებს სუბმარინების დასრულებამ საკუთარი ძალებით მოუწიათ.

პირველად, 1940 წელს, „ატილაი“ დასრულდა, მაგრამ გამოცდის დროს 1942 წლის 14 ივლისს დარდანელის სრუტეში ბრიტანულ ნაღმზე აფეთქდა და 38 მეზღვაურთან ერთად დაიღუპა. რაც შეეხება „უილდირეის“, მისი მწყობრში ჩადგომა ძალზე გაჭიანურდა და 1946 წლის 15 იანვარს დასრულდა.

გერმანია-თურქეთის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ახალი პერიოდი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისს უკავშირდება. 1982 წელს თურქეთი და გერმანული კომპანია „ბლომ უნდ ფოსი“ MEKO 200-ის პროექტით ახალი თაობის 4 ფრეგატის მშენებლობაზე შეთანხმდნენ.

პროექტ MEKO 200-ში გამოყენებულია მშენებლობის მოდულური პრინციპები, ნაკვეთურების გაზრდილი სიცოცხლისუნარიანობა და ნაკლებშემჩნევადობის ელემენტები. ფრეგატების დანიშნულებაა ბრძოლა მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდებთან, წყალქვეშა ნავებსა და საზღვაო დესანტთან, სანაპირო მიმართულებებზე სახმელეთო ჯარების მხარდაჭერა და დესანტირებისათვის ხელსაყრელი რაიონების დაცვა.

მრავალფეროვანია ფრეგატების შეიარაღება: ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ჰარპუნი“ 2X4, საჰაერო თავდაცვის სისტემა „სი სპაროუ“ 1X8, ერთი 127 მმ-იანი ქვემეხი, 25 მმ-იანი ავტომატური დანადგარი 2X3, სატორპედო აპარატები და შვეულმფრენი.

პირველი ხომალდის, F 240 „იავუზის“ მშენებლობა ჰამბურგში 1985 წელს დაიწყო და ორი წლის შემდეგ თურქეთის

სახაზო კრეისერი „იავუზ-გებენი“






მტრალავი ხომალდი M 265 „ალანია“

ფლოტს გადაეცა. მეორე ხომალდი F 241 „თურგუთრეისი“ ასევე გერმანიაში, ოღონდ კილში აიგო. მომდევნო ორი გიოლჯუკის ვერფებზე აშენდა.

თურქებს ფრეგატები მოეწონათ და ფლოტი მომდევნო MEKO 200TN-ის პროექტის 4 ახალი ფრეგატით შეავსეს. ორი მათგანი F 244 „ბარბაროსა“ და F 246 „სალიჰრეისი“ ჰამბურგში, ხოლო F 245 „ორუჯრეისი“ და F 247 „ქემალრეისი“ გიოლჯუკშია აგებული.

სიძველის გამო გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩამოიწერა გერმანიაში აგებული „კიოლნის“ სერიის საესკადრო ნაღმოსნები: D 360 „გელიბოლუ“ და D 361 „გემლიქი“.

გრძელდება გერმანული პროექტების წყალქვეშა ნავებით თურქეთის ფლოტის შევსება. გიოლჯუკის ვერფებზე 1994 წლიდან შენდება 209/1400 პროექტის წყალქვეშა ნავები. სერიის ბოლო, მე-8 სუბმარინის S 360 დასრულება მიმდინარე წელს იგეგმება.

უფრო ადრე, 1975-1989 წლებში, კილსა და გიოლჯუკში 209/1200 პროექტით სამ-სამი წყალქვეშა ნავი აიგო.

გერმანული წყალქვეშა ნავები გამოირჩევა საიმედოობით, მაღალი დონის ავტომატიზაციით, დაბალი ხმაურითა და კარგი საექსპლუატაციო პარამეტრებით. შეიარაღებაში 533 მმ-იანი ტორპედოები და „საბ ჰარპუნის“ ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები შედის.

თურქეთის ფლოტის სარაკეტო კატარღების ფლოტილია მთლიანად გერმანული პროექტების ხომალდებისაგან შედგება.

პირველი სარაკეტო კატარღები „დოღანის“ სერიას მიეკუთვნება და „ლიურსენმა“ სერიის მეთავე კატარღა P 340 თურქეთს 1977 წელს გადასცა. მომდევნო კატარღები P 341 – P 347 კი თურქეთშია აგებული.

გარდამავალი „უილდიზის“ პროექტით ორი კატარღა აიგო, – P 348 გერმანიაში, ხოლო P 349 კი თურქეთში.

გერმანიაში „ლიურსენმა“ წამოიწყო მომდევნო „კილიჩ I“-ის სერიის კატარღების მშენებლობა და მეთავე P 330 საკუთარ ვერფზე ააშენა, ხოლო შემდგომი ორი P 331 და P 332 კი ტაშკიზაკშია აშენებული. გაუმჯობესებული „კილიჩ II“-ის სერიის 6 კატარღას (P 333-P 338) ტაშკიზაკის ვერფი აშენებს.

კატარღები ხომალდსაწინააღმდეგო „ჰარპუნებით“, 76 მმ-იანი და 40 მმ-იანი ან 35 მმ-იანი საარტილერიო დანადგარებით არიან აღჭურვილი.

თურქი სამხედროები სარაკეტო კატარღებს მრავალმხრივ ამოცანებს უსახავენ, რომელიც აერთიანებს მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდებთან ბრძოლას, სახმელეთო ჯარების მხარდაჭერას, წყალზედა მდგომარეობის კონტროლს, სანაპიროს, სამხედრო-საზღვაო და ბაზირების პუნქტების დაცვას.

მწყობრში რჩება მოძველებული 1966-77 წლებში გერმანიაში აგებული „ქართალის“ სერიის 8 კატარღა. ერთ-ერთს, P 325 „მელთემს“ 1985 წლის 25 სექტემბერს საბჭოთა სასწავლო ხომალდი „ჰასანი“ ბოსფორის სრუტეში გავლის დროს დაეჯახა და შუაზე გადაჭრა.

„ქართალის“ სერია კატარღები აღჭურვილია ხომალდსაწინააღმდეგო „პინგვინის“ ტიპის 2 ან 4 რაკეტით, ორი 533 მმ-იანი სატორპედო აპარატით, 40 მმ-იანი საარტილერიო დანადგარით და შეუძლია 4 ნაღმის ტარება.

თურქეთმა ჩამოწერა და ფლოტის შემადგენლობიდან გამოიყვანა 1959-1962 წლებში გერმანიაში აგებული „ფირტინას“ სერიის 11 სატორპედო კატარღა.

ორი ქვეყნის თანამშრომლობის უახლესი მაგალითია გერმანული 332 პროექტის მტრალავი ხომალდების საფუძველზე შექმნილი 54014 პროექტი, რომლის მიხედვითაც თურქეთში სამი თანამედროვე მტრალავი ხომალდი M 265 „ალანია“, M 266 „ამასრა“ და M 265 „აივალიქი“ აიგო და კიდევ სამი მალე დასრულდება.

**თემურ ჩაჩანიძე**

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

наряд внутренный – შინაგანწესი
наряд суточный – სადღეღამისო განწესი
наскок – მიხტომა
наставление – დარიგება
настил моста – ხიდის საფარი
настильность траектории – ტრაექტორიის დაფერილობა
настильный – ფენილი
наступательный – შეტევითი
наступать – შეტევა
наступающий – შემტევი
наступление – შეტევა
наступление авиационное – საავიაციო შეტევა
наступление артиллерийское – საარტილერიო შეტევა
наступление на противника – მოწინააღმდეგეზე შეტევა
наступление с ходу – შეტევა შეუჩერებლივ
натяжной – დასაჭიმი
начальник – უფროსი
начало – საწყისი, დაწყებითი
начальство – უფროსობა, ხელმძღვანელობა
небоеспособный – ბრძოლისუნარმოკლებული
невзрывной – არაასაფეთქებელი
невооружённый – შეუიარაღებელი
негодный – უვარგისი
недолёт – მიუწვდომლობა (ტყვიისა, ჭურვისა)
немаскированный – შეუნიღბავი
незаминированный – დაუნაღმავი
незатухающий – არამილევადი
незашищённый – დაუცველი
неизвлекаемый – ამოუღები
некомплект – არაკომპლექტი
неконтактный – არაკონტაქტური
ненаблюдаемый – თვალსმოფარებული, უხილველი.
ненападение – თავდაუსხმელობა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სისხლიანი

## ცეზრძოლით

# ფრე



ვიეტნამის ომის სიმბოლოდ AK-47-თან ერთად, შვეულმფრენი UH-1 „იროკეზ-იც“ ითვლება. სწორედ ამ ხრახნილფრთიანი მანქანებით და მათი მოდიფიკაციებით უჭერდნენ ცეცხლით მხარს ამერიკელები თავიანთ შენაერთებს, ამარაგებდნენ, ბრძოლის ველიდან გაჰყავდათ დაჭრილები. ბრინჯის ყანების თავზე მქროლავი „იროკეზების“ ესკადრილიები არაერთხელ შეუდარებიათ შეტევაზე გადასული კავალერიისთვის.

1965 წლის სექტემბერში, აერომობილური ჯარების კონცეფციის შემოწმების მიზნით, შვეულმფრენთა პირველი შენაერთები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაისროლეს. ორი თვის შემდეგ ისინი ლოკალური კონფლიქტების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ და სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაებნენ. ეს იყო მდინარე დრანგის ხეობაში.

მდინარე დრანგის ბრძოლების პერიპეტიები 2002 წელს ეკრანებზე გამოსული ჰოლივუდური ბლოკბასტერით „ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით“ არის ცნობილი. ეს ფილმი, რომელშიც მელ გიბსონი მონაწილეობს, ომის შესახებ გადაღებულ კინოეპოპეებს შორის ლეგენდარულია. ფილმი გადაღებულია ჯო გალოუეისა და ჰელ მურის წიგნის „ერთხელ ჩვენ ჯარისკაცები... ახალგაზრდები ვიყავით“ მიხედვით. ორივე ავტორი მონაწილეობდა დრანგის ხეობის ბრძოლებში, — ერთი სამხედრო კორესპონდენტი იყო, მეორე კი ბატალიონის მეთაური. ეს წიგნი ავტორებმა დაღუპული თანამებრძოლების ხსოვნას მიუძღვნეს. მიუხედავად მართლად აღწერილი პერიპეტიებისა, ბევრი რამ საინტერესო კადრს მიღმა დარჩა.

### „ჰიუს“ დაბადება

ამერიკელების კორეაში და ფრანგების ალჟირში ბრძოლების დროს შვეულმფრენების ეფექტიანად გამოყენებამ საფრენი აპარატებით დაინტერესება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და მათ შორის აშშ-ის შეიარაღებულ ძალებშიც. 1954 წლის მაისში გამოცხადდა კონკურსი მრავალმიზნობრივი შვეულმფრენის კონსტრუქციაზე, რომლის გამოყენებაც უშუალოდ სამხედრო მოქმედებების ზონებში იქნებოდა შესაძლებელი. კონკურსის პირობები მოითხოვდა: არანაკლებ 200-კილომეტრიან ფრენის სიშორეს, 360 კგ-ის ტვირთამწეობას, კრეისერული სიჩქარე კი ახალ შვეულმფრენს 160 კმ/სთ უნდა ჰქონოდა. განსაკუთრებულ პირობად ითვლებოდა საველე მდგომარეობაში გამოყენებისას ტექნიკური მომსახურების სიმარტივე, მოუმზადებელ მოედნებზე დაფრენა-აფრენის საშუალება და სატვირთო განყოფილებაში დაჭრილების ორი საკაცით მოთავსების შესაძლებლობა. მაჩვენებელთა მოწყობილობებს უნდა უზრუნველეყო საბრძოლო მანქანის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში უსაფრთხო პილოტირება. ზომით კი შვეულმფრენი იმხელა უნდა ყოფილიყო, რომ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130 „ჰერკულესში“ და C-124 „გლობმასტერ-ში“ ჩატეულიყო. მთლიანად კონკურსში 19 პროექტი წარმოადგინეს. გაიმარჯვა ფირმა „ბელმა“, რომელმაც კლასიკური ერთპროპელერიანი, გაზტურბინულძრავიანი შვეულმფრენის კონსტრუქცია შექმნა.

ფირმამ 1954 წლის ივნისში რამდენიმე საცდელი მოდელის შეკვეთა მიიღო. საომარი მანქანის სრული ზომის მაკეტი 1955 წლის ნოემბრისთვის იყო მზად, ხოლო საცდელი ნიმუშის პირველი გაფრენა, რომელმაც HV-1 აღმნიშვნელი ნომერი მიიღო, 1956 წლის 22 ოქტომბერს შედგა. რამდენიმე წლის შემდეგ გრძელი საგამოცდო გზაგავლილი შვეულმფრენები სამხედრო ნაწილებში გადაგზავნეს.

ამავე პერიოდში შეერთებული შტატების საჰაერო ძალებში ჩატარებულ რეფორმის გამო მათ სახელწოდება შეეცვალათ.

თავად შეიარაღებაში შვეულმფრენი UH-1 „იროკეზ“-ის სახელწოდებით მიიღეს, თუმცა საომარ მანქანას მაშინვე „ჰიუ“ დაარქვა. სწორედ ასე ჟღერს შემოკლებული HU. ზოგჯერ კი ამ შვეულმფრენის აღსანიშნავად სხვა სახელს — „ჰიუკოპტერსაც“ ხმარობდნენ.

### ახალი კავალერია

1962 წლის ბოლოს აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ მაკნამარას ახალი სატრანსპორტო-საბრძოლო საშუალებების გამოცდა უბრძანეს. ექსპერიმენტის მიზანი ახალი მანქანების ღირსებებისა და შესაძლებლობების ზღვრების დადგენა იყო. შვეულმფრენთა სისწრაფე და მანევრირების უნარი ხელს უწყობდა ახალი თეორიული და პრაქტიკული დებულებების წარმოშობას, რომლებიც საომარი ამოცანების ახლებური გადაწყვეტის გზებს, მეთოდებსა და ხასიათს განსაზღვრავდა.

მარტივად რომ ვთქვათ, პენტაგონმა მოიპოვა ახალი იარაღი, რომლის გონივრულად გამოყენების შემთხვევაში გამარჯვება უფრო ადვილად შეიძლებოდა.

დისკუსიების პროცესში შემუშავდა კონცეფცია, რომელიც ბორბლიანი და მუხლუხიანი ტრანსპორტის ნაცვლად აერომობილური ნაწილების შვეულმფრენების გამოყენებას ითვალისწინებდა.

თავიდან გადაწყდა, შეექმნათ აერომობილური ოცეულები და ასეულები, ექსპერიმენტის წარმატების შემთხვევაში კი პოლკები და დივიზიები. აერომობილური შენაერთების შექმნის ინიციატორი გენერალ-ლეიტენანტი გრეგორი ჰოუცი იყო.

1963 წლის თებერვალში დაიწყო მე-11 ექსპერიმენტული სამხედრო-საიერიშო დივიზიის ფორმირება. დივიზიის შტატი 15954 ჯარისკაცით, 459 შვეულმფრენი-



თა და თვითმფრინავით განისაზღვრებოდა. სახაზო ესკადრილიის შეიარაღებაში საცეცხლე მხარდაჭერის 38 შვეულმფრენი UH-1B და 18 სატრანსპორტო UH-1D იგულისხმებოდა.

დივიზიის არტილერიის შემადგენლობაში შედიოდა უმართავი რაკეტებით აღჭურვილი საავიაციო, სარაკეტო ბატალიონი – 39 შვეულმფრენი UH-1B: შტაბების ყველა ქვედანაყოფს, დაწყებული ოცეულით და დამთავრებული ასეულით, ოფიცერთა ტრანსპორტირებისათვის ორ-ორი „იროკეზი“ უნდა ჰყოლოდა. მოწინააღმდეგის ზურგში სამოქმედოდ დივიზიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო კვალმაძიებელთა ასეულის ფორმირებაც. სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფების გადასხმა ექვს შვეულმფრენ UH-1B-ს ევალებოდა. დივიზიის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა ორი მოიერიშე ათასეული, რომელთაგან თითოში შედიოდა 12 შეიარაღებული UH-1B და 60 ერთეული სატრანსპორტო-დამხმარე UH-1D შვეულმფრენი. დივიზიას მთლიანად, შტატით, ეკუთვნოდა (სხვა საავიაციო ტექნიკის გარდა) 137 მოიერიშე UH-1B და 138 სატრანსპორტო UH-1D.

აერომობილური ქვედანაყოფების მოქმედების ტაქტიკის დამუშავება პოლიგონ სტიუარტზე ბატალიონების წვრთნებით დაიწყო. 1965 წლის დასაწყისში დივიზიების ფორმირება ამერიკის ყველაზე სახელგანთქმული შენაერთების, პირველი საკავალერიო დივიზიის (1st Cavalry Division (Airmobile) ბაზაზე მოხდა. ასე წარმოიშვა სახელწოდება „საჰაერო კავალერია“ (Air Cav) 1965 წლის 16 ივნისს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ გასცა ბრძანება ამერიკის სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში ახალი, აერომობილური დივიზიების გაერთიანების შესახებ.

## სპეცრაზმის ბაზის გადარჩენა

პირველი აერომობილური შენაერთები თანამედროვე სწრაფი რეაგირების ძალების წინამორბედები იყვნენ. მათი მოვალეობა იყო უმოკლეს ვადაში დაეწყოთ საომარი მოქმედებები მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში, – დაწყებული ალასკით დამთავრებული დასავლეთ ევროპით. და რადგან იმ დროს მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ითვლებოდა, ახალი სახის საჯარისო შენაერთების უშუალოდ საქმეში გამოსაცდელად მასზე უკეთესი ადგილიც არ არსებობდა.

პირველი საკავალერიო დივიზიის აერომობილური ნაწილები ვიეტნამში, კერძოდ, კემპ რედკლიფში, ანუ ან ხეში, 1865 წლის ივლისში ჩავიდნენ. მათი მთლიანად გაშლა მხოლოდ ნოემბრისთვის მოხერხდა.

ნოემბრის დასაწყისში ჩრდილოეთ ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა საბრძოლო მოქმედებები ცენტრალური მთიანეთის რეგიონში გააქტიურეს. იერიში მიიტანეს შორს მთებში განლაგებულ ამერიკის სპეცრაზმის ბაზაზე. ეს ბაზა პირველი ცხენოსანი დივიზიის მე-3 ბრიგადის დისლოკაციის ადგილიდან 40 კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. რეგიონში ამერიკული ჯარების სარდალმა, გენერალმა ვესტმორლენდმა უბრძანა ბრიგადის მეთაურს, პოლკოვნიკ ტომას ბრაუნს, აღმოეჩინა და გაენადგურებინა მოწინააღმდეგე ამ რეგიონში.

რამდენიმე დღის განმავლობაში ამერიკელები საჰაერო თავდასხმებს აწყობდნენ ცენტრალურ მთიანეთში, რის შედეგადაც სპეცრაზმელთა ბაზაზე თავდასხმები შეწყდა. დაზვერვის მონაცემებით, ვიეტნამელთა ბატალიონმა უკან დაიხია და ჩუპონგის რეგიონში მოიყარა თავი, ამერიკელთა ბაზისაგან 20 კილომეტრის დაშორებით. ისინი გადაჯგუფებასა და სპეცრაზმის ბანაკზე ხელახალი იერიშის მიტანას აპირებდნენ. გადაწყდა, არ დაეშვათ ბანაკზე შეტევა, ინიციატივა წაერთმიათ მოწინააღმდეგისთვის და მის ფლანგზე დესანტი გადაესხათ.

## მურის გეგმის მიხედვით

დავალების შესრულება პოლკოვნიკმა ბრაუნმა მეშვიდე პოლკის პირველი ბატალიონის მეთაურს, პოდპოლკოვნიკ ჰელ მურს მიანდო. დესანტის გადასასხმელად მთის ძირას მდებარე დაბალი ხეებით გარშემორტყმული მინდორი შეირჩა. მინდვრის ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრის მოშორებით მდინარე დრანგი მიედინებოდა. დესანტირების ზონა, რომელმაც პირობითი სახელწოდება „X-გაუ“ მიიღო, ზომით საფეხბურთო მინდვრის ტოლი, დაახლოებით 100 მეტრის სიგრძისა იყო. შტაბის სპეციალისტთა შეფასებით, ასეთი ზომის მონაკვეთზე ერთბაშად მხოლოდ რვა შვეულმფრენს შეეძლო დაჯდომა.

პირველი ბატალიონის საშტატო სტრუქტურა იმ დროის ამერიკული არმიისათვის ტიპური იყო. ის შედგებოდა სამი მსროლელი ასეულისაგან (ალფა, ბრავო, ჩარლი) და მძიმედ შეიარაღებული (ნაღმტყორცნელები და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები) ასეულისაგან (დელტა), სულ დაახლოებით 450 ჯარისკაცისგან. ისინი ბრძოლის ველზე ერთი შვეულმფრენით უნდა გამგზავრებულიყვნენ, თითო მათგანს 10-12 აღჭურვილი მებრძოლის წაყვანა შეეძლო. აქედან გამომდინარე, ბატალიონის გადასროლა რამდენიმე გზად უნდა შესრულებულიყო. ჩატვირთვასა და ზონამდე მისვლას 30 წუთი უნდა დასჭირვებოდა. პოლკოვნიკმა მურმა დესანტირება შემდეგნაირად დაგეგმა: პირველად გადასხდებოდნენ ასეულ „ბრავოსა“ და ბატალიონის შტაბი, რომლებიც პოზიციებს დასავლეთსა და ცენტრში დაიკავებდნენ, მათ მიჰყვებოდა „ალფა“ და „ჩარლი“, რომელთა ამოცანაც სამხრეთისა და ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების დაკავება იყო. ასეული „დელტა“ რეზერვად უნდა დარჩენილიყო და ისეთ ადგილზე უნდა გადამსხდარიყო, სადაც ყველაზე ძალიან უჭირდა თანამებრძოლებს, რათა ცეცხლით მხარდაჭერა გაეწია მათთვის.

## სამი ერთის წინააღმდეგ

14 ნოემბრის დილით მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენ „ჩინუკებით“, „იკსრეი“ ზონიდან, აღმოსავლეთით მე-10 კილომეტრზე გადაისროლეს 12 ქვემეხი (105 კილომეტრიანი ჰაუბიცების 2 ბატარეა). 10 საათსა და 15 წუთზე დაიწყო ადგილმდებარეობის არტმომზადება. 10 საათსა და 35 წუთზე რაიონი მხარდაჭერის შვეულმფრენების ავიადარტყმებმა დაფარა.

10 საათსა და 48 წუთზე გადმოსხდნენ „ბრავოს“ პირველი ქვედანაყოფები, რომელთაც კაპიტანი ჯონ ჰერენი მეთაურობდა. ნაცვლად იმისა, ძალები ზონის გარშემო გადანაწილებულიყვნენ და გაბატონებული სიმაღლეები დაეკავებინათ, პირადი შემადგენლობის უმრავლესობა ცენტრთან ახლოს შეჯგუფდა, იქ, სადაც შტაბი იყო გათვალისწინებული. დასაზვერად გაიგზავნა მე-2 ოცეული. თხუთმეტი წუთის შემდეგ ჰერიმ ბატალიონის მეთაურს გადასცა, შეეცვალა გეგმა და „ალფას“ ჯგუფს გადმოსხმის შემდეგ წყაროს დასავლეთის მიმდებარე ტერიტორია დაეკავებინა. ეს აუცილებლობა სადაზვერვო ჯგუფის მიერ დატყვევებული ვიეტნამის არმიის სერჟანტ ჯონ მინგოს დაკითხვის შემდეგ წარმოიშვა. ტყვემ განაცხადა, რომ ვონი ჩუს მთაზე ვიეტნამელთა სამი ბატალიონი იყო განლაგებული (დაახლოებით 1600 ჯარისაკცი).

11 საათსა და 20 წუთზე იწყებს გადმოსხდომას დესანტის მეორე ტალღა „ბრა-



ვოს“ დანარჩენ წევრებთან ერთად და „ალფას“ პირველი ოცეული კაპიტან ტონი ნადალის მეთაურობით. მიმდინარეობს გადაჯგუფება. „ბრავომ“ პოზიციები დაიკავა. 12 საათზე იწყება დესანტირების მესამე ტალღა. პოდპოლკოვნიკ მურის ბრძანებით ქვედანაყოფები პოზიციებს წყაროს დასავლეთით იკავებენ.

12 საათსა და 15 წუთზე მოხდა პირველი საცეცხლე კონტაქტი. ასეულ „ბრავოს“ ოცეული, რომელიც ჯუნგლებში დათქმული პოზიციებისკენ მიიწევდა, გზად მოწინააღმდეგეს გადააწყდა. კაპიტანმა ჰერენმა გასცა ბრძანება, — პირველი ოცეული ლეიტენანტ ალ დივნეს მეთაურობით, და მეორე ოცეული, ლეიტენანტ ჰენრი ჰერიკის მეთაურობით, ერთმანეთის პარალელურად განლაგებულიყვნენ. მესამე ოცეული დენის დილის მეთაურობით მათ უკან უნდა განლაგებულიყო რეზერვის სახით, მაგრამ ბრძანებამ დაიგვიანა. დივნეს ოცეული წყაროსგან დასავლეთით 100 მეტრის მოცილებით, მეორე ოცეულის უკან იდგა. ლეიტენანტ ჰერიკის ოცეული ბრძოლაში ჩაება და ჯუნგლებში უკან დახეულ ვიეტნამელებს კვალში ჩაუდგა, სადაც ჩასაფრებას გადააწყდა. მიუხედავად ამისა, ამერიკელები მეთაურის მოხერხებული მოქმედების წყალობით დიდ დანაკარგს გადაურჩნენ. ხუთი წუთის განმავლობაში მიმდინარე ინტენსიური სროლებისას ამერიკელებმა ჩასაფრებულთა უმრავლესობა გაანადგურეს.

ჰერიკმა რაციით გადასცა, რომ მის რაზმს მოწინააღმდეგე ერტყმოდა გარს. პასუხად ძირითადი ძალებისაკენ უკან დახევის ბრძანება მიიღო, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ამიტომ მეთაურმა წრიული თავდაცვა ბრძანა. მომდევნო 25 წუთის განმავლობაში მე-2 ოცეულმა, მეთაურის ჩათვლით, ხუთი მებრძოლი დაკარგა.

## მდგომარეობა გამძაფრდა

13 საათისთვის ჩრდილოვიეტნამელებმა ფრონტის ყველა მონაკვეთზე შეუტიეს, პოლკოვნიკმა მურმა შეატყო, რომ რიცხვმრავალი მტერი უტევდა და ბრძანება გასცა, თავდაცვა გადმოსხმის ზონის პერიმეტრზე განეხორციელებინათ.

13 საათსა და 32 წუთზე ბრძოლის ველზე გამოჩნდა ასეული „ჩარლი“, რომელმაც სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთის პოზიციები დაიკავა.

13 საათსა და 45 წუთზე პოდპოლკოვნიკმა მურმა ჩუს მთის მიმართულებით ავიაციისა და არტილერიის დარტყმები მოითხოვა, რათა მოწინააღმდეგე ბატალიონის პოზიციებს ვერ მიახლოებოდა. დაახლოებით 150 ვიეტნამელი ჯარისკაცი უტევდა „ალფას“ მე-3 ოცეულს, რომელსაც პოზიცია ნაკადულის გამშრალ კალაპოტში ეკავა და ასეული „ბრავოს“ მარჯვენა ფლანგის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — მეთაურმა ბობ ტაფტმა დაძაბულობას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.



შეტევა, რომელსაც ვიეტნამელები აპირებდნენ, ასეულ „ბრავოს“ ზურგიდან შემოვლას ითვალისწინებდა, მაგრამ „ალფა“ მე-2 ოცეულის მეთაურის, ლეიტენანტ უოლტერ ჯო მარმის სწორი მოქმედების წყალობით ვეტნამელებს ეს მანევრი ჩაეფუშათ. ამ შეტაკების დროს დაიღუპა 80 ვიეტნამელი, დანარჩენები არტილერიის ცეცხლქვეშ მოექცნენ.

14 საათსა და 30 წუთზე გადმოსხდნენ ასეული „ჩარლის“ და „დელტას“ უკანასკნელი ქვედანაყოფები. ისინი „ალფას“ მიტოვებულ ფლანგზე განლაგდნენ.

„ჩარლის“ ასეულს, რომელიც ახლა სრული შემადგენლობით იცავდა სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ფლანგს, მთელი ძალით შეუტია მოწინააღმდეგის ბატალიონმა. კაპიტანი ედვარდსი იტყობინებოდა, რომ მის წინააღმდეგ იბრძვის დაახლოებით 275-დან 400-მდე ვიეტნამელი ჯარისკაცი. მხოლოდ არტილერიის ზუსტად კორექტირებულმა ცეცხლმა გადაარჩინა ედვარდსის ჯარისკაცები, — ჭურვები თავდაცვის ხაზიდან სამი-ხუთი მეტრის მოშორებით ფეთქდებოდა.

15 საათისათვის მტრის იერიში უკვე მოგერიებული იყო. ამ დროისათვის გადაჯგუფებულმა მოწინააღმდეგის ძალებმა მთელი ფრონტის სიგრძეზე ერთდროული შეტევის მეორე ტალღა დაიწყეს და ძლიერი დარტყმა მიაყენეს „დელტასა“ და „ალფას“ დაცვით სიმაგრეებს.

კაპიტანმა ედვარდსმა „დელტას“ ნარჩენების მეთაურს, სერჟანტ გონსალესს უბრძანა „ჩარლის“ ფლანგზე გადაადგილებულიყო და დაცვის პერიმეტრი გაეფართოებინა.

15 საათსა და 20 წუთზე საბრძოლოდ გაიშალა ნაღმმტყორცნელთა ბატარეა, რათა პირველ რიგში „ალფასა“ და „ბრავოსათვის“ დაეჭირა მხარი. მზვერავთა ოცეული გადმოსხდომის ზონიდან წინ, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით გადაისროლეს, საიდანაც მათი დაკვირვების 360-გრადუსიანი პერიმეტრი გაეხსნათ. თუ მოწინააღმდეგე ბატალიონისთვის ალყის შემორტყმას განიზრახავდა, მზვერავ-მოთვალთვალეები მაშინვე აცნობებდნენ სარდლობას.

15 საათსა და 4 წუთისთვის ხეობაში სროლა შეწყდა. პოდპოლკოვნიკმა მურმა გადაწყვიტა ამით ესარგებლა. მან ბრძანება გასცა, ნებისმიერი საშუალებებით მოეხდინათ ლეიტენანტ ჰერიკის ძირითად ძალებს ჩამოშორებული ოცეულის ევაკუაცია.

თანამებრძოლთა გამოსაყვანად მიმავალი ლეიტენანტ მარმას ოცეული ვიეტკონგოელთა შენიღბულმა საცეცხლე პოზიციამ შეაჩერა, რომელიც ვერც ნაღმსატყორცნებმა და ვერც ყუმბარსატყორცნებმა ვერ დაადუმა. ბოლოს ლეიტენანტმა მარმა ზურგიდან შემოუარა საფარს და ხელყუმბარებით ააფეთქა მოწინააღმდეგის ბუნკერი. მეორე დღეს საფარში თორმეტი მოკლული ვიეტნამელი მათ შორის ერთი ოფიცერი იპოვეს.

მოგვიანებით ჯო მარმი ამერიკის უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოზე — „მამაცობისათვის“ წარადგინეს.

ჰერიკის ოცეულის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ჩრდილოვიეტნამელების არტილერიის ცეცხლმა ამერიკელებს უკან გაბრუნება აიძულა.

17 საათზე მათ საშველად „ბრავო-2"-ის ათასეულის მე-7 პოლკის ქვედანაყოფები ჩამოსხდნენ. მურმა მათ მეთაურს, მაიორ დიდერიკს უბრძანა, მისი ორი ოცეული პირველი ბატალიონის „დელტას" და „ბრავოს" ქვედანაყოფებს შორის განეთავსებინა, პერიმეტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. დიდერიკის მესამე ოცეული ასეულ „ჩარლის" მდგომარეობის გასაძლიერებლად გამოიყენებოდა, რომლის დაცვითი ხაზიც არაპროპორციულად გრძელი იყო. მურის წინათგრძნობა გამართლდა. შებინდებისას მოწინააღმდეგემ ბრძოლა გააათკეცა, რის შედეგადაც ამერიკელებმა პირადი შემადგენლობაში დიდი დანაკლისი განიცადეს: დაკარგეს 80 ჯარისკაცი, მათ შორის 4 ოფიცერი.

ყველაზე იოლად ჰერიკის „დაკარგული" ოცეული გადარჩა, — მან ოთხჯერ გამოიცვალა მეთაური, ბოლოს სერჟანტ სავაჯის მეთაურობით ალყაშემორტყმულმა ამერიკელებმა სამ ძლიერ შეტევას გაუძლეს (ერთი ზუსტად შუაღამის წინ, მეორე 3 საათსა და 15 წუთზე, მესამე 4 საათსა და 30 წუთზე) და არც ერთი მათგანი არ დაღუპულა.

## დღე მეორე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ცხენოსანი დივიზია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ყველაზე უძველესი და სახელგანთქმული სამხედრო შენაერთია. მისი ჯარისკაცები ყველა იმ ომსა და სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდნენ, რომლებიც კი უწარმოებია შეერთებულ შტატებს. ერთხელ მათ ტრაგიკული შეცდომის გმირობად გადაქცევაც მოახერხეს. 1876 წლის ზაფხულში მეშვიდე ცხენოსან პოლკს, რომელსაც გენერალი კასტერი მეთაურობდა, ალყა შემოარტყა ინდიელთა მრავალრიცხოვანმა არმიამ ლიტლ-ბიგჰორნის მახლობელ ველზე. გენერალმა, მისი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, — შეტევაზე გადასვლა ჩაიფიქრა. 700 ცხენოსნისგან შემდგარი ჯარი სამ ნაწილად გაყო და მოწინააღმდეგეს შეუტია, — ერთი კოლონა, რომელსაც თვით გენერალი მეთაურობდა, ხაფანგში მოხვდა და მთლიანად გაწყდა. დანარჩენი ორი კოლონაც ინდიელების გააფთრებულ წინააღმდეგობას გადააწყდა და იძულებული გახდა, უკან დაეხია. ამ ბრძოლაში კავალერისტებმა მოკლულების სახით 565 მეომარი დაკარგეს. ახლა კვლავ ვიეტნამს დავუბრუნდეთ. დაღამებულში ამერიკელი უფროსი სამხედრო მეთაურები, ალბათ, იმაზე ფიქრობდნენ, ხომ არ გამეორდებოდა ისტორია, გენერალ კასტერივით ისინიც ხომ არ მოექცეოდნენ გამოუვალ მდგომარეობაში.

15 ნოემბერს გამთენიისას, 6 საათსა და 20 წუთზე, პოდპოლკოვნიკმა მურმა ადგილმდებარეობის დაზვერვის ბრძანება გასცა. მას სურდა გაეგო, როგორ იყო განლაგებული მოწინააღმდეგის ძალები და პერსპექტივაში როგორ ბრძოლისუნარიანობას გამოავლენდნენ. 6 საათსა და 50 წუთზე „ჩარლის" ასეულის პატრულმა ფრონტის ხაზიდან მოწინააღმდეგის სიღრმეში 130 მეტრის მანძილზე მოახერხა შესვლა და მტერთან პირისპირ შეჯახების შემდეგ უკან დაიხია.

7 საათსა და 45 წუთზე ვიეტკონგოელებმა სამი ბატალიონის ძალებით ახალი შეტევა დაიწყეს. გაჩაღდა ამერიკის ისტორიაში, ალბათ, ყველაზე გააფთრებული და სისხლისმღვრელი ბრძოლა. ერთ პატარა მონაკვეთზე პირისპირ, თითქმის მიჯრით შეიყარა ორივე მხარე. ამ ბრძოლის ინტენსივობა და ხასიათი აშშ-ის არმიის საბრძოლო მოხსენებების ოფიციალურ კრებულში ასეა აღწერილი: „ჩრდილოვიეტნამელები მცირე პერიმეტრზე ისეთ ძლიერ ცეცხლს გვიშენდნენ და ისე დაბლა ისროდნენ, რომ ცოტა ვინმემ თუ მოასწრო საფრის გათხრა და შიგ ჩამალვა".

ყოველ წუთს იზრდებოდა ორივე მხარის დანაკარგი. არ გაუმართლა ასეულ „ჩარლის". 7 საათსა და 55 წუთზე სახალხო არმიის ჯარისკაცებმა გაარღვიეს ამერიკელთა დაცვის ხაზი და დაჭრეს ასეულის მეთაური ედვარდსი, მე-3 ოცეულის ყველა ჯარისკაცი დაიღუპა.

ამერიკელებმა კვლავ გამოიძახეს არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერა. მურმა ბრძანა საკვამლე ყუმბარებით შემოეფარგლათ საკუთარი ჯარების პოზიციების ზონა, მაგრამ მძიმე ჰაუბიცების არტილერიულმა ზალპებმა მოწინააღმდეგის შეტევა მხოლოდ მცირე დროით შეაჩერა. შემდეგ ორი რეაქტიული თვითმფრინავი F-100 გამოიძახეს, რომლებმაც ნაპალმის ბომბები ჩამოყარეს. ბომბდამშენების ავიადარტყმებმა მიზანს მიაღწია, მაგრამ მოწინააღმდეგესთან ერთად ნაპალმმა ბევრი ამერიკელიც დააზიანა.

9 საათსა და 10 წუთზე ბრძოლის ველზე მე-7 პოლკის მე-2 ბატალიონის მებრძოლები დაბრუნდნენ, რომლებიც ღამით წინა პოზიციებზე იყვნენ გაგზავნილი.

ამასობაში, მურმა ბრძანა, გაეთავისუფლებინათ ალყაში მოქცეული ჰერიკის ოცეული. 15 საათსა და 30 წუთზე ძლივს მოხერხდა ჩამოშორებულ ქვედანაყოფთან მიახლოება. ამ დროისათვის 29 ჯარისკაცისგან მწყობრში მხოლოდ 7 იყო, დანარჩენები დაიღუპნენ ან მძიმედ იყვნენ დაჭრილნი.

მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში დრანგის ხეობაში კვლავ სიწყნარემ დაისადგურა. მხოლოდ შუაღამისას განახლდა წარუმატებელი იერიში სახალხო არმიამ.

16 იანვრის დილით ამერიკელებს იმავე დივიზიის მე-5 პოლკის მე-2 ბატალიონის სახით დამხმარე ძალა მოუვიდა. ორდღიანი ბრძოლისგან მოქანცული პირველი ბატალიონი კვლავ თავის პოზიციებს იცავდა, მაგრამ აშკარა იყო, კიდევ ერთ შეტევას ვერ გაუძლებდა.

ორი დღის განმავლობაში პოდპოლკოვნიკ მურის ქვედანაყოფმა დაკარგა 79 ჯარისკაცი, ხოლო 121 ჯარისკაცი დაიჭრა. მოწინააღმდეგის დანაკარგი ამერიკელებისას რამდენჯერმე აღემატებოდა. მხოლოდ ბრძოლის ველზე ვიეტნამელებმა 634 მოკლული დატოვეს, დაახლოებით ამდენივე ნაპალმი დაიწვა.

ამის შემდეგ ბრიგადის სარდლობამ ჩათვალა, რომ ოპერაცია წარმატებით



ჩატარდა და მისი გაგრძელება აუცილებელი აღარ არის: გამოიცა ყველა შენაერთის ხეობიდან დისლოკაციის ადგილზე დაბრუნების ბრძანება. კიდევ ერთი არგუმენტი ამგვარი გადაწყვეტილებისა იყო დაზვერვის ახალი მონაცემები. ვიეტკონგოელებს კამბოჯის საზღვრებიდან ახალი ძალები შემოჰყავდათ დრანგის ხეობაში. ერთი სიტყვით, საჭირო იყო დროზე გასცლოდნენ დაწყევლილ ადგილს, ხოლო დაწყებულის დასამთავრებლად საჭირო იყო მთელი ზონა B-52 სტრატეგიული ბომბდამშენების ცეცხლით დაეფარათ.

იმავე დღის ბოლოს პირველი ბატალიონი შვეულმფრენებით პლეიკუს ბაზაზე გადაიყვანეს. მიზეზთა გამო მეორე დღეს დანარჩენი ძალების შვეულმფრენებით გამოყვანა ვერ მოხერხდა, არადა საჭირო იყო ზონის სასწრაფოდ დატოვება (თუნდაც 3 კილომეტრით მოშორება), რადგან სტრატეგიული ბომბდამშენები ასაფრენად უკვე მზად იყვნენ. ამერიკელების ქვედანაყოფების კოლონამ ხმელეთით მოძრაობა დაიწყო იქს-რეიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ოლბანის ზონაში პოზიციების დასაკავებლად, მაგრამ მიზანს მიახლოებული ამერიკელების მოწინავე რაზმები ჩრდილოვიეტნამელ პატრულს გადააწყდნენ. ზემოხსენებული დოკუმენტური რომანის ავტორის, ჯო გალვეის აზრით, იმ დღეს „მფრინავ კავალერისტებს ვიეტნამელთა 66-ე პოლკის პირველი და მესამე ასეულების ნარჩენებთან და სახალხო არმიის 33-ე პოლკის გადარჩენილ ჯარისკაცებთან მოუწიათ შეტაკებამ. ორივე მხარე გააფთრებული იბრძოდა ექვსი საათის განმავლობაში. ისინი ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ და პოზიციების სიახლოვის გამო თითქმის მიბრჯნით ესროდნენ ერთმანეთს. ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამერიკელთა მე-7 პოლკის მე-2 ბატალიონი, მას ფლანგიდან შეუტიეს და ორ ნაწილად გაყვეს. ბატალიონს ბრძოლა მეთაურების გარეშე მოუხდა, რადგან ოფიცერთა უმრავლესობა დაიჭრა ან დაიღუპა“.

სარდლობა ბრძოლის ველზე მყოფთ არტილერიისა და ავიაციის ცეცხლით უჭერდა მხარს, მეორე დღეს კი დამხმარე ძალები გაუგზავნა მათ. მოგვიანებით შვეულმფრენების საშუალებით ევაკუაცია გაუკეთეს ყველა ქვედანაყოფს. ამ ბრძოლაში ბატალიონმა თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა – 234 ჯარისკაცი ველარ დაბრუნდა ამერიკაში და თუმცა გენერალმა ვესტმორლენდმა ეს ბრძოლა „სამაგალითო გამარჯვებად“ მონათლა, ოპერაციის უშუალოდ მონაწილეებსა და ისტორიკოსებს მასზე სხვადასხვა აზრი აქვთ. ასე დამთავრდა საომარი ოპერაცია მდინარე დრანგის ხეობაში. ნათელი შეიქნა, რომ „მფრინავმა კავალერიამ“ დრანგის ხეობაში 14 ნოემბრიდან 18-ის ჩათვლით მოკლულთა სახით 234 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა, დაჭრილთა სახით კი – 246. ვიეტნამელთა დანაკარგი გაცილებით მეტი იყო. მათ ბრძოლის ველზე 837 ჯარისკაცი და ოფიცერი დატოვეს, დაჭრილების რიცხვმა კი ათას სამასს გადააჭარბა.

საერთო ჯამში ორივე მხარემ სათანადო დასკვნა გამოიტანა ამ ბრძოლიდან. ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად ეფექტიანი აღმოჩნდა კომბინაცია: ქვეითთა შვეულმფრენებით გადასროლა და მათი არტილერიით მხარდაჭერა.

ცეცხლით მხარდაჭერის ეფექტიანობის შესამცირებლად ჩრდილოვიეტნამელებმა გამოიგონეს ტაქტიკა, რომელიც „დასცხე-გაიქეცის“ პრინციპს გულისხმობდა. ისინი მოწინააღმდეგის პოზიციების სიახლოვეს თითქმის მიჯრით იბრძოდნენ. თუ პირველივე შეტევით ვერ ახერხებდნენ თავდაცვის ზღუდის გარღვევას, უკან იხევდნენ, ჯუნგლებში უჩინარდებოდნენ და გადაჯგუფებულები კვლავ იერიშზე გადადიოდნენ.

თუ არითმეტიკას მოვიშველიებთ, დრანგის ხეობაში, რა თქმა უნდა, ამერიკელებმა გაიმარჯვეს: შეფარდება ოთხი ერთზეა მათ სასარგებლოდ. თუმცა როგორც ამ მოვლენების უშუალო მონაწილე პოდპოლკოვნიკი ჰელ მური (მოგვიანებით მას გენერლობა მიანიჭეს) აღნიშნავს: დრანგის ხეობაში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გამარჯვებას. ამერიკელთა არმიამ ვერ შეძლო ამოცანის ბოლომდე შესრულება, – დატოვა ჩუ პონგის მთის მიმდებარე რაიონი, რამაც მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა კვლავ გაეკონტროლებინა სადავო ზონა.



# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. რუსი გენერალი (XVII-XVIIIს.ს); 5. ერთნახადი სუსტი არაყი; 6. დანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადარაჯო კატერი; 8. ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 11. ბერლინის ციხე; 14. კედელში ჩასმული ნახატი ან სკულპტურა; 15. რუმინული ავტომობილი; 16. ისლამური წმინდა ქალაქი; 17. გერმანული პისტოლეტი; 18. მექსიკური პისტოლეტი; 19. აშშ-ის სახმელეთო ჯარის ერთ-ერთი არსენალი; 22. ამა თუ იმ ქვეყნის დაზვერვის გასაიდუმლოებული თანამშრომელი; 23. ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი; 24. ქართული ლუდი; 27. ესპანური პისტოლეტის „გაბილონდოს“ მოდელი; 28. პორტუგალიის ფეხბურთის გუნდი; 29. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი; 30. საჰაერო ბრძოლის ოსტატი; 31. „ფოლკსვაგენის“ მოდელი; 32. სამი წერტილი კამათელზე; 33. რუსული ავტომატური შაშხანის ავტორი.

**შვეულად:** 1. ისრაელის წარმოების ტანკი; 2. ტერიტორიული თავდაცვის ჯარები ისრაელში; 3. იაპონური ორთაბრძოლა; 4. ფულის ერთეული რუმინეთში; 7. დაცლილი ვაზნა; 9. იუგოსლავური პისტოლეტი; 10. მწყობრი ნაბიჯით სვლა; 11. ფრანგული რევოლვერი; 12. გემთა მიმოსვლა, ნაოსნობა; 13. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 14. თვითსატენი მაშხალა; 19. ამერიკული პისტოლეტი; 20. მრავალმხრივ განსწავლული ადამიანი; 21. შვეულმფრენის მწარმოებელი ქარხანა ისრაელში; 25. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 26. გერმანული პისტოლეტი; 31. ნაპოლეონის პირადი მხატვარი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. მონდრაგონი; 5. ბუ; 6. ზაქარიაძე; 9. რევანში; 10. პინოჩეტი; 13. კიევი; 14. ნადალი; 15. ჯეტა; 18. ვარანი; 19. ისლამი; 20. ინტერი; 22. მიკა; 25. ცირიკი; 26. აგნი; 28. ანზა; 29. კრომველი; 30. ჩე; 31. ფა; 32. ინოგაკი; 33. და; ***შვეულად:*** 1. მაუზერი. 2. დანა; 3. გაგარინი; 4. ნაბელლავი; 7. ჯავი; 8. რანო; 10. პინგვინი; 11. ნადირი; 12. ჩელენჯერი; 13. კრეისერი; 16. ადამსი; 17. შმიდტი; 21. ტანფოლიო; 23. იონი; 24. ალამედა; 26. ალკონი; 27. ავაზა; 28. ალაფი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა
472/46



# „ჩე-ზეს“ პასუხი „მაკაროვს“

## CZ-83 – „მაკაროვის“ ვაზნებზე, მაგრამ უფრო მოსახერხებელი და სიმპათიური




1982 წელს ჩეხოსლოვაკიის არმიამ შეიარაღებაში მიიღო ახალი პისტოლეტი, რომელსაც უნდა შეეცვალა შედარებით მოძველებული პისტოლეტი CZ52.

TT-ს 7,62X25 მმ ტიპის ვაზნაზე გათვლილი CZ52 80-იანი წლების დასაწყისში, ეტყობა, მართლაც საჭიროებდა შეცვლას, თუმცა ეს ჩანაცვლება მოხდა საბჭოთა ანალოგიით, რის გამოც ჩეხოსლოვაკიელ ოფიცერთა ბუდეში CZ52-ზე შედარებით უფრო სუსტი იარაღი – პისტოლეტი CZ83 აღმოჩნდა.

50-60-იან წლებში საბჭოთა ოფიცრებს ჩამოართვეს TT-ები და ისინი „მაკაროვებიც“ შეაიარაღეს. ტექნიკური მონაცემებით, „მაკაროვი“ ПМ, რა თქმა უნდა, უფრო სრულყოფილი გახლდათ, ვიდრე 30-იან წლებში შექმნილი TT, მაგრამ „მაკაროვის“ ვაზნა 9X18 მმ უფრო სუსტი გამოვიდა, ვიდრე წინამორბედი TT-ესი. ამიტომაც „მაკაროვი“ უფრო მიესადაგებოდა სამართალდამცავების მოთხოვნებს, ვიდრე საარმიო პისტოლეტის მონაცემებს.



მოსკოვის ზეწოლით 80-იანი წლების დასაწყისში ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები მთლიანად საბჭოთა სტანდარტებზე გადავიდნენ და ჩეხოსლოვაკიის არმიაც ამიტომ შეიარაღდა „მაკაროვის“ ვაზნებზე გათვლილი ახალი CZ83-ებით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, – ჩეხოსლოვაკიის არმიის შეიარაღებაში მიღებული პისტოლეტის ვაზნა 9X18 მმ, მართალია, პარამეტრებით ემთხვეოდა „მაკაროვის“ ვაზნას, მაგრამ მასზე 20%-ით მეტი მუხტი ჰქონდა.

თავდაპირველად, ამ პისტოლეტს VZ82-ს უწოდებდნენ, ხოლო CZ83-ის სახელით გამოდიოდა კომერციული პისტოლეტი, რომელიც ბრაუნინგის 9X17 მმ და 7,65X17 მმ ვაზნებზე იყო გათვლილი.

90-იანი წლების დასაწყისში, ხარჯების შემცირების მიზნით, გაერთიანდა ამ ორი პისტოლეტის წარმოება ერთი, CZ83-ის სახელით. CZ83 მას შემდეგ სამი

**ჩვენი დოსიე: CZ83** გამოდის სამი კალიბრის — 9X18 მმ ПМ; 9X17მმ ბრაუნინგი და 7,65X17 ბრაუნინგის სახით, თუმცა არსებობს სპეციალური ადაპტორი, რომელიც პისტოლეტში 5,56 მმ კალიბრის ლულისა და შესაბამისი მჭიდის დაყენების საშუალებას იძლევა. პისტოლეტის სიგრძე 172 მმ-ია, ლულის სიგრძე — 96 მმ, ვაზნებით პისტოლეტის მასა 920 გ-ს აღწევს. მჭიდში ეტევა 9 მმ კალიბრის 12 ვაზნა ან 7,65 მმ კალიბრის 15 ვაზნა.

კალიბრის სახით იწარმოება, როგორც ჩეხეთის არმიისთვის, ისე საზღვარგარეთ გასაყიდად.

„არსენალს“ ხელთ 9X18 მმ ПМ ვაზნებზე გათვლილი CZ83 ჩაუვარდა.

პისტოლეტის დათვალიერებისთანავე რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩეხეთის საიარაღო მრეწველობა ტყუილად როდი ატარებს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოს სახელს. პისტოლეტის დეტალები მაღალხარისხიანია. პისტოლეტის ტარი კარგად ზის ხელში, მიუხედავად იმისა, რომ „მაკაროვის“ ტარზე უფრო მსხვილია და მჭიდში 12 ცალი 9 მმ-იანი ვაზნა ჩადის. ჩეხური პისტოლეტის ჩარჩოს ორივე მხარეს დატანებული აქვს დამცველი („მაკაროვს“ მხოლოდ მარცხენა მხარეს აქვს), რაც მოსახერხებელია ცაციასთვისაც. „მაკაროვისგან“ განსხვავებით, CZ83-ის სასხლეტი უფრო ფართოა და მისი დაშვება უფრო რბილად ხდება, რაც სროლის სიზუსტეზეც ახდენს გავლენას.



ჩეხურ პისტოლეტს ფოსფორიანი წერტილები აქვს დატანებული სამიზნეზე, რაც აადვილებს ცუდი მხედველობის პირობებში დამიზნებას.

CZ83-ის ავტომატიკა თავისუფალ საკეტზეა დაფუძნებული. დამაბრუნებელი ზამბარა ლულის გარშემოა მოთავსებული, ისევე როგორც „მაკაროვში“. საცემ-სასხლეტი მექანიზმი ორმაგი მოქმედებისაა და ღია ჩახმახი აქვს. დამცველზე დაყენების დროს იკეტება საკეტი და შეპტალო, რაც საშუალებას იძლევა გადატენილი პისტოლეტი უხიფათოდ ატარო, მიუხედავად იმისა, რომ ჩახმახი შეყენებულ მდგომარეობაში იქნება. მეორე ვარიანტის დროს შეიძლება გადატენო პისტოლეტი და ჩახმახი ნელა დაუშვა. ამ შემთხვევაში გასროლის წინ აუცილებელი იქნება ჩახმახის ხელახლა შეყენება, მაშინ როდესაც პირველ ვარიანტში, გასროლისათვის საკმარისი იყო მხოლოდ სასხლეტის გამოკვრა.

CZ83, ისევე როგორც „მაკაროვი“, ნაკლებად გამოდგება როგორც საარმიო პისტოლეტი, პოლიციური მიზნებისთვის კი უფრო მცირეგაბარიტიანი პისტოლეტია მისაღები. ამ მხრივ „მაკაროვი“ ჩეხურ პისტოლეტს უგებს, მასზე 11 მმ-ით მოკლეა და უფრო თხელიცაა, რაც აადვილებს







პისტოლეტის მალულად ტარებას. „მაკაროვის“ თანამედროვე მოდერნიზებული ვარიანტის ПММ-ის მჭიდი 12 ვაზნას იტევს, როგორც ჩეხური CZ83. ეტყობა, რუსი კონსტრუქტორებიც მოგვიანებით ჩეხი კოლეგების გზით წავიდნენ.

ჩეხური CZ83 ბევრად უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მისი საბჭოთა ანალოგი „მაკაროვი“.

*ირაკლი ალადაშვილი*

ISSN 1987 - 5061




ნ 72/46

# CZ 83

არსენალი